

ადვოკატი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი
2017 წ. №3-4



ჟურნალის რედაქტორი:

ზაზა ხატიაშვილი

რედაქტორის მოადგილე:

ეკა ხიმშიაშვილი

სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე:

როინ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:

ქორნელიუს ქლაინლაინი, ზაზა ხატიაშვილი, დავით ასათიანი,
ოთარ გამყრელიძე, ირაკლი ყანდაშვილი, ნინო გვენეტაძე,
ინგა თოდრია, ლელა ნადიბაიძე, მაკა სალხინაშვილი,
პაატა ტურავა, ზურაბ ძლიერიშვილი, ზურაბ ჭეჭელაშვილი, ნინო ხოფერია

დიზაინი და დაკაბადონება:

დავით ხოსიაური



ISSN-1987-5 479

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება კომერციული მიზნით, ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ნებართვის გარეშე აკრძალულია

სარჩევი

რედაქტორის სიტყვა 6

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობა

- ადვოკატის პროფესიული და ინსტიტუციური გარანტიები კონსტიტუციითაა უზრუნველყოფილი 8
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (aea-eal) წევრი გახდა 9
- ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭო (CCBE) პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს საქართველოს პარლამენტის მიერ კონსტიტუციური კანონის პროექტის მესამე მოსმენით მიღებას ულოცავს. 10
- ქართველი ადვოკატების კიდევ ერთი შესაძლებლობა საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწეობისთვის 11
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატის პორტალის სახით კიდევ ერთი სიახლე დანერგა 12
- ქართველი ადვოკატების ახალი შესაძლებლობები - ისრაელის ადვოკატთა ასოციაციასთან მემორანდუმი გაფორმდა 13
- ქართველი ადვოკატები აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და აზიის ადვოკატთა ქსელში ჩაერთვებიან 14

ადვოკატი და ეთიკა

- ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 15
- ეთიკის კომისიის რეკომენდაცია 18

თვალსაზრისი

- პრეცედენტული სამართლის უპირატესობა! როგორ უნდა მართოს ხელისუფალმა? დავით ებრალიძე- ადვოკატი, თავდაცვის და ფინანსთა მინისტრების ყოფილი მოადგილე, ყოფილი ენერგო ომბუცმენი 23

- პუბლიკაცია: ბავშვებზე ძალადობის შესახებ
მარიამ ბიწაძე-კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მაგისტრანტი,
პრაქტიკოსი იურისტი ----- 27

ადვოკატი და მენეჯერება

- უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და პასუხისმგებლობის
სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა
ვახტანგ ჯავახია - ადვოკატი, „საფინანსო საინვესტიციო ჯგუფი (BUSINEST)“ ----- 36
- საქართველოს პრემიენტის შეწყობის უფლებამოსილება
თამარ ავალიანი-ადამიანის უფლებათა ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსი ----- 45
- ადამიანის უფლებათა დაცვის კონტინენტალური პალიტრა - უნივერსალურია და შედარებითი
ადამიანის უფლებები?
გვანცა ჩადუნელი- სამართლის მაგისტრი, უნივერსიტეტი პანთეონ-ასასი პარიზი 2
(სორბონას საუნივერსიტეტო ასოციაცია), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი ----- 53

გამოძიება და ადვოკატი

- გამოძიების პროცესში მოწმის დაკითხვა და ბრალდებულის კონფრონტაციის უფლება ბრალდების
მხარის მოწმებთან
ადვოკატი ლელა შავიძე ----- 61



ძვირფასო კოლეგებო!

მოგესალმებით დიდი პატივისცემით და სიყვარულით!

პირველ რიგში, მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ დიდი ბრძოლისთვის და თავდადებისთვის, რასაც თქვენ აკეთებთ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის და ადვოკატთა უფლებების დაცვისთვის.

რვა წლის განმავლობაში, ვიყავი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, რომელსაც არცერთი დღე არ მიცხოვრია ადვოკატთა კორპუსის განვითარების და ადვოკატის უფლებების დაცვის გარეშე. მახსენდება ის დღე, როცა პირველად მივედი ადვოკატთა ასოციაციაში, ასოციაცია სამ ოთახიან ბინაში დამხვდა, დაჩაჩანაკებული, ვალებში ჩაფლული, დაშინებული ადვოკატთა კორპუსი, 111 ადვოკატი ციხეში. როდესაც მოვიკითხე მოეწოდებინათ ჩემთვის დოკუმენტაცია დაკავებული ადვოკატების შესახებ, აღმოჩნდა, რომ ადვოკატთა ასოციაციას არცერთი უწყებისთვის არ ჰქონდა მიმართული იმის თაობაზე, რათა გავგო თუ რამდენი ადვოკატი იჯდა

ციხეში და რა ბრალდებით.

კოლეგებო! ფაქტიურად ნულიდან მომიწია ყველაფრის აწყობა, გადავაწყდი ბევრ პრობლემას, მაგრამ რაც მინდოდა ყველაფერს მივაღწიე. ადვოკატთა ასოციაციას თავაწიულს ვტოვებ და ვბრუნდები პროფესიაში. ადვოკატთა ასოციაციას ვალების გარეშე ვტოვებ, 50 000 ლარით ანგარიშზე, ორი ოფისით თბილისში, ოფისებით ქუთაისში და ბათუმში ევრორემონტით. ჩვენი პროფესია არის დაცული, მივაღწიეთ ისეთ საკანონმდებლო ცვლილებებს რაზეც ვერ ვიოცნებებდით. ადვოკატის დაცულობის ხარისხი გაუთანაბრდა მოსამართლის და პროკურორის დაცულობის ხარისხს. ადვოკატის საქმიანობაში ჩარევა გახდა სისხლის სამართლის დანაშაული. ადვოკატს აქვს უფლება მოწმე გააფრთხილოს ცრუ ჩვენების და ცრუ დასმენის თაობაზე. მრავალი პროტესტის ფონზე შევატანიეთ ცვლილება სსსკ-ის 111 მუხლში, დავიცავით სამოქალაქო ადვოკატები ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დიქტატისგან, გაფიცვის ფონზე არ დაუშვით ადვოკატის დაშინება ფინანსური მონიტორინგის სამსახურისგან და შევატანიეთ ისეთი ცვლილება, რაც ადვოკატთა კორპუსისთვის მისაღები იყო. მივაღწიეთ იმას, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას აღიარებს ევროპის ადვოკატთა ასოციაცია, როგორც ყველაზე ძლიერ უფლებადამცველ ორგანიზაციას. ევროპის ადვოკატთა ასოციაციამ ჩვენი მოთხოვნით შეცვალა წესდება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია გახდა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, პირველი და ერთადერთი არაევროკავშირის ქვეყნებიდან.

კოლეგებო! ადვოკატთა უფლებების დაცვის გამო, ჩატარებული მაქვს 50-ზე მეტი აქცია, ხშირ შემთხვევაში მართო ვიბრძოდი, რათა მიგვეღწია იმისთვის, რაც დღეს ვართ და ამას, შენარჩუნება და ჩემი კურსის გაგრძელება სჭირდება. ბოლო გვირგვინი ჩვენი წინსვლის და მომავალი განვითარებისა არის საადვოკატო საქმიანობის კონსტიტუციური გარანტიები, რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს წარმომადგენელს საკონსტიტუციო კომისიაში დავით ასათიანს.

კოლეგებო! დიდი მადლობა ერთობისთვის, რომელიც ჩვენ ერთად ბრძოლით მოვიპოვეთ, დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის. ემოციის გაერეშე ვერ გავიხსენებ ადვოკატთა ასოციაციის 2017 წლის 28 ოქტომბრის საერთო კრებას, რომელზეც, თავმჯდომარის რანგში

ბოლო ანგარიში წარვადგინე, მთელი დარბაზი ფეხზე წამომიდგა და ტაშით გამაცილა. კრების დამთავრების შემდეგ, ადვოკატები სცენაზე ამოვიდნენ და რვაწლიანი საქმიანობისთვის მადლობა გადამიხადეს. ამას ნამდვილად არ ველოდი, დიდი მადლობა ასეთი სიყვარულისთვის რასაც ვგრძნობ განსაკუთრებით ახლა, როდესაც მივდივარ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

კოლეგებო! ვისაც გჯერათ ზაზა ხატიაშვილის, გიტოვებთ ერთ თხოვნას, რომელსაც ვამბობდი ყველა საერთო

კრებაზე! გახსოვდეთ, არ დაუპირისპირდეთ ერთმანეთს! ყველაზე მძიმე დროსაც კი შეინარჩუნეთ კოლეგიალობა! არ დაუპირისპირდეთ ერთმანეთს კლიენტების გამო! თუ რომელიმე კოლეგა გვარცხვენს მიმართეთ ეთიკის კომისის, ნუ დაასმენთ ერთმანეთს საჯარო სივრცეში, შეინარჩუნეთ კოლეგიალური პატივისცემა.

მინდა ყველა ადვოკატს გისურვოთ დიდი წამრატება, სამართლიან გარემოში მოღვაწეობა და უფლის მფარველობა. ძალიან, ძალიან მიყვარხართ და ვამაყობ თქვენით.

პატივისცემით,

ზაზა ხატიაშვილი



ადვოკატის პროფესიული და ინსტიტუციური გარანტიები კონსტიტუციითაა უზრუნველყოფილი



საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“, მესამე მოსმენით, 117 ხმით მიიღო, სადაც 31-ემუხლის მე-3 პუნქტის რედაქცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „3. დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით.“ კონსტიტუციაში ჩანაწერი მიუთითებს, რომ ადვოკატის პროფესიული და ინსტიტუციური გარანტიები უზრუნველყოფილია.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა აღნიშნა, რომ „დღევანდელი დღე ოქროს ასოებით ჩაიწერება ადვოკატურის ისტორიაში. საქართველო გახდა მსოფლიოში მეხუთე ქვეყანა რომლის ადვოკატთა კორპუსმა მიიღო კონსტიტუციური გარანტიები. დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით,

აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას საერთაშორისო მდივანი დავით ასათიანი წარმოადგენდა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL) წევრი გახდა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის პირველი არაევროკავშირის წევრი ქვეყანა, რომელიც გახდა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL) სრული წევრი. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ შექმნა პრეცედენტი და სხვა არაევროკავშირის წევრ ქვეყნებს გაუხსნა გზა გახდნენ ევროპის ადვოკატთა ასოციაციის წევრები.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი მარია სლაბაკი წერილში აღნიშნავს: „მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ჩვენი ასოციაციის შეცვლილი დებულების თანახმად, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციებს და ადვოკატებს, უფლება აქვთ გაწევრიანდნენ სრული წევრის სტატუსით. შესაბამისად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მიღებულ იქნა ევროპის ადვოკატთა ასოციაციაში სრული წევრის სტატუსით.“

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის სახელით, მაქვს პატივი, თქვენ და ქართველი ადვოკატები მიგიღოთ ჩვენს კოლეგებად და მეგობრებად, რომლებიც ვიზიარებთ ერთიანი, ევროპული იურიდიული პროფესიის ღირებულებებს.

ვიმედოვნებ, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა გააღრმავებს ჩვენს ურთიერთობებს და წვლილს შეიტანს ახალი იდეების და ერთობლივი პროექტების რეალიზებაში, რაც არამხოლოდ ჩვენი ასოციაციებისთვის



Avocats / Lawyers

იქნება სასარგებლო, არამედ, სხვა ქვეყნების ადვოკატებისთვისაც, რომლებიც საჭიროებენ ჩვენს დახმარებას“.

ადვოკატთა ევროპული ასოციაცია (EAL) დაფუძნდა 1986 წელს. პროფესიული გაერთიანება მოწოდებულია ხელი შეუწყოს ევროპის წევრი ქვეყნებისა და ასოციაციის წევრი ადვოკატთა ასოციაციების განვითარებას.

30 წელზე მეტია, ევროპის სხვადასხვა კუთხეში, ასოციაცია ორგანიზებას უწევს თემატურ სემინარებს და კონფერენციებს. ეს მოვლენები ხელს უწყობს საზოგადოების იდენტობის განვითარებას ევროპულ ადვოკატთა შორის, ისინი ასევე უზრუნველყოფენ გამოცდილების გაზიარებას.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭო (CCBE) პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს საქართველოს პარლამენტის მიერ კონსტიტუციური კანონის პროექტის მესამე მოსმენით მიღებას ულოცავს.



ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭო (CCBE) წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქცია ადვოკატთა უფლებებისა და იურისტთა თვითრეგულაციების შესახებ ახალ თავებს მოიცავს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობის გაძლიერებაში.

„ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოსთვის (CCBE) ცნობილი გახდა, რომ 2017 წლის 26 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია მიიღო. გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. CCBE აცნობიერებს და აფასებს საქართველოს პარლამენტის საქმიანობას დემოკრატიული ფასეულობების, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის განვითარებისა და გაღრმავების საქმეში. მოხარული ვართ იმ ფაქტით, რომ ახალი კონსტიტუცია

მოიცავს თავებს ადვოკატთა უფლებებისა და იურისტთა თვითრეგულაციების შესახებ, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იურისტის პროფესიის დამოუკიდებლობის გაძლიერებასა და დემოკრატიულ საზოგადოებაში იურისდიქციის სათანადო ადმინისტრირებისთვის. ეს შეუძლებელი იქნებოდა ღია და გულწრფელი თანამშრომლობის გარეშე საქართველოს პარლამენტს, კონკრეტულად კი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტსა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შორის. CCBE მაღალ შეფასებას აძლევს ამ თანამშრომლობასა და იმ ფაქტს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას მიეცა შესაძლებლობა, იურიდიული პროფესიის კონსტიტუციური ჩარჩოს ფორმირებაში საკუთარი წვლილი შეეტანა.

CCBE ასევე დადებითად აფასებს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ინიციატივას „ადვოკატთა შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც სავალდებულო სტაჟირების (საწყისი ტრენინგი) შემოღებას, ადვოკატთა უმაღლესი სკოლის დაარსებასა და ადვოკატთა პროფესიული გარანტიების კიდევ უფრო გაძლიერებას ითვალისწინებს. CCBE კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალი კონსტიტუციის მიღებას. იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება“, – ნათქვამია ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭოს პრეზიდენტის, რატვენ გემელის მიერ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისთვის გაგზავნილ წერილში.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭო (CCBE) წარმოადგენს 32 წევრი და 13 ასოცირებული და დამკვირვებელი ქვეყნის ადვოკატთა და იურიდიულ საზოგადოებებს და მათი მეშვეობით, მილიონზე მეტ ევროპულ ადვოკატს აერთიანებს. CCBE ევროპისა და საერთაშორისო ინსტიტუტებში ევროპის ადვოკატთა და იურიდიული პროფესიის საერთო ინტერესებს წარმოადგენს.

ქართველი ადვოკატების კიდევ ერთი შესაძლებლობა საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწეობისთვის




2017 წლის 11 ნოემბერს თურქეთში, ქ. ანკარაში თურქეთისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციებს შორის ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მხარეები ადვოკატებისთვის მნიშვნელოვან ისეთ საკითხებზე შეთანხმდნენ, როგორცაა განგრძობადი იურიდიული განათლების მხარდაჭერა და სერტიფიკატების მიღების შესაძლებლობა, საუკეთესო პრაქტიკისა და ინფორმაციათა გაზიარება იურიდიული პროფესიის გაძლიერების მიზნით.

ქართველ ადვოკატებსა და საადვოკატო ბიუროებს კიდევ ერთი შესაძლებლობა აქვთ მოცემული მემორანდუმის ფარგლებში მჭიდრო კავშირი დაამყარონ მეზობელი ქვეყნის კოლეგებთან და თავიანთი მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია განათავსონ ორ ასოციაციას შორის განვითარებული ქსელის მეშვეობით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს და თურქეთის მოქალაქეები, რომლებიც ამ ორი ქვეყნის ტერიტორიაზე რაიმე სამართლებრივ სირთულეებს განიცდიან, მიიღებენ სათანადო სამართლებრივ მხარდაჭერას საქართველოს და თურქეთის ადვოკატებისა და საადვოკატო ბიუროების მეშვეობით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატის პორტალის სახით კიდევ ერთი სიახლე დანერგა



მიმდინარე წლის 20 ნოემბრიდან ადვოკატის პორტალი ამოქმედდა, რომელიც ადვოკატთა ასოციაციის წევრებს საშუალებას მისცემს შექმნან საკუთარი ელექტრონული ანგარიში და პროფილი. დაამყარონ ადვოკატთა ასოციაციასთან ოფიციალური კომუნიკაცია.

განგრძობადი განათლების ფარგლებში დაგეგმილ ტრენინგებზე დარეგისტრირდნენ ელექტრონულად, მოიძიონ დაგროვილი კრედიტებისა და გავლილი ტრენინგების თაობაზე ინფორმაცია და მარტივად განახორციელონ სასწავლო რესურსებზე წვდომა.

ადვოკატთა ასოციაციის წევრები, სურვილის შემთხვევაში, ადვოკატის პროფილის მონაცემების (სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია, სპეციალიზაცია, სამუშაო გამოცდილება ა. შ). გასაჯაროებას და ძეხვის სისტემაში მოთავსებას შეძლებენ, სადაც დაინტერესებულ მოქალაქეს შეეძლება მოიძიოს მისთვის სასურველი ადვოკატი.

ასევე, შესაძლებელი იქნება ადვოკატთა ასოციაციის წევრის სტატუსის და მის წინააღმდეგ მიმართული დისციპლინური საქმისწარმოების თაობაზე ინფორმაციის მოპოვება და სხვ.

პორტალზე შესასვლელი ლინკი განთავსდება ადვოკატთა ასოციაციის ვებ გვერდზე.

პორტალზე მუშაობა 2017 წლის მაისში დაიწყო და ოქტომბერში დასრულდა. პორტალი შეიქმნა ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროექტის „ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ ფარგლებში.

ქართული ადვოკატების ახალი შესაძლებლობები – ისრაელის ადვოკატთა ასოციაციასთან მემორანდუმი გაფორმდა



2017 წლის 31 ოქტომბერს ისრაელში, ქ. თელ-ავივში ისრაელისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციების საერთაშორისო ურთიერთობათა მდივნებმა – თამარ საკერდოტმა და დავით ასათიანმა ასოციაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს

ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა დაგროვილი გამოცდილების, საუკეთესო პრაქტიკისა და ინფორმაციათა გაზიარება იურიდიული პროფესიის გაძლიერების მიზნით, შეხვედრების მუდმივი ფორმირება განგრძობადი იურიდიული განათლების მხარდაჭერისათვის.

ამავე მემორანდუმით მხარეებმა დაგეგმეს იურიდიული ფირმებისა და კერძო პრაქტიკის მქონე ადვოკატთა ქსელის შექმნა ორ ქვეყანას შორის ადვოკატთა ურთიერთკავშირის გაძლიერებისათვის. მუდმივ ხასიათს მიიღებს ხელმომწერ ასოციაციებს შორის სამართლისა და ადვოკატის პროფესიის აქტუალურ საკითხებზე კონფერენციების, სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზება როგორც ადვოკატების, ასევე ბიზნესის წარმომადგენლებისა და ინვესტორების მონაწილეობით.

მემორანდუმი საქართველოს და ისრაელის ადვოკატებს ფართო შესაძლებლობას აძლევს, აიმაღლონ კვალიფიკაცია და მიიღონ ორივე სახელმწიფოში აკრედიტებული სერტიფიკატები და გაიზიარონ საერთაშორისო გამოცდილება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის უპრეცედენტო მიღწევა, რომელიც გულისხმობს ისრაელის ადვოკატებისა და საადვოკატო ბიუროების მხრიდან საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის ტურისტების, ემიგრანტების, ვიზიტორების სამართლებრივ მხარდაჭერას ისრაელის ტერიტორიაზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავად ისრაელის ადვოკატთა ასოციაციის სათანადო ჩართულობას საელჩოს მეშვეობით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით მოლაპარაკებებს აწარმოებდა ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობათა მდივანი დავით ასათიანი. „მინდა ჩვენი კორპუსის წევრებს მივულოცო ეს წარმატება და აქვე დავძენ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია – მემორანდუმის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება დაიგეგმა, რაც კიდევ ერთი შესაძლებლობაა ქართული ადვოკატებისათვის მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება და მხარდაჭერა“ – განაცხადა დავით ასათიანმა.

ქართველი ადვოკატები აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და აზიის ადვოკატთა ქსელში ჩართვებიან



9 ნოემბერს გაიმართა თურქულენოვან და მონათესავე ქვეყნების ადვოკატთა გაერთიანებების (TURK-AV) აღმასრულებელი საბჭოს სხდომა, რომელშიც მონაწილეობდა TURK-AV-ის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი – დავით ასათიანი. როგორც ცნობილია, TURK-AV აერთიანებს აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და აზიის 10-ზე მეტი ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციას.

სხდომაზე განიხილეს დღის წესრიგში არსებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა მოცემული ორგანიზაციის კომიტეტების ფორმირება, დავების ალტერნატიული მოგვარების (ADR) ცენტრის შექმნა, ა.შ. სასიხარულო და საამაყოა, რომ დავით ასათიანის ინიციატივით, TURK-AV-ის აღმასრულებელი საბჭოს მომდევნო სხდომა თბილისში, მომავალი წლის იანვარში გაიმართება.

ერთხმად იქნა მხარდაჭერილი დავით ასათიანის მორიგი ინიციატივა ადვოკატთა საერთაშორისო ქსელის – “იპოვეთ ადვოკატი” (“Find a Lawyer”) შექმნის თაობაზე. ამ პროექტის ფარგლებში ადვოკატები შეძლებენ საერთაშორისოდ ხელმისაწვდომ პორტალზე განათავსონ საკუთარი მონაცემები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ TURK-AV-ის ვიცე-პრეზიდენტი, დავით ასათიანი თურქეთის გენერალურ პროკურორს, მეჭმეთ აქარჯასა და უმაღლესი საკასაციო სასამართლოს პრეზიდენტს, ისმაილ რუმთუ ჯირითს შეხვდა, სადაც მათ სამომავლო თანამშრომლობის გეგმები განიხილეს.

დავით ასათიანმა პატივი მიაგო ათათურქის ხსოვნას და გვირგვინით შეამკო მავზოლეუმი.

“ჩემთვის ნიშანდობლივია, რომ ათათურქის ხსენების დღეების ფარგლებში მიღწეულ იქნა მასშტაბური ნოვატორული შეთანხმებები. მოხარული ვარ ქართველ ადვოკატებს ვაცნობო, რომ მათ უახლოეს მომავალში ექნებათ შესაძლებლობა თავი დაიმკვიდრო საერთაშორისო ასპარეზზე და მიიღონ მეტი შესაძლებლობები საკუთარი პრაქტიკის განვრცობისა. ეს არის კიდევ ერთი მონაპოვარი, კიდევ ერთი შესაძლებლობა კორპუსის თითოეული წევრისთვის.” – განაცხადა დავით ასათიანმა.

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება

საქმე №044/16

მომართვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.06.2016

საჩივრის ავტორი: კლიენტი

განხილვის კოლეგია: მეოთხე დისციპლინური კოლეგია

შედეგი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

დისციპლინური სახდელის სახე: გაფრთხილება

გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი: 07.11.2016

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

- 2015 წლის 07 მაისს კლიენტსა და ადვოკატს (შემსრულებელი) შორის გაფორმდა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა: „2010 წლის 13 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულ ... და მის შვილს, მსჯავრდებულ ... დაეკისრა კლიენტის სასარგებლოდ ... ლარის გადახდა. ხელშეკრულების თანახმად, „შემსრულებლის“ ვალდებულებას წარმოადგენდა საადვოკატო მომსახურების გაწევა. 3.1 „შემსრულებელი“ მოვალეა (სისხლის და სამოქალაქო) სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა სახის სადაო პროცესში დაიცვას „დამკვეთის“ ინტერესები, მონაწილეობა მიიღოს ყველა ინსტანციის სასამართლო განხილვაში. „შემსრულებელი“ ვალდებულია განონით გათვალისწინებული პროცესებით დააბრუნებინოს „დამკვეთს“ თანხა, რომელიც მას 2010 წლის 13 თებერვლის თბილისის საქალაქო განაჩენით ეკუთვნის. 3.2 „შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას „დამკვეთის“ ინტერესები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს პროკურატურაში, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების კომისიაში. 3.3 „შემსრულებელი“ ვალდებულია საქმიდან გამომდინარე ჩაატაროს ტელეკომპანიების მეშვეობით „ბრიფინგები“ და შეხვედრები.“

- ხელშეკრულებით ადვოკატის ანაზღაურება განისაზღვრა შემდეგნაირად: „დამკვეთის ვალდებულებას წარმოადგენს მომსახურების ანაზღაურების გადახდა. 4.1 „დამკვეთი“ მოვალეა გადაუხადოს „შემსრულებელს“ თანხა სამ ეტაპად: 3000 (სამი ათასი) + 3000 (სამი ათასი) + 4000 (ოთხი ათასი) ლარი. პირველი შენატანი 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, დამკვეთის მიერ გადაიხდება ხელშეკრულების ხელმოწერისას. მეორე შენატანი 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით გადაიხდება პირველი ეტაპის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, ხოლო ბოლო, მესამე შენატანი 4000 (ოთხი ათასი) ლარის ოდენობით გადაიხდება მეორე შენატანიდან ერთი თვის შემდეგ, წინამდებარე ორი ეტაპის წარმატებით დამთავრებისას. 4.2 საქმის წარმატებით დამთავრებისას „დამკვეთი“ ვალდებულია, საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით „შემსრულებელს“ გადაუხადოს დაბრუნებული თანხის 20 (ოცი) პროცენტი. 4.3 ხელშეკრულების 4.1 პუნქტით გათვალისწინებული სამი გადახდა მოხდება ნაღდი ანგარიშსწორებით ნოტარიუსის დამოწმებით. 4.1 პუნქტით გათვალისწინებული გადახდების საერთო ჯამი გამოაკლდება ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული შემსრულებლის ჰონორარის თანხას. 2015 წლის 02 ივნისს კლიენტმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ადვოკატს გადასცა თანხა ეტაპობრივად 3 000 (სამი ათასი), 3000 (სამი ათასი) ლარი (მიღება—ჩაბარების აქტები 02.06.2015). 2015 წლის 07 აგვისტოს კლიენტმა ადვოკატს გადასცა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 4000 (ოთხი ათასი) ლარი (მიღება—ჩაბარების აქტი 07.08.2015,

N150850317).“

- ხელშეკრულების 6.2 პუნქტის თანახმად, შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის მიეცა ვადა: მინიმალური - 06 (ექვსი) თვე, მაქსიმალური - 09 (ცხრა) თვე. 3. ხელშეკრულების 5.5 პუნქტით, „შემსრულებელი“ იღებს ვალდებულებას სრულად დაუბრუნოს „დამკვეთს“ მოთხოვნიდან ერთი თვის განმავლობაში, მის მიერ გადახდილი ჰონორარი თუ ის სრულად არ დააკმაყოფილებს „დამკვეთის“ მიერ წამოჭრილ ამ კონკრეტულ პრობლემას.

- ადვოკატმა მოცემული კლიენტის საქმეზე განახორციელა შემდეგი იურიდიული მოქმედებები: 2015 წლის 25 მაისს ადვოკატმა კლიენტის საქმესთან დაკავშირებით განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების კომისიის თავმჯდომარეს; 2015 წლის 13 ივლისს ადვოკატმა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროს პროკურორს; 2015 წლის 02 დეკემბერს ადვოკატმა განცხადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს; 2016 წლის 08 იანვარს ადვოკატმა განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის პროკურატურას.

- კლიენტმა ვერ მიიღო საადვოკატო მომსახურების შესახებ N15-027 07.05.2015 წ. ხელშეკრულების შეთანხმების საგნით გათვალისწინებული შესრულება.

- ადვოკატი არ ჩაერთო ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინურ წარმოებაში.

სამართლებრივი შეფასება

განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია ნდობის პრინციპი, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, გარანტიის მიცემის დაუშვებლობა, კეთილსინდისიერად მომსახურების ვალდებულება, მინდობილი ფულადი სახსრების უკან დაბრუნების ვალდებულება, გამოუმუშავებელი საზღაურის კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულება.

განხილვის კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა ორ გარემოებაზე: ა) მომჩივანის მიერ ადვოკატის მოწვევის მიზეზი იყო არა საადვოკატო საქმიანობის გზით მისი უფლებების დაცვის/რეალიზაციის განხორციელების განმარტება, არამედ ძირითადად კანონისმიერი

პროცედურების გარეშე შედეგის მიღების დაპირება; ბ) ადვოკატის პროფესიული მოვალეობაა განუმართოს კლიენტს სამართალწარმოების შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტის მიზანი იყო ფულადი თანხების მიღება, ნიშანდობლივია სისხლის სამართალწარმოების ამოცანები, რაც წლებია აღარ მდგომარეობს ქონებრივი ზიანის განხილვის ან მის ანაზღაურებაში. ყოველივე წარმოადგენს სამოქალაქო კერძო სამართალწარმოების საგანს. ადვოკატის მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებები წარმოადგენს არა კერძო (სამოქალაქო) სამართლებრივ წარმოებას. ადვოკატმა კლიენტის დაცვის განხორციელებისათვის აირჩია საჯარო წარმოება - სისხლის და ადმინისტრაციული სამართალწარმოება.

ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის კომპონენტია თავად განსაზღვროს კლიენტის ინტერესების დაცვის გზა და სტრატეგია, გამოიყენოს თავისუფლად დისკრეცია, თუმცა მოცემულ შემთხვევაში არსებობდა მაღალი ალბათობა იმისა, რომ კლიენტისა და ადვოკატის შეთანხმების ერთ-ერთი საფუძველი არის მომჩივანის მოლოდინი, რომ მიიღებს ფულად ანაზღაურებას ადვოკატის მიერ კერძო ურთიერთობების გამოყენებით და თანაც საჯარო სამართალწარმოების უწყებებთან (პროკურატურა, საკონსტიტუციო სასამართლო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია) ურთიერთობის გზით. კომისიის შეფასებით, ასეთი შეთანხმება და ადვოკატის მიერ კლიენტზე შექმნილი მოლოდინები, ასევე საქმიანობის არჩევის ფორმა აზიანებს ადვოკატის პროფესიულ ავტორიტეტს, საადვოკატო საქმიანობის მომხმარებელში ქმნის არაკვალიფიციურობის განცდას და რა თქმა უნდა აზიანებს ნდობას, რამაც გამოიწვია მომჩივანის მომართვა ეთიკის კომისიისადმი.

კოლეგიის მოსაზრებით, არსებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების პირობები შეიცავს გარანტიის ელემენტებს: 1. ადვოკატმა აიღო ვალდებულება კანონით გათვალისწინებული პროცესებით დააბრუნებინოს „დამკვეთს“ თანხა, რომელიც მას 2010 წლის 13 თებერვლის თბილისის საქალაქო განაჩენით ეკუთვნის. 2. აღნიშნული ვალდებულების შესრულება ადვოკატმა გარკვეული ვადით შეზღუდა, კერძოდ ხელშეკრულების 6.2 პუნქტის თანახმად, შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის ეძლევა ვადა: მინიმალური - 06 (ექვსი) თვე, მაქსიმალური - 09 (ცხრა) თვე. 3. ხელშეკრულების 5.5 პუნქტით, „შემსრულებელი“

იღებს ვალდებულებას სრულად დაუბრუნოს „დამკვეთს“ მოთხოვნებიდან ერთი თვის განმავლობაში, მის მიერ გადახდილი ჰონორარი თუ სრულად არ დააკმაყოფილებს „დამკვეთის“ მიერ წამოჭრილ ამ კონკრეტულ პრობლემას. ხელშეკრულების საგანზე და ხელშეკრულების პირობებზე მოცემული სახით შეთანხმებით ადვოკატმა კლიენტს მისცა გარანტია. კლიენტისათვის გარანტიის მიცემა ადვოკატს ეკრძალება. ადვოკატმა კლიენტს სწორად არ განუმარტა თუ რა მოლოდინი უნდა ჰქონოდა ადვოკატისგან, ხელშეკრულების შინაარსი არ განუმარტა კლიენტს მისთვის გასაგები ფორმით მაშინ, როდესაც მომჩივანმა არ იცის სამართალი, არ იცის ქართული ენა და ადვოკატს ჰქონდა მომეტებული პასუხისმგებლობა, რომ არ დარღვეულიყო საქმის შედეგზე დაპირების მიცემის დაუშვებლობის პრინციპი. ადვოკატს უნდა განემარტა კლიენტისათვის თუ რისთვის იღებდა საადვოკატო მომსახურების საზღაურს. ამასთან ადვოკატს ჰქონდა მატერიალური ინტერესი, კერძოდ ადვოკატმა წინასწარ მიიღო თანხა იმისდა მიუხედავად როგორი შედეგი დადგებოდა და შესაძლებელია ხელშეკრულების 5.5 პუნქტის მიხედვით, თანხა კლიენტისათვის დასაბრუნებელი ყოფილიყო. ადვოკატმა ფაქტიურად აიძულა კლიენტი მიეცა მისთვის სესხი და ვალდებულების შესრულებისთვის კონკრეტული ვადა დაუთქვა.

განხილვის კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა ასევე მომჩივანის მიერ ჰონორარის გადახდის საკითხზე. კოლეგიის შეფასებით, მომჩივანმა ადვოკატს თანხა გადაუხადა იმისათვის, რომ ადვოკატის მიერ შესრულებული არაოფიციალური სახის მოქმედებების შედეგად ფულადი ანაზღაურების მიეღო. კომისიამ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ საადვოკატო საქმიანობას წარმოადგენს: იურიდიული მოქმედებების განხორციელება (კლიენტისათვის რჩევის მიცემა, ასევე ნებისმიერი იურიდიული ხასიათის საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული კანონით და რომელიც რეგულირდება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით), ასევე ყველა სახის სამართალწარმოებაში ჩართვა და კლიენტის ინტერესების წარმოდგენა. ადვოკატმა კლიენტთან ზემოთნახსენები შეთანხმებით კლიენტს შეუქმნა პროფესიული საქმიანობის არაოფიციალურობის, რომელსაც ფაქტიურად არ გააჩნია პასუხისმგებლობის იურიდიული მხარე, არაკვალიფიციურობის მოლოდინები და იმოქმედა იმდგვარად რომ საფრთხე შეუქმნა პროფესიისადმი ნდობას. ადვოკატები კლიენტის ინტერესებს მხარს უჭერენ, ადვოკატირებენ ნებისმიერ

უწყებასთან, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები და თავად არჩევენ რა გზით, რა საპროცესო საშუალებებს გამოიყენებენ, აქვთ შეხვედრები კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ ყველა მოქმედებების საგანი და მოტივაცია უნდა გამომდინარეობს კანონიერების პრინციპიდან, იყოს ამ კუთხით საგნობრივი და შინაარსობრივად ჯდებოდეს პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

განხილვის კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა ადვოკატის მომსახურების ანაზღაურების შეთანხმების წესზე. ხელშეკრულების თანახმად, დამკვეთის ვალდებულებას წარმოადგენდა მომსახურების ანაზღაურების გადახდა ეტაპობრივად. ადვოკატმა კლიენტისაგან ეტაპობრივად მიიღო 10 000 (ათი ათასი) ლარი ნაღდი ანგარიშსწორებით ნოტარიუსის დამოწმებით, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით. ამ კუთხით მნიშვნელოვანია არა საზღაურის რაოდენობა, არამედ თავად დანიშნულება. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა გარკვეული იურიდიული მოქმედებები განახორციელა მომჩივანთან შეთანხმების დადებისას, იკვეთება, რომ ჰონორარის გადახდის მოტივაცია იყო ადვოკატის მიერ არაოფიციალური და დაპირებითი მხარე.

განხილვის კოლეგიამ განმარტა, რომ ადვოკატის მიერ მიღებული თანხა ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე ადვოკატთან ვერ დარჩებოდა. ეს არ წარმოადგენს მიბარებულ თანხას, მაგრამ მას შემდეგ რაც, კლიენტმა ვერ მიიღო ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული შესრულება და გაირკვა, რომ ადვოკატის მიერ კლიენტისგან მიღებული თანხა საადვოკატო მომსახურების საზღაურად არ გარდაიქმნა ადვოკატის ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრული 09 თვის უშედეგოდ გასვლის გამო და ადვოკატს დასაბრუნებელი ჰქონდა მიღებული თანხა, აღნიშნული შინაარსით მოცემული თანხა მიბარებულ თანხას გაუტოლდა და მასზე ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-8 მუხლის მე-13 და მე-15 ნაწილებით გათვალისწინებული რეგულაციები. ადვოკატს ურთიერთობის დასრულების შემდეგ კლიენტისათვის დასაბრუნებელი ჰქონდა მისგან მიღებული ფულადი სახსრები, იმის გათვალისწინებით, რომ მას უფლება აქვს კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.

ეთიკის კომისიის რ ე კ ო მ ე ნ დ ა ტ ი ა

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ხათუნა გრიგალაშვილი — კოლეგიის თავმჯდომარე

ია გაბედავა — კოლეგიის წევრი

სულხან ონიანი — კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.03.2016

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 004/16

შეკითხვის ავტორი: პაატა კიკვიძე, სიითი №0335

შეკითხვა:

შპს X წარმოადგენს 6 პარტნიორის მონაწილეობით მოქმედ კომპანიას, რომელშიც პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

A - 25%

B - 25%

C - 15%

D - 15%

E - 15%

F - 5 %

2015 წლის 01 სექტემბერს ჩატარდა X-ის პარტნიორთა კრება, რომელზეც C-ს, D-ს, E-ს, და F-ის წარმომადგენლობას ერთი ადვოკატი ახორციელებდა. უფლებამოსილების დამადასტურებელი რწმუნებულებით ადვოკატი აღჭურვილი იყო, როგორც პარტნიორთა კრებაზე მონაწილეობის, ისე სასამართლოში საქმის წარმოების უფლებით.

გემოაღნიშნულ პარტნიორთა კრებაზე

განხილულ საკითხს მხარი დაუჭირეს ადვოკატის წარმომადგენლობით მოქმედმა C-მ, D-მ, E-მ და F-მა, ასევე, A-მ. რის შედეგადაც ხმათა 75%-ით კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, ხოლო B-მ მხარი არ დაუჭირა კრების გადაწყვეტილებას და იგი სასამართლო წესით გაასაჩივრა.

მოცემულ საქმეზე აღძრული სარჩელი სასამართლოს დავალებით B-მ გაუგზავნა C-ს, D-ს, E-ს და F-ის ადვოკატს მისი ოფისის მისამართზე, რის შემდეგაც ადვოკატმა მისი დაცვის ქვეშ მყოფი ოთხივე პირის სახელით სასამართლოში შესაგებელი წარადგინა.

ამის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ გარემოებებს:

- C-მ და D-მ ადვოკატს გაუუქმეს რწმუნებულება, რითაც თავად თქვეს უარი მისი მომსახურებით სარგებლობაზე;

- ადვოკატზე გაცემული რწმუნებულების გაუქმებიდან რამდენიმე დღის შემდეგ C-მ და D-მ თავიანთი 15%-15% წილები, რომელიც შპს X-ში ჰქონდათ, მიჰყიდეს B-ს, რის შედეგადაც C და D აღარ არიან შპს X-ს პარტნიორები;

- ყოველივე ამის შემდეგ მათ აღარ ისურვეს

B-ს მიმართ დავის გაგრძელება, რის გამოც განცხადებებით მიმართეს სასამართლოს და ცნეს B-ს სარჩელი. ეს მოქმედება (სარჩელის ცნობა) შესრულდა მას შემდეგ, რაც მათ ადვოკატის მიმართ უკვე გაუქმებული ჰქონდათ რწმუნებულებები.

ამდენად ამ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს პარტნიორთა კრების ოქმი, რომელზეც ერთი ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფმა ოთხივე სუბიექტმა (C, D, E, F) ერთი პოზიცია დააფიქსირეს (B-ს საწინააღმდეგო) და კენჭისყრით ერთხმად გადაწყვიტეს კონკრეტული საკითხი, თუმცა, იმ ყველაფრის შემდეგ, რაც მოხდა წილების გასხვისების სახით, C-მ და D-მ ცნეს B-ს სარჩელი, ანუ იმ დავის საგანზე, რომელზეც მათ პარტნიორთა კრებაზე თვითონ მიიღეს გადაწყვეტილება, დღეს თავიანთი გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ ცნობენ სარჩელს.

E-ს და F-ს კვლავ სურთ, რომ მათი საადვოკატო მომსახურება იმავე ადვოკატმა განახორციელოს.

შექმნილი პროცესუალური ვითარებიდან და არსებული მატერიალურსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, არსებობს თუ არა კონფლიქტი ერთი მხრივ შპს X-დან აწ უკვე გასულ C, D-სა და მეორე მხრივ E, F-ს ინტერესებს შორის და აქვს თუ არა უფლება ადვოკატს, გააგრძელოს E-ს და F-ის საადვოკატო მომსახურება?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები:

“1. ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.

2. ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე

მხარის სასარგებლოდ.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები:

“1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.

2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლი:

“1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

2. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც:

ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგო ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.

ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.

3. ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფირმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში.

5. ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.“

ადვოკატმა, კლიენტის ინტერესების დაცვისას, თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განხორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის და დროის არსებობის შემთხვევაში. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ.

საპროცესო კოლეგიის 2011 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №092/10 დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ აღინიშნა: “საადვოკატო საქმიანობის პრინციპებისა და იურიდიული პროფესიის კორპორატიული ინტერესის გათვალისწინებით, ადვოკატს მოეთხოვება ქმედების იმგვარი სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტის, მათ შორის ყოფილი

კლიენტის ინტერესების პატივისცემას და ყოფილი კლიენტის საქმეზე ან ამ საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების კონფიდენციალობის დაცვას.“

შეკითხვაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, C-მ და D-მ, ვიდრე მათ საკუთრებაში არსებულ წილს მიჰყიდდნენ B-ს, რის უფლებასაც მათ აძლევდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილი, მანამდე შეუწყვიტეს ადვოკატს წარმომადგენლობის თაობაზე გაცემული მინდობილობები. ეს ცალსახად მოწმობს, რომ C-ს და D-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ადვოკატსა და მათ შორის, საპროცესო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობა, რაც მოიცავს სასამართლოში საადვოკატო წარმომადგენლობასაც, შეწყდა.

მიუხედავად იმისა, რომ წილების გადაცემამდე C-ს და D-ს შეწყვეტილი ჰქონდათ ურთიერთობა ადვოკატთან, რის შესაბამისადაც, ეს უკანასკნელი ვეღარ განიხილებოდა მათ და ერთობლივად ყველა მოპასუხის საპროცესო წარმომადგენლად, ეს მოცემულობა, შესაძლოა, განიხილებოდა ერთის მხრივ C-ს და D-ს და მეორეს მხრივ E-ს და F-ს შორის არსებულ ინტერესთა კონფლიქტად, თუ სიტუაციას განვიხილავთ კონფიდენციალობის პრინციპთან მიმართებით. კოლეგიის მოსაზრებით, მნიშვნელობა არ აქვს ფაქტს, ადვოკატს ექნება თუ არა შეწყვეტილი ურთიერთობა ოთხი მოპასუხიდან რომელიმესთან, თუკი C და D ცნობენ B-ს სარჩელს, ხოლო E-ს და F-ს კი აქვთ მოსარჩელის საწინააღმდეგო პოზიცია. ასეთ ვითარებაში, ჩაითვლება, რომ ადგილი აქვს ერთის მხრივ C და D-ს, ხოლო მეორეს მხრივ E-ს და F-ს შორის ინტერესთა კონფლიქტს, რადგან ერთის მხრივ C-ს და D-ს და მეორეს მხრივ E-ს და F-ს შორის არსებული პოზიციები არის საპირისპირო, რაც წარმოშობს მხარეებს შორის ინტერესთა კონფლიქტს და ასეთ ვითარებაში ადვოკატი ვალდებული იქნება ჩამოშორდეს საქმეს, თუ იარსებებს ისეთი გარემოება, რაც დაარღვევდა

კონფიდენციალობის პრინციპს.

ადვოკატს, მიუხედავად იმისა, კლიენტმა შეუწყვიტა თუ არა უფლებამოსილება, ევალება კონფიდენციალობის დაცვა. ისეთ ვითარებაში, როდესაც C-მ და D-მ დაიკავეს მოსარჩელის თანმხვედრი პოზიცია, ხოლო E-ს და F-ს კი მოსარჩელის საპირისპირო პოზიცია აქვთ, რომელთაც იცავს იგივე ადვოკატი, რომელიც ყველას ერთად იცავდა, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს მანამდე შეუწყდა წარმომადგენლობის უფლებამოსილება, მოპასუხე მხარეებს შორის იარსებებს ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც წარმოიშვა საქმის წარმოების პროცესში. ეს განიხილება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, რომლის დეფინიციაც ასე განიშარტება: „ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე“

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი აღარ განიხილება მოპასუხე C-ს და D-ს საპროცესო წარმომადგენლად მოცემულ საქმეში და მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ C და D აღარ არიან ადვოკატის კლიენტები მოცემული დავის წარმოებისას, არსებობს მისი საქმიდან ჩამოცილების პირობა კლიენტების ინტერესთა შორის არსებული კონფლიქტის გამო, ვინაიდან ადვოკატს ეკისრება კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება და ეს ვალდებულება ვრცელდება კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაშიც. კერძოდ, ადვოკატს ევალება კონფიდენციალობის დაცვა, რაც კონფლიქტში შესაძლებელია მოვიდეს ამავე საქმეზე დასაცავი E-ს და F-ის ინტერესებთან, რაც ადვოკატის საქმიდან ჩამოცილების გარემოებას ქმნის.

აქვეა აღსანიშნავია, რომ შეკითხვაში დასმული

გარემოების შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი საპროცესო უფლებამონაცვლეობის საკითხი და წილის გამსხვისებელი მხარე შეიცვალოს წილის შემძენით. თუმცა, მიუხედავად ამ გარემოებისა, ადვოკატს ევალება ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა, რაც მან C-ს და D-ს დაცვისას მიიღო და, კოლეგიის მოსაზრებით, ამ ინფორმაციის დაყოფა და დაცვა შეუძლებელი იქნება დასახელებულ ვითარებაში. მოპასუხე მხარე E-სა და F-ის პოზიციაზე არ იქნებიან C და D, თუმცა მათი უფლებამონაცვლე შესაძლოა იყოს სწორედ E-ს და F-ს პოზიციების მოწინააღმდეგე მოსარჩელე B, რაც ცალსახად გამოკვეთავს, რომ ოთხი მოპასუხის პოზიციები ერთმანეთთან არათანმხვედრია, საპირისპიროა და აშკარაა მათ შორის კონფლიქტი, რაც იწვევს ადვოკატის საქმიდან ჩამოშორების პირობას. ეს გამოწვეულია ადვოკატთა საქმიანობის მაღალი სტანდარტის შესაბამისად, ადვოკატის საქმიანობისადმი ნდობის შენარჩუნებისა და საადვოკატო საქმიანობისადმი ღირსეული დამოკიდებულების დამკვიდრების გამო.

შესაბამისად, საქმის ვითარებიდან გამომდინარე, სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოებისას მხარეები არიან ერთი მხრივ B, ხოლო მეორე მხრივ E და F. მიუხედავად იმისა, C-სა და D-სთან მიმართებით საქმის წარმოება შეწყდება თუ არა, იარსებებს ინტერესთა კონფლიქტი, იმის გაუთვალისწინებლად, ადვოკატი წარმოადგენს თუ არა C-სა და D-ს ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე E-სა და F-ის სურვილია ადვოკატმა გააგრძელოს მათი ინტერესების დაცვა და თავად E-სა და F-ის ურთიერთ შორის ინტერესებში არ არსებობს კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე, იმის გამო, რომ საქმეში თავდაპირველად არსებობდა ოთხი მოპასუხე მხარე, რომლებიც თავიდან არ ცნობდნენ სარჩელს და ჰქონდათ ერთიანი პოზიცია, ხოლო საქმის წარმოებისას ვითარების შეცვლის გამო და, დამატებით, იმ მიზეზით, რომ მოპასუხეებმა C-მ და D-მ შეიცვალეს პოზიცია, რომელიც არ ემთხვევა

E-სა F-ის პოზიციებსა და ინტერესებს, შესაძლოა ადვოკატმა ვერ უზრუნველყოს იმ კლიენტთა ინტერესების დაცვა კონფიდენციალობის კუთხით, ვინც შეწყვიტა ხელშეკრულება მათთან. რომელთაც შეიცვალეს პოზიციები, ამიტომ, ადვოკატს არ შეუძლია გააგრძელოს E-სა და F-ის საადვოკატო მომსახურება.

დისციპლინური კოლეგია, აქვე აღნიშნავს, რომ თუკი C-სა და D-სარ შეექმნება საფრთხე კონფიდენციალობის კუთხით, რაც შეკითხვაში არ არის გადმოცემული – შეკითხვაში გავრცობილი არ არის გარემოებები კონფიდენციალურობის კუთხით, თუ რა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას ერთის მხრივ E-სა და F-ის ინტერესებსა და მეორეს მხრივ ადვოკატსა და C-სა და D-ს შორის არსებულ ურთიერთობებში – ადვოკატს შეეძლება გააგრძელოს მხარეთა წარმომადგენლობა. ამის გამო, დისციპლინური კოლეგია თვლის, რომ შეკითხვაში დასმულ გარემოებებს აფასებს ზოგადად, რაც ბუნებრივია ვერ გავრცელდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე იმპერატიულად. შესაბამისად, ეთიკის კომისიის წინაშე დასმული ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას, წინამდებარე რეკომენდაციას არ ექნება იმპერატიული ხასიათი.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოში საქმის წარმოებისას ადვოკატის კლიენტთაგან ოთხი მოპასუხიდან ორი, მიუხედავად ადვოკატთან ურთიერთობის მანამდე შეწყვეტისა, მოსარჩელეზე გაასხვისებს შპს-ის წილს, ხოლო ადვოკატი დარჩენილი ორი პირის მიმართ გააგრძელებს საადვოკატო მომსახურების გაწევას, დაარღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-6 მუხლის მოთხოვნებს კონფიდენციალობის კუთხით. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში ადვოკატს არ შეუძლია გააგრძელოს საადვოკატო მომსახურება. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სიტუაცია ფასდება მხოლოდ შეკითხვაში არსებული არასრული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით. ამის გამო, დისციპლინური კოლეგია თვლის, რომ შეკითხვაში დასმულ გარემოებებს აფასებს ზოგადად, რაც ვერ გავრცელდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ხათუნა ბრიგალაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /სულხან ონიანი/

პრეცედენტული სამართლის უპირატესობა! როგორ უნდა მართოს ხელისუფალმა?



ხელისუფლება

(ზოგადად საკანონმდებლო / აღმასრულებელი / სასამართლო) გამოწვევის წინაშე დგას, თუ როგორ, რა მექანიზმებით უნდა იმართოს ძალაუფლებით აღჭურვილი მოხელეები/მოსამართლეები.

როგორ უნდა მიხედვ ამ ზღვა მოხელეებში, რომელი როგორ (სწორად თუ არა) იქცევა?

პასუხი თითქოს მარტივია და ბანალური – მათი მოქმედება კანონს უნდა შედარდეს. მრავალი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც კაცობრიობამ მოიგონა კანონი და სწორედ ამან გახადა შესაძლებელი მრავალრიცხოვანი საზოგადოების, თუ სახელმწიფოს მართვა. ჩვენ გვეჩვენება, რომ კანონის თვალსაზრისით ჩვენი ქვეყანა მეტნაკლებად მოწესრიგებულია. თუმცა, რომ შევადაროთ მთლიანობაში ჩვენი კანონმდებლობა/რეგულაციები ადმინისტრაციის/სასამართლოს სამოქმედო არეალს, დავინახავთ, რომ თურმე იგი ძალზე მცირე ნაწილს (ზღვაში წვეთია) არეგულირებს მოხელის/მოსამართლის ქმედებების თავისუფლების ხარისხთან შედარებით (მაგალითად, უზენაეს სასამართლოში ერთიდაიგივე შემადგენლობამ, ექვსი თვის პერიოდში, ანალოგიური საკითხი (წილის გასხვისების შემდეგ წილზე გაუცემელი დივიდენდი წილის ძველ თუ ახალ მესაკუთრეს ეკუთვნის) საპირისპირო პოზიცია გამოხატა და მეორე გადაწყვეტილებაში ერთი სიტყვა არ დასცდენია

დავით ებრალიძე – ადვოკატი, თავდაცვის და ფინანსთა მინისტრების ყოფილი მოადგილე, ყოფილი ენერჯო ომბუცმენი

(რადგან კანონი არ თხოვს), რომ ექვსი თვის წინ ანალოგიურ საკითხზე საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო. ასევე ხდება ადმინისტრაციაში. მაგალითად, მერს, რომელსაც მშენებლობის კოეფიციენტის გაცემის უფლება ჰქონდა, ერთიდაიგივე მშენებლობაზე ორჯერ თქვა კოეფიციენტის გაცემაზე უარი, ხოლო შემდეგ იგივე მშენებლობაზე გასცა კოეფიციენტი და ერთი სიტყვა, განმარტება არ გაუკეთებია (კანონი არ ავალდებულებს) რატო ამბობდა მანამდე უარს და ბოლოს რატო თქვა თანხმობა. ვინ გაარკვიოს ამ შემთხვევებში კორუფციას ჰქონდა ადგილი, თუ სხვა რამეს? ასე უსასრულოდ შეიძლება მაგალითების მოყვანა. შესაბამისად, დავასკვნით, რომ ჩვენ გვყავს უზომო ძალაუფლებით აღჭურვილი, ნაკლებად რეგულირებული მოხელეები/მოსამართლეები. განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებაში ჩვენ ამ კუთხით ძალზე ჩამოვრჩებით (მაგალითად, საქართველოს მთავარი აუდიტორული ოფისის, იგივე კონტროლის პალატის კანონი სულ რამდენიმე ფურცელზე ეტევა, მაშინ, როდესაც აშშ-ისა ოთხას გვერდზე მეტია. რეგულაციების მოცულობას კი ვერც შეადარებთ). ასეთ ვითარებაში როგორ უნდა მართოს ხელისუფალმა, თუ საზოგადოებამ, ეს ათიათასობით მოხელე, თუ კანონი, რეგულაცია და მათი მიდევნების კონტროლის ეფექტური მექანიზმი არ გააჩნია? შესაბამისად, რჩება „ძალოვანი მმართველობის“ აუცილებლობა. სხვა რა ბერკეტი არსებობს გარკვეულ წესრიგში იყოლიო ძალაუფლებით აღჭურვილი, ნაკლებად რეგულირებული მოხელეები? როგორ უნდა მიხედვ ამ ზღვა მოხელეებში, რომელი როგორ (სწორად თუ არა) იქცევა? ზოგიერთი პოლიტიკური ძალა პრეტენზიას გამოთქვამს – ძალოვანი სტრუქტურები თვითმართველობების საქმიანობაში ერევიან და ეს არ უნდა მოხდესო. თუმცა, იმას აღარ ამბობენ, სხვა რა ალტერნატივა არსებობს ნაკლებ

კვალიფიციურ, გამოცდილებისა და რეგულაციების არ მქონე თვითმმართველობების პირობებში?

სწორედ ამიტომ და კიდევ იმ მიზეზის გამო, რომ ხელისუფალს აქვს სურვილი ძალაუფლების გახანგძლივების, ხელისუფლება დღესაც იმართება „პოლიციურად“ (გამოკვეთილად დიდი დობით ძალოვანი კადრებით, ინსტრუმენტებით, შერჩევით სამართალზე დამყარებული არასაჯარო, პარალელური მმართველობა). ამდგვარ მართვას თავისი წინაპირობები აქვს. ტაქტიკური ამოცანების გადაჭრაში ძალოვანი/პოლიციური ინსტიტუტების მოქმედებები ხელისუფალისთვის გაცილებით „ეფექტურად“ გამოიყურება (მაგალითად, წინა ხელისუფლების დროს ციხეში „წესრიგის დამყარება“, ამჟამინდელი ხელისუფლების დროს ფინანსური პოლიციის როლი თბილისის საკრებულოს „მორჯულებაში“ მეტად ეფექტურად ჩანდა). ჩამოყალიბებულია აზრი, რომ საქართველოში ამის გარეშე შორს ვერ წახვალ და იგი ყველაზე უფრო ეფექტურია.

ეს არის მცდარი შეხედულება. „პოლიციური მმართველობა“ უნდა შეიცვალოს არა მარტო იმიტომ, რომ უბრალოდ ცივილური სახელმწიფო ამას მოითხოვს, არამედ იმიტომ, რომ ნაკლებად რაციონალური, არაეფექტური და პირველ რიგში მმართველისთვის დიდი რისკფაქტორის შემცველია. ილუზორულია „პოლიციური მმართველობით“ მიღწეული წარმატებები. ისინი, მოკლევადიან ტაქტიკურ ამოცანებს წყვეტენ, თუმცა სტრატეგიულად, როგორც წესი, წამგებიანია. ამის ნათელი მაგალითია სააკაშვილის ხელისუფლების კრახი.

მართვის სხვა რა ალტერნატივა არსებობს ხელისუფალის მხრიდან, რომ ხერხემლად და მთავარ დასაყრდენ იარაღად „პოლიცია“ არ იყოს გამოყენებული? როგორ უნდა იმართოს, კონტროლირებულ იქნას ათიათასობით ხელქვეითი ყველა დონეზე?

მართვის ეფექტურობის მისაღწევად აუცილებელია პირველ რიგში იგი მარტივად ადმინისტრირებადი იყოს. მარტივი ადმინისტრირება გულისხმობს მარტივ წესებს და ამ წესების შესაბამისად მოქმედების მონიტორინგისა და ანალიზის მარტივ მექანიზმს. თუმცა კანონები, რეგულაციები მალე ვერ დაიწერება და დაიხვეწება. ვისაც ამის ილუზია აქვს, ის ვერ აფასებს რა მოცულობის

რეგულაციებს ვსაჭიროებთ.

წესების ყველაზე მარტივად დანერგვის მექანიზმია პრეცედენტული/ერთგვაროვანი სამართლის პრაქტიკის უზრუნველყოფა.

გადაუდებელი აუცილებლობაა პრეცედენტული/ერთგვაროვანი პრაქტიკის. ეს, როგორც ჟანგბადი, ისე გვესაჭიროება (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ეს ვალდებულება არსებობს, თუმცა იგი ნიველირებულია).

მცდარია მოსაზრება, რომ პრეცედენტული, თუ კონტინენტული სამართლის არჩევანი ჩვენს შემთხვევაში თეორიული გემოვნების საკითხია. გამოითქმის აზრი, რომ პრეცედენტული სამართალი მოსამართლის არჩევანის თავისუფლებას ზღუდავს და არ იქნება სწორი მოსამართლეებს თავისუფლება შევუზღუდოთ.

პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ პრეცედენტულ და კონტინენტურ სამართალში არსებითი განსხვავება საბოლოო ჯამში ის კი არ არის, რომ ერთი მოსამართლის თავისუფლებას ზღუდავს და მეორე არა, არამედ ის, თუ როგორი მექანიზმით იხვეწება რეგულაციები და პრაქტიკა. პრეცედენტულ სამართალში კანონის თანახმად მოითხოვება, რომ სასამართლო დაეყრდნოს ზედა და იმავე ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუმცა პრეცედენტული სამართალი იმავდროულად უშვებს შესაძლებლობას და აძლევს მოსამართლეს უფლებას, თუ იგი დასაბუთებულად ჩათვლის, გადაუხვიოს ამ ოქროს წესს. იმავდროულად, კონტინენტურ სამართალში არის ეგრეთწოდებული სარეკომენდაციო ხასიათის „გაიდლაინები“, რომელზე დაყრდნობაც მიზანშეწონილია მოსამართლისთვის. ე.ი. განსხვავება იმაშია, რომ ერთ შემთხვევაში არსებობს სამართლებრივი მოთხოვნა, რომ დაეყრდნოს მოსამართლე, თუმცა მას შეუძლია განსაკუთრებულად დასაბუთების შემთხვევაში გადაუხვიოს ამ ოქროს წესს, ხოლო მეორე შემთხვევაში არ არის იმპერატიული ნორმა, რომლითაც სამართლებრივად სავალდებულოა მოსამართლე სარეკომენდაციო გაიდლაინს დაეყრდნოს, თუმცა მითითებაა და ამ წესიდან გადახვევისას მოსამართლეს სერიოზული არგუმენტაციის მოხმობა ევალება. სტატისტიკურად გადახვევები ამ ეგრეთწოდებული ჩარჩოებიდან ორივე სამართალში დიდად არ განსხვავდება. ამ ორ მიმართულებას შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ პრეცედენტულ სამართალში

დაყრდნობა ხდება კონკრეტულ სასამართლო გადაწყვეტილებებზე, ხოლო კონტინენტურ სამართალში „გაიდლაინებზე“, რომელსაც მეცნიერი იურისტები ქმნიან უზენაესი სასამართლოს მეშვეობით. ორივე შემთხვევაში მოსამართლეს წინ უდევს არამხოლოდ კანონმდებლობა, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო იღებს, არამედ ამასთან ერთად ამ კანონმდებლობის განმარტებები (პრეცედენტული სამართლის შემთხვევაში წინა სასამართლო გადაწყვეტილებები, ხოლო კონტინენტურ სამართალში მეცნიერი იურისტების მიერ შედგენილი „გაიდლაინები“) და რაც უფრო მეტია წინა სასამართლო გადაწყვეტილებები პრეცედენტულ სამართალში ან „გაიდლაინები“ კონტინენტურში, მით უფრო უმცირდება არჩევანის თავისუფლების არეალი მოსამართლეს (თუ საჯარო მოხელეს). შესაბამისად რაც უფრო დიდი ისტორია გააჩნია ქვეყნის სასამართლოს (თუ ადმინისტრაციას) მით ნაკლები არჩევანის თავისუფლება რჩება მოსამართლეს (მოხელეს), რამდენადაც ქვეყანაში მეტი სასამართლო პრაქტიკა დაგროვდა, ან მეტი გაიდლაინი დაიწერა. რა დასკვნა გამოდის აქედან? გამოდის, რომ ისეთი ქვეყანა, როგორც ჩვენ ვართ, რომელიც სასამართლო პრაქტიკას ეხლა ქმნის, ყველაზე თავისუფალი მოსამართლეები ჰყავს დედამიწის ზურგზე (გააჩნია ამ თავისუფლებას რაში იყენებენ. შევარდნაძის დროს - კორუფციისთვის, სააკაშვილის დროს - ხელისუფლების საამებლად).

ე.ი. ჩვენი სასამართლოს ყველაზე დიდი პრობლემაც სწორედ ეს არის — სიცარიელით განპირობებული თავისუფლება.

ჩვენ კონტინენტური სამართლის ნიშნები გვაქვს — მხოლოდ ნიშნები. შეიქმნა რაღაც ტიპის სარეკომენდაციო ხასიათის გაიდლაინები, რომელიც ზღვაში წვეთია. ამ მწირ გაიდლაინებსაც უნდათ ეყრდნობიან უნდათ არა, როგორც მოაწყობთ, არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ მისგან გადახვევისას.

ეხლა იმ საკითხს შევხები, რატომ უნდა მივანიჭოთ უპირატესობა პრეცედენტულს „გაიდლაინებთან“ მიმართებაში:

მეცნიერი იურისტები კი არა, ნორმალური პრაქტიკოსი ადვოკატები და მოსამართლეები თითზე ჩამოსათვლელია საქართველოში. ჩვენ არ გავაჩნია მეცნიერი იურისტების საკმარისი რაოდენობა,

რომელთაც უმოკლეს ვადაში შეეძლებათ ამ უზარმაზარი მოცულობის სამუშაოს შესრულება (ამის დასტურია შექმნილი გაიდლაინების სიმწირე). გაცილებით ადვილია პრაქტიკული თვალსაზრისით კონკრეტული სასამართლო პრაქტიკით დავაგროვოთ რეგულაციები, მიდგომები. თანაც და ძალზე მნიშვნელოვანი: როდესაც თითოეულ სასამართლო გადაწყვეტილებას პრეცედენტის ძალა შეეძინება (ზედა ინსტანციის გადაწყვეტილებას ქვედა ინსტანციაზე და ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილებას ჰორიზონტში) ეს ძალზე სერიოზულ ტვირთად დააწვება ყოველ მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღებისას (სად ის, როდესაც მოსამართლემ იცის, რომ მისი გადაწყვეტილება დღეის ამას იქით ყველა, ამ სფეროში მომუშავე ადვოკატის, მოსამართლის თუ მკვლევარის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იქნება და სად ეს დღევანდელი სიტუაცია, როდესაც მოსამართლეები ძირითად შემთხვევაში მხარეებთან ერთად მარტონი რჩებიან თავიანთ გადაწყვეტილებებთან) ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ეს პასუხისმგებლობა არსებითად დადებითად იმოქმედებს გადაწყვეტილებებზე. დადებითი ეფექტი გამოიკვეთება მყისიერად, ამ წესის შემოღებისთანავე და არა პრაქტიკის დაგროვების, დიდი ხნის მერე. შემთხვევითი არ არის, რომ ევროპის სასამართლო სწორედ პრეცედენტულ პრაქტიკას მისდევს (იგულისხმება არამხოლოდ მისი გადაწყვეტილებების პრეცედენტულება, არამედ თვით ისიც ნაციონალურ უმაღლეს სასამართლოების პრაქტიკას ეყრდნობა.) ევროგაერთიანება ახალი შექმნილია და მათ სწორედ პრეცედენტული პრაქტიკა არჩიეს, იმავდროულად ისინი ეყრდნობიან ნაციონალური სასამართლოების პრაქტიკას. მათაც ხო შეეძლოთ გაიდლაინების წერა დაეწყოთ, მაგრამ ერთადერთი სწორი, პრაგმატული გზა აირჩიეს. კონტინენტური სამართლის ძირძველი ქვეყნებიც კი რეალურად პრეცედენტულ პრაქტიკას მისდევენ. გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებებს ქვედადონის სასამართლოები გამოწვავისის გარეშე ატარებენ პრაქტიკაში.

ჩვენ შეგვიძლია სასამართლოს არსებითად ნახტომისებურად გაუმჯობესება. და არამარტო სასამართლოს, აღნიშნული პრაქტიკის დანერგვა ავტომატურად გამოიწვევს ადმინისტრაციაზე ჯანსაღ ზეგავლენას, რამდენადაც ისინიც ერთიანი და პროგნოზირებადი თამაშის წესს დაექვემდებარებიან.

პრეცედენტულ პრაქტიკაზე გადასვლა არც ისე რთულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. აღნიშნულთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებაში დღეს არსებული სამართლის შეცვლა საჭირო არ არის. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლი ამ ვალდებულებას კარგახანია აწესებს („საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას“), უბრალოდ კანონის ამ დანაწესს არავინ იცავს. საჭიროა ამ ნორმის განუხრელად დაცვის პრაქტიკის დამკვიდრება. სასამართლო ხელისუფლებაში პრეცედენტული/ერთგვაროვანი სამართლის ელემენტების დასამკვიდრებლად საჭიროა გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები. პრეცედენტული/ერთგვაროვანი პრაქტიკა მარტივად გამოყენებადი რო იყოს საჭიროა ასევე გადაწყვეტილებათა ელექტრონული რეგისტრირება-მოძიების კარგი სისტემის შექმნა. პრეცედენტული პრაქტიკის დამკვიდრება შეიძლება მოხდეს თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ. მაგალითად, ჯერ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები გახდეს პრეცედენტული (უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებები ისედაც პრეცედენტულია, თუმცა ეს ზღვაში წვეთია. სულ ორმოცდაათამდე ასეთი გადაწყვეტილებაა მთელი არსებობის მანძილზე. აქვე უნდა ითვას, რომ ანალოგიის პრაქტიკას დღეს იყენებენ მოსამართლეები, თუმცა მას არათანმიმდევრული და არარეგულირებადი ხასიათი აქვს და მოსამართლეთა ნებაზეა მხოლოდ დამოკიდებული), შემდგომ აპელაციას და ასე შემდეგ.

რა რისკფაქტორებზე შეიძლება იფიქროს კრიტიკოსმა?

1. პირველი, მაგალითად, თუ არასწორი პრაქტიკა დაწესდა ერთი გადაწყვეტილებით და შემდეგ კოლეგიალური სუბიექტური მოსაზრებებით შემდგომმა მოსამართლეებმა რევიზია არ ისურვეს და ავტომატურად გადაიტანეს. ასეთ შემთხვევაზე შემიძლია შემდეგი არგუმენტის თქმა: წესრიგის საერთოდ არარსებობას ისევ არასწორი, თუმცა რაღაც პროგნოზირებადი არასწორი წესრიგი სჯობს. მეორეც, მოსამართლეთა ჯანსაღი ამბიციის დიდხანს არ დატოვებს არასწორ პრაქტიკას ძალაში და ყოველთვის ექნება მისწრაფება უფრო სწორი პრაქტიკის დამკვიდრების (ახალი პრაქტიკის დამამკვიდრებელი დაინტერესების საგანი გახდება);
2. არსებობს რისკი, რომ რაღაც პრაქტიკის დამკვიდრება-განზოგადებამ პრობლემა შეუქმნას მაგალითად ხელისუფლებას, თუმცა ეს იქნება მოკლევადიანი და დიდი ეფექტის მატარებელი არ იქნება, რამდენადაც პრობლემა უმალ იჩენს თავს, ხელისუფლებას ექნება როგორც რეგულაციების შეცვლის, ასევე ოქროს წესის გამოყენების უფლებაც (პრაქტიკის არგუმენტირებულად გადახედვა). ჩვენ ვსაუბრობთ პრეცედენტული სამართლის მხოლოდ იმ ელემენტის დამკვიდრებაზე, რაც წარმოადგენს ინტერპრეტაციის საკითხს და არა კანონშემოქმედებითობას.
3. მოსამართლეთა, მოხელეთა და ადვოკატთა დაბალი კვალიფიციურობა პროცედენტული პრაქტიკის ყველა ეფექტის ერთბაშად ამუშავებას შეუძლებელს გახდის, თუმცა თანდათანობით ყველა დაიხვეწება: როგორ უნდა დაწერო გადაწყვეტილება და ასე შემდეგ.

პუბლიკაცია: ბავშვებზე ძალადობის შესახებ



მარიამ ბიჩაძე – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მაგისტრანტი, პრაქტიკოსი იურისტი

შესავალი

21-ე საუკუნეში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად იქცა ბავშვთა მიმართ როგორც ფიზიკური ასევე ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის განხორციელების ფაქტებმა.

ოჯახის მხრიდან ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობის თემა განსაკუთრებით მტკივნეულია და რთული.

ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით და იძულებით.

ბავშვი არის ყოველი ადამიანი სანამ 18 წლის ასაკს მიაღწევდეს. ბავშვის ფსიქიკა ძალიან ფაქიზი დასათუთია, ამიტომ ძალადობა ბავშვის ფსიქიკაზე ძალიან ნეგატიურ კვალს ტოვებს. ძალადობის მსხვერპლი ბავშვები საგრძნობლად განსხვავდებიან იმ თანატოლებისაგან, რომლებიც მშვიდ გარემოში იზრდებიან.

ბავშვზე მავნე გავლენას ახდენს მშობლების არასწორი მიდგომა. მშობლები ისე არ უნდა მიუდგნენ შვილს, რომ არ მოკლან მისი სული. ბავშვი ძალადობას განიცდის, თუ მშობელი ან ოჯახის რომელიმე წევრი ფიზიკურ

შეურაცხყოფას აყენებს, აშინებს, აკრიტიკებს სხვების თანდასწრებით, ამცირებს, ემუქრება ბავშვთა სახლში ჩაბარებით. ბავშვობაში განცდილი ძალადობის კვალი მობრდილ ასაკშიც იჩენს თავს. ზრდასრულ ადამიანებში ფსიქიკური აშლილობების დიდი ნაწილი ბავშვობაში გადატანილ ძალადობას უკავშირდება. ბავშვობაში განცდილი ძალადობის მქონე ზრდასრულ ადამიანებს ხშირად აღენიშნებათ მართობის განცდა, დაბალი თვითშეფასება, ძილის დარღვევა. ბავშვობაში განცდილი ძალადობა ზრდის ალბათობას იმისა, რომ მომავალში ეს ბავშვები თავადაც მოძალადე მშობლები გახდებიან.

ოჯახური პრობლემები მხოლოდ ოჯახის წევრებს არ ეხებათ და ძალადობა აუცილებლად უნდა აღიკვეთოს. შესაბამისად ბევრმა სახელმწიფომ ამ პრობლემის სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად სპეციალური კანონმდებლობა შექმნა ან უკვე არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებები შეიტანა.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტები: 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1989 წელს მიღებული ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია განამტკიცებენ თითოეული ადამიანის საყოველთაო უფლებათა და თავისუფლებათა პრინციპებს, რომელიც მოიცავს როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, ისე ეკონომიკურ უზრუნველყოფასთან, ჯანდაცვასა და განათლებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, რაც ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრების დონეზე ახდენს გავლენას.

დღესდღეობით ადამიანების უმეტესობას კიდევ არა აქვს ცოდნა იმისი შესახებ, რომ არასწორმა აღზრდის მეთოდებმა შეიძლება სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს და მათვის მიღებული „აღზრდის პრინციპები“ იწვევს ბავშვის არასრულფასოვნებას.

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია მკითხველისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდება ოჯახში ბავშვების მიმართ

არსებული ძალადობის პრობლემებთან დაკავშირებით. განხილულია ოჯახში ძალადობის ფორმები, თუ რა ითვლება ოჯახში ძალადობად, რა იწვევს მას და რა სამართლებრივი მექანიზმები არსებობს ამ პრობლემის დასაძლევად.

ბავშვებზე ძალადობის ფორმები

ფსიქოლოგიური ძალადობა-შეურაცყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.

ფიზიკური ძალადობა-ცემა, წამება, ჯამრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას.

სექსუალური ძალადობა-სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით. სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ.

უგულებელყოფა-ბავშვის სიცოცხლის, ჯამრთელობისა და განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროების (საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, მოვლა, მეთვალყურეობა, ყურადღება, განათლება, სამედიცინო დახმარება და სხვა) ბრეგულარული დაუკმაყოფილებლობა¹.

სექსუალური ძალადობის შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, ბავშვის თანხმობით მოხდა ეს თუ არა. მოზრდილს, ჯერ ერთი, იოლად შეუძლია ბავშვზე ზეგავლენის მოხდენა, და მეორე ბავშვს არ შეუძლია ამ ქმედებათა მნიშვნელობის გაგება, მათი შეფასება. ბავშვისათვის მატრავმირებელია სექსუალური ძალადობის ნებისმიერი ფორმა. შედეგებმა შეიძლება თავი იჩინოს როგორც დაუყონებლივ, ისე ბრდასრულობით ასაკშიც და გამოვლინდეს მრავალფეროვანი ფსიქოლოგიური, ემოციური, ქცევითი, სამედიცინო პრობლემების სახით.

ძალადობის ყველა ფორმა თავის კვალს აჩენს ბავშვის მომავალს. სამწუხაროდ, მშობელთა უმრავლესობა ყვირილს, მუქარას, დაშინებას, დამცირებას, შეურაცხყოფას და ამავედროულად ფიზიკურ დასჯას არ მიიჩნევს ძალადობად. უფრო მეტიც, მშობელთა გარკვეული ნაწილი ფიზიკურ დასჯას აღზრდის ეფექტურ

მეთოდად განიხილავს

ფსიქოლოგიურ ძალადობას ძალიან დიდი ზიანი მოაქვს და კიდევ უფრო დამანგრეველია, ვიდრე ფიზიკური ძალადობა, რადგანაც ფსიქოლოგიური ძალადობა აზიანებს ადამიანის ფსიქიკას ანუ მთლიანად პიროვნებას. მუდმივი სიტყვიერი თავდასხმები და შეურაცხყოფა მშობლის მხრიდან, ბავშვს სულიერად ასუსტებს და აზიანებს კავშირს ბავშვსა და მშობელს შორის. ხშირად ასეთ სიტუაციებში ბავშვები კარგავენ უსაფრთხოების შეგრძნებას, რაც თავის მხრივ იწვევს დაბალი თვითშეფასების ჩამოყალიბებას. შესაძლებელია, რომ ბავშვები, რომლებიც მუდმივად ან ხშირად განიცდიან ფსიქოლოგიურ ძალადობას მშობლების მხრიდან, გახდნენ ვადამეტებულად მორჩილნი მშობლების მიმართ ან პირიქით ან პირიქით, შეიძლება ერთ დღესაც აუჯანყდნენ მშობლებს და მთლიანად უარყონ მათი ავტორიტეტი.

ბავშვის აღზრდის ძალადობრივი მეთოდები გამოუსწორებელ უარყოფით კვალს ტოვებს ბავშვზე და მოქმედებს მის შემდგომ განვითარებაზე. ყველა მშობლისათვის საოცნებო წარმატებული, ხალისიანი, ჯამრთელი ბავშვის ნაცვლად ძალადობის შედეგად ყალიბდებიან გულჩათხრობილი და ჯამრთელობაშელახული ახალგაზრდები, რომლებსაც უჭირთ ცხოვრებისეულ სირთულეებთან განმკლავება და წარმატებასაც ძნელად აღწევენ.

ბავშვებზე ძალადობის გამომწვევი ფაქტორები ?

სისასტიკე და ძალადობა ადამიანითა საზოგადოებაში უძველესი დროიდან არსებობდა. ისტორიამ მრავალი მაგალითი იცის იმისა, როცა ბავშვების მიმართ არაადამიანური მოპყრობა სახელმწიფო დონეზე იყო დაკანონებული. პირველი სახელმწიფოების განვითარების უძველეს პერიოდში ბავშვის უფლებების მიმართ ფუნდამენტური პოზიცია იყო მოზრდილის სრული ძალაუფლება პრაქტიკულად ნებისმიერი ასაკის შვილებზე.

მაგალითად რომის იმპერიის ძლიერების ხანაში, აბსოლუტური იყო მხოლოდ მამის ძალაუფლება თავის შვილებზე, და არა ორივე მშობლის. მხოლოდ მამას შეეძლო განეკარგა შვილის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. მას ჰქონდა უფლება, გადაეწყვიტა, შეენარჩუნებინა თუ არა სიცოცხლე ახალშობილი შვილისათვის. მამას უფლება ჰქონდა, მონად გაეყიდა,

¹ - ელენე რუსეცკი, ინგა ბერიძე, ნათია წიკვლაძე - სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობა და სამართლებრივი დახმარება, თბილისი, 2008 წ. გვ. 9-10.

სახლიდან გაეგდო თავისი შვილი, შეეწირა მსხვერპლად და მოეკლა კიდევ. მიტოვებულ ბავშვებს მონებად იყენებდნენ აიძულებდნენ, პროსტიტუციასა და მათხოვრობას.

ძველი ბაბილონის კანონმდებლობა ითვალისწინებდა ძალიან მკაცრ სასჯელს „ურჩი შვილებისათვის“: „უკეთუ შვილმა მამას გაართვა, ხელის მტევანი უნდა მოაჭრან“. ასევე, თუ შვილობილი ეტყოდა თავის დედას ან მამას, რომლებმაც ის გაზარდეს – „შენ არ ხარ ჩემი დედა“, „შენ არ ხარ ჩემი მამა“, – მას ენას მოაჭრიდნენ².

ბავშვთა მიმართ ძალადობის საფრთხე განსაკუთრებით მაღალია იმ ოჯახსა და საზოგადოებაში, სადაც წარმოდგენილია ჩამოთვლილი ფაქტორების სხვადასხვა კონბინაცია.

- მშობელთა ფსიქიკური პრობლემები და დავადებები;
- პიროვნება, რომელიც ადრე იყო ძალადობის მსხვერპლი, ხშირ შემთხვევაში თვითონაც ხდება მოძალადე;
- ალკოჰოლიზმი და ნარკომანია;
- ბავშვების გაუცნობიერებლობის დაბალი დონე;
- მშობელთა ნაკლებად ინფორმირებულობა;
- გამოუცდლობა და უცოდინრობა ბავშვშივე განვითარების შესახებ;
- ხშირო ცოლ-ქმრული პრობლემები;
- ძალიან ახალგაზრდა მშობლები;
- დაბალი კულტურა და განათლება;
- დაბალი ეკონომიკური შემოსავალი, სიღარიბე;
- ეთნოკულტურული ტრადიციები, რომელთა მიხედვით ძალადობა დასაშვებია.

ერთი კონკრეტული მიზეზის დასახელება რთულია. ბავშვთა მიმართ ძალადობის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც პიროვნული, ისე კულტურული და სოციალური ფაქტორებით გამოწვეული. ისეც ხდება, რომ ბავშვზე ძალადობის ფაქტორები თავად ბავშვს უკავშირდება, ასე მაგალითად: როდესაც ბავშვი არასასურველი შვილია, დღენაკლულია, მუდმივად ტირის, ფიზიკური და

ფსიქიკური ჯამრთელობის პრობლემები აქვს, ფიზიკური სიმახინჯით დაიბადა.

ვინ შეიძლება იყოს ბავშვზე მოძალადე?

ბავშვები ძალადობას განიცდიან სხვადასხვა პიროვნებისაგან, ხშირად მოძალადე მშობელია. ხშირად მშობლები, რომლებიც რეგულარულად სცემენ თავიანთ შვილს, გარეშეებთან ურთიერთობაში ძალიან სასიამოვნონი არიან და სხვათაგან არაფრით გამოირჩევიან.

ადგილი აქვს, ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მშობლები არ ახორციელებენ ფიზიკურ ძალადობას თავიანთ შვილებზე მაგრამ მშობლებს შორის არსებული ხშირი უთანხმოების გამო, ბავშვების ფსიქოლოგია ზიანდება და ისინი მუდმივ სტრესში იმყოფებიან. მრავალი წყვილი ადრეულ ასაკში ქორწინდება და ვერ აცნობიერებს თუ რა ვალდებულებები აკისრია ოჯახსა და ერთმანეთის მიმართ.

არიან წყვილები, რომელთა უთანხმოების მიზეზი არა ადრეული ქორწინება, არამედ ფინანსური მდგომარეობა ან განსხვავებული შეხედულებები ხდება. ბავშვს ჰგონია, რომ რაც მის გარშემო ხდება ოჯახში, სრულიად დაშვებულია. გამორიცხული არ არის, რომ ასეთი ბავშვები, როცა გაიზრდებიან და ოჯახებს შექმნიან, თვითონაც იგივე გაიმეორონ, რასაც მის თვალწინ მშობლები ჩადიდნენ: ხშირად კამათი, აურზაური, დაპირისპირება და დაძაბულობა ბავშვის მომავალზე აისახება.

ბავშვი ძალადობას შეიძლება ასევე განიცდიდეს სკოლაში. მოძალადე შეიძლება იყოს მასწავლებელი, ან თანატოლი. ზოგიერთი მასწავლებელი ბოროტად იყენებს თავის სტატუსს, ასაკობრივ თუ სხვა უპირატესობას – შეურაცხყოფს მოსწავლეს, ლანძღავს, დასცინის, სცემს კიდევაც. ძალადობა შეიძლება ასევე მომდინარეობდეს თავად თანატოლებისაგან. ბავშვს, შეიძლება დასცინონ კლასელებმა და შეურაცხყოფა მიაყენონ განსხვავებული აზრის, ჩაცმის სტილისა თუ ოჯახში არსებული პრობლემების გამო.

ზოგადად მოძალადე შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი სქესის, სოციალური სტატუსის, ასაკის, რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად. ბავშვი, რომელიც გაჭირვების გამო ქუჩაში მათხოვრობს, აცვია

2 – სტატია: ელა კუსიანი ძალადობა ოჯახში და მისი გადაჭრის გზები, “ქურნალი სოლიდარობა № 4 (37)“, 2011 წ, გვ 4-5.

დახეული, ჭუჭყიანი, ძველი ტანსაცმელი შეიძლება გარშემომყოფების მხრიდან გახდეს დაცინვის და შეურაცხყოფის სუბიექტი.

ვინ შეიძლება გახდეს ძალადობის მსხვერპლი ?

ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი, მაგრამ არსებობს ბავშვების კატეგორია, რომლებიც სასტიკი მოპყრობის „რის-ჯგუფს შეადგენენ“. რისკის ჯგუფში შედიან ბავშვები, რომელთა დედებიც სისტემატიურად განიცდიან ძალადობას, შვილად აყვანილი, ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ან „არასასურველი ბავშვები“.

ბავშვის უფლებები?

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ბავშვთა უფლებების კონვენცია 1989 წლის 20 ნოემბერს მიიღო. იგი ძალაში 1990 წლის 2 სექტემბრიდან შევიდა. კონვენცია შედგება 54 მუხლისაგან, რომელთაგან პირველი 42 მუხლი შეეხება ბავშვის დაცვასთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებს – ბავშვის უფლებებს, სახელმწიფოს ვალდებულებებს და ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული ადამიანის მოვალეობებს 43-54 მუხლებში კი საუბარია იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ სახელმწიფომ და ზრდასრულმა ადამიანებმა ერთად კონვენციით

ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

კონვენციას მიერთებულია 193 ქვეყანა, ამ ქვეყნებმა აიღეს კონვენციით ნაკისრი ვალდებულების შესრულების სამართლებრივი პასუხისმგებლობა. საქართველო აღნიშნულ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა.

მუხლი 1

ყველა ადამიანი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი, ითვლება ბავშვად.

მუხლი 2

სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ყველა ბავშვის უფლება – რელიგიის, ეროვნების, კანის ფერისა და სხვა განსხვავებების მიუხედავად.

მუხლი 3

ყველა მოქმედების დროს, რომელიც ბავშვს ეხება, დაცული უნდა იყოს მისი ინტერესები. სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ბავშვის ინტერესების დაცვაზე.

მუხლი 4

სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს ბავშვთა უფლებების დასაცავად.

მუხლი 5

სახელმწიფო ვალდებულია, პატივი სცეს ყველა იმ ადამიანის უფლებას, რომელიც ბავშვის აღზრდაში მონაწილეობს.

მუხლი 6

ყველა ბავშვს აქვს სიცოცხლის უფლება და სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ბავშვის განვითარებაზე.

მუხლი 7

ბავშვს დაბადებისთანავე აქვს უფლება, ჰქონდეს სახელი, გვარი და მოქალაქეობა. ასევე უფლება აქვს, იზრდებოდეს მშობლების გარემოცვაში.

მუხლი 8

სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას და, საჭიროების შემთხვევაში, აღადგინოს ბავშვის პიროვნულობის გამომხატველი ძირითადი ნიშნები: სახელი, მოქალაქეობა და ოჯახური კავშირები.

მუხლი 9

ბავშვს უფლება აქვს, იცხოვროს მშობლებთან ერთად და, მშობლების განცალკევების შემთხვევაში, ურთიერთობა ჰქონდეს მათთან, თუ ეს არ არის მისთვის საზიანო.

მუხლი 10

ბავშვსა და მის მშობლებს ყოველთვის შეუძლიათ დატოვონ და დაუბრუნდნენ საკუთარ ქვეყანას, რათა ერთ ოჯახად იცხოვრონ.

მუხლი 11

სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ქვეყნიდან ბავშვების არალეგალური გაყვანა.

მუხლი 12

ბავშვს შეუძლია გამოთქვას თავისი აზრი ისეთ საკითხებზე, რომელიც მას ეხება.

მუხლი 13

ბავშვს აქვს აზრის გამოხატვის და გამოარების უფლება, თუ ეს ინფორმაცია არ არის მისთვის ან სხვისთვის

საზიანო.

მუხლი 14

სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვის აზრისა და რწმენის თავისუფლება და პატივი სცეს მას.

მუხლი 15

ბავშვს შეუძლია გაერთიანდეს ასოციაციაში ან მოაწყოს მშვიდობიანი შეკრება, თუ არ დაარღვევს სხვათა უფლებებს.

მუხლი 16

ბავშვს აქვს პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

მუხლი 17

ბავშვს აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია მედიის საშუალებით, სახელმწიფომ კი მხარი უნდა დაუჭიროს მედიას ბავშვისთვის სასარგებლო ინფორმაციის გავრცელებაში.

მუხლი 18

მშობლები ვალდებული არიან, ბავშვის აღზრდაზე იზრუნონ და, თუ ისინი მუშაობენ და დაკავებული არიან, სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს მათ.

მუხლი 19

სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვი მშობლის, მეურვის, ან ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ძალადობისაგან.

მუხლი 20

სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს მზრუნველობა-მოკლებულ ბავშვებს და შეუქმნას მათ ოჯახური გარემო.

მუხლი 21

ბავშვის გაშვილება უნდა მოხდეს სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. უპირატესობა ენიჭება სამშობლოში გაშვილებას, თუმცა შესაძლებელია სხვა ქვეყანაში გაშვილებაც, თუ ეს ბავშვის ინტერესებშია.

მუხლი 22

სახელმწიფომ განსაკუთრებულად უნდა იზრუნოს ლტოლვილ ან ლტოლვილობის სტატუსის მიღების მოსურნე ბავშვზე და, საჭიროების შემთხვევაში, დაეხმაროს მას მშობლების მოძებნაში.

მუხლი 23

შებლდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს უფლება აქვს, მიიღოს სპეციალური განათლება, რათა შეძლოს ღირსეულად ცხოვრება. ასეთ ბავშვზე სახელმწიფო განსაკუთრებულად უნდა ზრუნავდეს.

მუხლი 24

ბავშვს აქვს უფლება, სარგებლობდეს ხარისხიანი სამედიცინო დახმარებით, სუფთა წყლით, ჰქონდეს სრულფასოვანი კვება და უსაფრთხო გარემო, რათა ჯანმრთელობა შეინარჩუნოს. სახელმწიფო ვალდებულია შეამციროს ბავშვთა სიკვდილიანობა. მდიდარი ქვეყნები უნდა ეხმარებოდნენ ღარიბ ქვეყნებს იმაში, რომ ყველა ბავშვი ჯანმრთელი იყოს.

მუხლი 25

სახელმწიფო ხშირად უნდა ამოწმებდეს იმ ბავშვის მდგომარეობას, რომელსაც მეურვე ზრდის.

მუხლი 26

სახელმწიფო უნდა დაეხმაროს იმ ბავშვებსა და ოჯახებს, რომელთაც ეს სჭირდებათ.

მუხლი 27

ყველა ბავშვს აქვს უფლება, იცხოვროს ისეთ პირობებში, რომელიც აუცილებელია მისი განვითარებისათვის. მშობლები ვალდებული არიან, შეუქმნან შვილებს ცხოვრების ნორმალური დონე, სახელმწიფო კი ვალდებულია, დაეხმაროს მათ ამაში.

მუხლი 28

ბავშვს უფლება და ვალდებულება აქვს, უფასოდ მიიღოს დაწყებითი განათლება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საშუალო და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა. დისციპლინის მოთხოვნა სკოლაში უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ღირსებასა და ინტერესებს. მდიდარი ქვეყნები უნდა ეხმარებოდნენ ღარიბ ქვეყნებს იმაში, რომ ყველა ბავშვმა მიიღოს განათლება.

მუხლი 29

განათლება მიმართული უნდა იყოს ბავშვის გონებრივი და ფიზიკური განვითარებისაკენ. სკოლამ უნდა მოამზადოს ბავშვი სრულფასოვანი ცხოვრებისათვის, ასწავლოს მშობლების, თავისი და სხვა ქვეყნების კულტურისა და

რელიგიის პატივისცემა.

მუხლი 30

სხვადასხვა ეროვნების ბავშვებს აქვთ უფლება, მშობლიურ ენაზე ილაპარაკონ და იცხოვრონ თავიანთი ტრადიციების შესაბამისად.

მუხლი 31

ბავშვს აქვს დასვენების, თამაშის, კულტურულ და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება.

მუხლი 32

სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც მისთვის საზიანოა.

მუხლი 33

ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს ნარკოტიკების მიღებისა და გავრცელებისაგან.

მუხლი 34

სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ბავშვი სექსუალური ძალადობისაგან.

მუხლი 35

სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ბავშვის მოტაცება ან გაყიდვა.

მუხლი 36

სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ბავშვი ნებისმიერი იძულებითი ქმედებისაგან, რაც საზიანოა მისი განვითარებისათვის.

მუხლი 37

ყველა ბავშვი დაცული უნდა იყოს წამებისა და უკანონო დაკავებისაგან. 18 წლამდე ასაკის მოზარდს არ შეიძლება დანაშაულისთვის შეეფარდოს სიკვდილით დასჯა და მუდმივი პატიმრობა. დაკავების შემთხვევაში ბავშვს უნდა ჰქონდეს კავშირი ოჯახთან და მას პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ.

მუხლი 38

15 წლამდე ასაკის ბავშვები არ უნდა იყვნენ სამხედრო სამსახურში. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ბავშვებზე, რომლებიც საომარ ზონაში ცხოვრობენ.

მუხლი 39

3 – ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989 წ. გვ 2-17.

სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ბავშვის მკურნალობა, თუ იგი დაზარადა შეიარაღებული კონფლიქტის, წამების, ან სასტიკი მოპყრობის დროს და იზრუნოს იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს საზოგადოების ნორმალურ წევრად.

მუხლი 40

ბავშვმა, რომელმაც კანონი დაარღვია, უნდა მიიღოს სამართლებრივი და სხვა სახის დახმარება. მისი დაპატიმრება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოხდეს.

მუხლი 41

თუ სახელმწიფოში მოქმედი კანონები უკეთესად იცავს ბავშვს, ვიდრე ეს კონვენცია, მაშინ სახელმწიფოში მოქმედ კანონებს უპირატესობა ენიჭება.

მუხლი 42

სახელმწიფომ ეს კონვენცია უნდა გააცნოს ყველა ბავშვსა და მშობელს³.

აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული უფლებები გამოყენებულ უნდა იქნეს ბავშვების მიმართ, რათა ისინი დაცული იყვნენ, ნებისმიერი სახის ძალადობისაგან. სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს ცნობიერების ამაღლება ბავშვთა უფლებების შესახებ. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ტრენინგების ჩატარება ბავშვთა უფლებების შესახებ, რომელსაც გაუძღვებიან სპეციალისტები და რომლებზეც დასწრებას შეძლებენ მშობლები და ბავშვები. მათ სპეციალისტები გააცნობენ ბავშვთა უფლებებს და მშობლები გაიგებენ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვის აღზრდის მიმართ სწორი დამოკიდებულება და რამდენად ცუდ გავლენას ახდენს მათ ფსიქიკასა და მომავალზე სხვადასხვა ძალადობრივი ქმედებები. ასევე უნდა დაინიშნოს სპეციალური გაკვეთილები სკოლებში, სადაც ბავშვებს გააცნობენ მათ უფლებებს და მათ ექნებათ შესაძლებლობა გაიგონ უფრო მეტი ინფორმაცია, იმის შესახებ თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათი პიროვნული განვითარება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს, ასევე ბავშვის უფლებებს. ს.ს.კ 1198 მუხლის თანახმად:

1. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი

ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესის უპირატესი გათვალისწინებით.

1. დაუშვებელია არასრულწლოვანი ბავშვის აღზრდისას მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ აღზრდის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც არასრულწლოვნის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს.
2. მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება.
3. მშობლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს შვილმა.
4. მშობლებს ევალებათ, დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას.
5. მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან, განსაზღვრონ თავიანთ შვილებთან მესამე პირთა ურთიერთობის უფლება.
6. მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში⁴.

ბავშვებზე ძალადობის შედეგები

ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს უჭირთ ადაპტაცია, ექმნებათ ფიზიკური და ფსიქიკური პრობლემები. ბავშვი ვერ აღწევს წარმატებას განათლებაში, პირად განვითარებაში. ერთი მხრივ, ასეთი ბავშვები ხდებიან ჩაკეტილები, არ ურთიერთობენ თანატოლებთან, არ ერთვებიან სასწავლო აქტივობებში, აქვთ ცუდი აკადემიური მოსწრება, დაბალი თვითშეფასება, არიან პასიურები, გაურბიან პასუხისმგებლობას, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას. მეორე მხრივ, ძალადობაგანცდილი ბავშვები ხდებიან აგრესიულები და ხშირად სწორედ ამის ფონზე ბავშვებს უარყოფითი ემოციები გადააქვთ სუსტ თანატოლებზე, რომლებიც მათ წინააღმდეგობას ვერ უწევენ. ბავშვები

ხდებიან აგრესიულები, უხერხულობასა და სირცხვილს განიცდიან, ხშირად სახლიდან გარბიან ეძალებიან ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს, ექცევიან კრიმინალური სამყაროს გარემოცვაში. ძალადობის მსხვერპლი ბავშვი დარწმუნებულია საკუთარ არასრულფასოვნებაში, იმაში, რომ „ის ყველაზე ცუდია“, რის გამოც ასეთ ბავშვებს გარშემომყოფთა პატივისცემის მოპოვება, მათთან ურთიერთობა და წარმატების მიღწევა უჭირთ. ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს ზრდასრულ ასაკშიც კი აღენიშნებათ დეპრესია. იგი გამოიხატება მარტოობის განცდით, მოუსვენრობით, ძილის დარღვევით. მოზარდებში ხშირია სუიციდის მცდელობები და თვითმკვლელობა.

ბავშვების უმეტესობას, რომლებიც ცხოვრობენ ოჯახებში, სადაც ფიზიკური დასჯა და შეუარაცხყოფა აღზრდის მეთოდია ან ცხოვრობენ ოჯახებში, სადაც სითბოსა და ყურადღების ნაკლებობაა, აღენიშნებათ ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების შეფერხება. ბავშვები, რომლებიც, ძალადობას განიცდენ ხშირად ჩამორჩებიან თანატოლებს სიმაღლით, წონით ან ორივე მაჩვენებლით ერთდროულად. ისინი უფრო გვიან იწყებენ სიარულს, ლაპარაკს, იშვიათად იცინიან, ცუდათ სწავლობენ სკოლაში. ასეთ ბავშვებს ხშირად აღენიშნებათ მავნე ჩვევები: თითების წოვა, ფრჩხილების კვნეტა. ასევე ეს ბავშვები გარეგნულადაც განსხვავდებიან თავიანთი თანატოლებისაგან: მკრთალი სახით, შემუშპებული, მძინარე თვალებით, მოუწესრიგებელი და არაპიგიური ჩაცმულობით.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვები გამოირჩევიან სექსუალური ურთიერთობის დეტალების ცოდნით და სექსუალური ქცევით, რაც ამ ასაკისათვის შეუფერებელია. იგი ვლინდება სხვა ბავშვებთან თამაშის დროს ან სათამაშოებით თამაშისას. ძალიან ხშირად სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვები მოზრდილ ასაკში თავად ხდებიან აღვირახსნილი მოქმედების ინიციატორები ან მოძალადეები.

ოჯახში ძალადობისაგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები

საქართველოში ოჯახში ძალადობის შემთხვევები მხოლოდ სპეციალური კანონით („ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა

4 – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, იურისტების ბიბლიოთეკა, თბილისი, 2016 წ. გვ 252.

და დახმარების შესახებ“) არ რეგულირდება; ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმებიც, კერძოდ:

სისხლისსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, რომლებიც შეიცავენ სისხლის სამართლის დანაშაულის ისეთ ნიშნებს, როგორცაა: სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება; გაუპატიურება; თავისუფლების უკანონო აღკვეთა; ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის სერიოზული მოშლა ან შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი დაქვეითება ან დაკარგვა და სხვა ამგვარი⁵;

სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ზიანი. ასევე, არამატერიალური ზიანის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად:

1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.
2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცავს არასრულწლოვნის ინტერესებს, თუ მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი ბოროტად იყენებს საკუთარ უფლებამოსილებას, სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას ან არაჯეროვნად ასრულებს მას. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოვალეობაა ასეთი შემთხვევების გამოვლენა და რეაგირება, ხოლო 14 წლის ასაკიდან შეუძლია მიმართოს სასამართლოს⁶.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები გამოი-

ყენება იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა, კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების შესაბამისად.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს კანონიც, ოჯახური ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, დამცავ და შემაკავებელ ორდერებს იყენებს.

დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები. შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც ასევე განისაზღვრება ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები.

მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებში იგულისხმება: მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის დაცვის ზომები; მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხები; მოძალადისთვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა; მოძალადისთვის ბავშვისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხები; მოძალადის მიახლოება მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება; სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

თავშესაფარი გულისხმობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებით საცხოვრებელს ან დროებითი განთავსების ადგილს, რომელიც მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებასა და დაცვის ღონისძიებებს ემსახურება. დღეს საქართველოში სახელმწიფო თავშესაფარი არ გვაქვს. არასამთავრობო

5 - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იურისტების ბიბლიოთეკა, თბილისი, გვ 65-66, 69, 74, 78.

6 - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, იურისტების ბიბლიოთეკა, თბილისი, 2016 წ. გვ. 111, 226, 252.

ორგანიზაციების ბაზაზე არსებული თავშესაფრები მსხვერპლთა დახმარებასა და რეაბილიტაციას დონორი/საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით უზრუნველყოფენ⁷.

დასკვნა

ბავშვები ყველაზე მნიშვნელოვანია და მათი უფლებების დაცვა უნდა იყოს, ერთერთი ყველაზე პრიორიტეტული. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს ბავშვთა უფლებების დასაცავად. ყველა ბავშვს დაბადებისთანავე აქვს უფლება, ჰქონდეს სახელი, გავრი და მოქალაქეობა, იზრდებოდეს მშობლების და ჯანსაღ გარემოცვაში, რაც სახელმწიფომ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს.

ბევრი მშობელი ფიქრობს, რომ „დისციპლინის“ უზრუნველყოფისათვის აუცილებელი საშუალებების გადამეტებულ გამოყენებას არანაირი ზიანი არ მოაქვს. თუ ბავშვს სცემს და ხშირად უყვირის, შეურაცხყოფს, სხვა თანატოლებს შეეადარებს, რომლებიც სკოლაში უფრო უკეთ სწავლობენ, ჰგონია, რომ ამით დაიმსახურებს მათ პატივისცემას, უფრო მორჩილებს გახდის, ხელს შეუშლის მათ ცუდ გარემოში მოხვედრას. პირველ რიგში, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ცნობიერების ამაღლებას, მშობლებმა უნდა გაიგონ, რომ ბავშვების ცემით, შეურაცხყოფით, დასჯით მნიშვნელოვნად აზიანებენ და ანგრევენ მათ მომავალს. სახელმწიფო და თოთოეული ადამიანი ვალდებულია დაეხმაროს ბავშვს პიროვნებად, თავისუფალ-მოქალაქედ, დემოკრატიული საზოგადოების აქტიურ წევრად ჩამოყალიბებაში.

თუ გვინდა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობას წინ აღვუდგეთ, უნდა დავამარცხოთ სინდრომი, რომ ოჯახური პრობლემები ოჯახში უნდა გაირჩეს, რომ ეს ოჯახის საქმეა და არავის არ აქვს მასში ჩარევის უფლება. სახელმწიფომ დიდი წვლილი უნდა შეიტანოს და მშობლებს, ასევე იმ ადამიანებს, რომლებიც უამრავი ძალადობრივი ფაქტის მომსწრენი ხდებიან, ნათლად დაანახოს თუ რამდენად საზიანოა ბავშვის მომავლისა და კეთილდღეობისათვის მასზე ძალადობის განხორციელება და რა შესაძლო შედეგამდე შეიძლება მივიდეთ, თუ აღნიშნულ ფაქტებზე სწრაფ და დროულ რეაგირებას არ მოვახდენთ.

ადამიანი რომელიც ძალადობრივი ფაქტის მომსწრეა

და ამ ყველაფერზე „თვალს ხუჭავს“ და არ მიმართავს შესაბამის სამსახურს, თვითონაც არანაკლებ ევისრება პასუხისგებლობა, ვიდრე ძალადობრივი ფაქტის განმხორციელებელ პიროვნებას. აქტიურად უნდა დავიწყოთ ამ თემაზე საუბარი, რათა შევამციროთ ძალადობის შემთხვევები და ძალადობის ნაცვლად თბილ, სიყვარულით გარემოცულ და მზრუნველ გარემოში გავზარდოთ ბავშვები, რათა მივცეთ მათ საშუალება ირწმუნონ საკუთრი უნარების და გახდნენ სრულფასოვანი, მოსიყვარულე, სათნო, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული წარმატებული ადამიანები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ელენე რუსეცკი, ინგა ბერიძე, ნათია წკებლაძე – სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობა და სამართლებრივი დახმარება, თბილისი, 2008 წ.
2. სტატია: ელა კუსიანი ძალადობა ოჯახში და მისი გადაჭრის გზები, „ჟურნალი სოლიდარობა №4 (37)“, 2011 წ.
3. ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989 წელი.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, იურისტების ბიბლიოთეკა, თბილისი, 2016 წ.
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, იურისტების ბიბლიოთეკა, თბილისი.
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, იურისტების ბიბლიოთეკა, თბილისი, 2016 წ.
7. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ, 2017 წ.

7 – საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ, 2017 წ., თავი III.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და პასუხისმგებლობის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა



შესავალი

დანაშაულებრივი საქმიანობის ტრანსნაციონალიზაციამ და საფინანსო სისტემის გლობალიზაციამ ხელი შეუწყო უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის პროცესს. დღეს-დღეობით დიდია ფულის გათეთრების მასშტაბები და ის ბარალი, რომელიც „ფულის გათეთრების“ შედეგად სახელმწიფო ეკონომიკას და საზოგადოებრივ ინტერესს ადგება.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია ზიანს აყენებს:

- ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტების თანასწორუფლებიანობას;
- კანონზე დაფუძნებულ პატიოსან მეწარმეობას;
- სოციალურ გაჭირვებაზე ორიენტირებულ პრიორიტეტულ ეკონომიკურ პოლიტიკას;
- შრომისა და მომსახურებას შორის ბალანსის შენარჩუნებას;
- ფულად — საკრედიტო სისტემას, დიდი მოცულობით

ვახტანგ ჯავახია – ადვოკატი, „საფინანსო საინვესტიციო ჯგუფი (BUSINEST)“

არაკონტროლირებადი ფულადი სახსრების შემოდინებით.

დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი ტერორიზმის დაფინანსებას ხმარდება. საერთაშორისო თანამეგობრობა განსაკუთრებულ ძალისხმევას იყენებს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ არსებული პასუხისმგებლობის გამკაცრებისა და ბრძოლისათვის. გამომდინარე აქედან სახელმწიფოთა უმრავლესობამ მიზნად დაისახა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ არსებული პასუხისმგებლობის სრულყოფა და ამ მიმართულებით ბრძოლის არეალის მაქსიმალური გაფართოებისათვის ხელშეწყობა.

აღნიშნული საკითხი საქართველოსთვისაც აქტუალურია, სადაც დღეს მწვავედ დგას გადასახადებისაგან თავის არიდების და კონტრაბანდის პრობლემა. მიუხედავად სახელმწიფოს დიდი ძალისხმევისა, არ არის დაძლეული კორუფცია. გარდა ამისა, საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რჩება იარაღითა და ნარკოტიკებით მოვაჭრეთა მარშრუტად. ეს ყოველივე კი საქართველოში დიდძალი უკანონო ქონების დაგროვების წყაროს ქმნის, რისი შემდეგი ეტაპი უკანონო ქონების შენიღბვა და მისთვის კანონიერი სახის მიცემაა. ასევე, დიდია შესაძლებლობა იმისა, რომ ასეთი ქონება კვლავ ახალი დანაშაულის მომზადების და ჩადენისაკენ იყოს მიმართული. საქართველო აქტიურად მონაწილეობს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. საქართველო არის „ფულის შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა ევროსაბჭოს კომიტეტის (MONEYVAL)“ წევრი და აქტიურად თანამშრომლობს მასთან. უახლოეს წარსულში

საქართველოს პარლამენტმა მიიღო სისხლის სამართლის კოდექსში ახალი საკანონმდებლო ნორმა „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით, მოპოვებული ნივთით სარგებლობა, ნივთის შექენა, ფლობა ან გასაღება“ რომლის მიხედვითაც ცალკე იქნა ჩამოყალიბებული წინასწარი შეცნობით უკანონო/დაუსაბუთებელი ქონების შექენა, ფლობა, სარგებლობა. ამ ნორმის დამტკიცების ძირითადი მიზანი სახელმწიფო ორგანოების ეფექტურობა იყო უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, აღნიშნული ნორმის მიხედვით სისხლის სამართლებრივი დევნა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არის დაგენილი, რომ მითითებული ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული, თუმცა არსებობს ასეთი ქონების (დაუსაბუთებლობის) დამადასტურებელი მტკიცებულებები. სისხლის სამართალში „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობა, ნივთის შექენა, ფლობა ან გასაღება“ ნორმის დამატებამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ არსებული ნორმების სრულყოფას და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კანონიერი ბერკეტების გაძლიერებას. მიუხედავად „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში საქართველოს მიერ გადადგმული აქტიური და მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა, საგულისხმოა აღნიშნული დანაშაულის მიმართ არსებული ნაკლოვანებებიც. უკანონო შემოსავლების „გათეთრება“ მეტნაკლებად დამახასიათებელია ტრადიციული ორგანიზებული დანაშაულის და „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის მრავალი სახეობისათვის, საქართველოში კი ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით დაახლოებით 60% შეადგენს. „გათეთრებულ ფულს“ დამნაშავეები უმრავლეს შემთხვევაში მიმართავენ სხვადასხვა დანაშაულის მომზადებისა და ჩადენისაკენ, ახალი დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნისაკენ, ახალი დანაშაულებრივი ქსელისა და კორუფციული კავშირების განმტკიცებისაკენ. ამით „ფულის გათეთრება“ ასრულებს დანაშაულის ჩადენის ორ სხვადასხვა სტადიას: მოსამზადებელ და უშუალო ჩადენის ზოგიერთ ფუნქციასაც. ამავე დროს მოცემულ პროცესს აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობაც, ვინაიდან გათეთრებული ფული გადადის ლეგალურ ეკონომიკის

მაღალმომგებიან დარგებში. რის შემდეგაც ხდება ძირითადი საფინანსო სექტორების ხელში ჩაგდება და მათი თანდათანობით დანაშაულებრივ ორგანიზაციად გადაქცევა.¹

„ფულის გათეთრების“ პროცედურული სტადიების უკეთ გაგებისათვის სამართლებრივ მეცნიერებაში დამკვიდრებულია „ფულის გათეთრების“ სამსაფეხურიანი სისტემა. აღნიშნული საფეხურები ორგანიზაციულ ჯგუფს ემსახურება სამართალდამცავი ორგანოებისაგან უკანონო შემოსავლების დაფარვასა და მათ შეცდომაში შეყვანას.²

თავი I „ ფულის გათეთრების“ პროცესის ძირითადი სტადიები.

1. ფულის განთავსება.

FATF (Financial Action Task Force on money Laundering) –ის ექპრტთა მოხსენებები ფულის გათეთრების ტიპოლოგიის შესახებ უკვე რამდენიმე წელია მიუთითებს ფულის გათეთრების სქემებში პროფესიონალური მომსახურების მიმწოდებელთა და ზოგიერთი არსაფინანსო სექტორის მზარდი როლის შესახებ, სადაც „ფულის გათეთრების“ პირველ სტადიაზე ხდება არალეგალური წყაროდან ფულის გადატანა ლეგალურ დაწესებულებაში.³

„ფულის გათეთრების“ ამ ოპერაციისათვის ორგანიზებული ჯგუფი ხშირად იყენებს ბანკის და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულების თანამშრომელთა კონტაქტს, რომლის მეშვეობით ხდება „შავი ფულის“ შეტანა საფინანსო დაწესებულებაში. ასევე ორგანიზებული ჯგუფის მიერ ხშირ შემთხვევაში ფულადი თანხების განთავსება სხვადასხვა საფინანსო დაწესებულებაში ხდება მცირე თანხების შეტანით საფინანსო-საკრედიტო და საბანკო ანგარიშებზე, რაც ამ ანგარიშის გამხსნელის ინდენტიფიკაციის გამორიცხვის ცალსახა პირობას იძლევა.

„უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად

1 - იხ: მ. შალიკაშვილი „ფულის გათეთრების“ საკითხებისათვის. ჟურნალი სამართლი №2. 2009 წ., გვ. 113

2 - იხ: მ. შალიკაშვილი „ფულის გათეთრების“ საკითხებისათვის. ჟურნალი სამართლი №2. 2009 წ., გვ. 54

3 - იხ: დ. ბაზერაშვილი, ნ. ჩოხელი „ფულის გათეთრების“ საწინააღმდეგო სისტემა საქართველოში“ ქართული სამართლის მომხილვა. 2003 წ. გვ. 370

გარიგების ან გარიგებათა თანხა თუ აღემატება 30 000 ლარს უნდა განხორციელდეს ფინანსური მონიტორინგი, ამავე კანონის „დ“ ქვეპუნქტი კი იძლევა მონიტორინგის დეფინიციას — მონიტორინგის განხორციელებელი პირის მიერ გარიგების მონაწილე პირის ინდეტიფიკაციის დადგენა, გარიგების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა, სისტემატიზაცია და საქართველოს მონიტორინგის სამსახურისათვის მიღებული ინფორმაციის წარდგენა.⁴ ორგანიზებული ჯგუფი „ფულის გათეთრებისას“ წარმატებით იყენებს საბანკო დაწესებულებაში შეტანილი ფულადი თანხის შენიღბვას სხვადასხვა ყალბი დოკუმენტების მეშვეობით (მაგალითადკაზინოების, რესტორნების, სავაჭრო დაწესებულებების თვიური ან/და წლიური შემოსავლები), რომლებიც დასტურებენ „ფულის გათეთრების“ ლეგალური გზით წარმომავლობას.

2. ფულის ლეგალიზაცია.

„ფულის გათეთრების“ აღნიშნულ სტადია გულისხმობს უკანონო შემოსავლის დაფარვას შესაბამისი ლეგალური თანხით, რომელიც სრულიად უნაკლო დოკუმენტბეა დაფუძნებული. სხვადასხვა იურიდიულ ლიტერატურაში მას „კვალის წაშლასაც“ უწოდებენ და განმარტავენ როგორც ლეგალური თანხით „გათეთრების“ შენიღბვას.⁵ 1993 წელს ევროპის ტერიტორიაზე უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პირველი შემთხვევის დროს სამართალდამცავმა ორგანოებმა „ფულის გათეთრების“ საფეხურებს მიაგნეს. კოლუმბიელ ეკონომისტებს სამხრეთამერიკელი „ნარკოკარტელის“ მიერ მიეცა დავალება გაეთეთრებინა ნარკობიზნესიდან შემოსული ფული. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად აღმოჩენილი იქნა კოლუმბიელი ეკონომისტის მიერ შექმნილი კომპიუტერული დოკუმენტი პროგრამა programa des Fas — საფეხურების პროგრამა. აღნიშნული დოკუმენტის თანხამად ფულის გათეთრების ორი საფეხური არსებობს 1. განაწილება, რაც გულისხმობს ფულის წარმომავლობისა და მეპატრონის კვალის წაშლას; 2. პირველი საფეხურით ხდებოდა „გათეთრებული“ და ევროპის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული ფულის ევროპის ტერიტორიაზე ინვესტირება (ინტეგრაცია).⁶

„ფულის გათეთრების“ ლეგალიზაციისათვის ხშირ შემთხვევაში „გათეთრებლები“ საბანკო ანგარიშის მფლობელთა ინდეტიფიკაციის გამოსარიცხად საბანკო ანგარიშებს ფსევდონიმებით ხსნიან, რაც ასევე „კვალის წაშლის“ მეტად პრაქტიკული და მოქნილი მექანიზმია.

„ფულის გათეთრების“ აღნიშნული სტადიისათვის ასევე დამახასითებელია მრავალჯერადი ფინანსური ოპერაციების (გადარიცხვების) განხორციელება, რომლის მიზანს წარმოადგენს არა მოგების მიღება, არამედ ფულის წარმომავლობის „კვალის წაშლა“ და ამ საშუალებით მეპატრონის საინდიფიკაციო მონაცემების გამხელის გადაფარვა. რაც უფრო კომპლექსური და მრავალრიცხოვანია ფულადი გადაარიცხვების რაოდენობა მით უფრო რთულია საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაარიცხვების კვალის დადგენა და ამ მიმართულებით საჭირო მტკიცებულებების მოპოვება.

3. ფულის ინტეგრაცია.

მრავალჯერადი ფინანსური ოპერაციების შემდეგ ლეგალიზებული ფულადი თანხების დაბრუნება ხდება ოფიციალურ ფინანსურ ციკლში.⁷ ინტეგრაციისას ხდება „გათეთრებული ფულის ბრუნვა ლეგალურ ბიზნესში. „გათეთრებლები“ უკვე ლეგალიზებულ თანხას ძირითადად აბანდებენ უძრავ ქონებაში, ასევე ხდება ასეთი თანხების საფინანსო სექტორებში ჩადება (ფულის დაბანდება ღამის კლუბებში, რესტორნებში, კაზინოებში და ა.შ.).

თავი II. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და პასუხისმგებლობის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა.

1. საკრედიტო და საფინანსო დაწესებულების მიერ კლიენტთა ინდეტიფიკაციის განსაზღვრის ვალდებულება.

საკითხის ღრმად გასაგებად საჭიროა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და პასუხისმგებლობის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა.

4 - იხ: საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“
5 - იხ: Кернер „отмывание денег“ М. 1996. С.58-63
6 - იხ: მ. შალიკაშვილი „ფულის გათეთრების“ საკითხებისათვის. ჟურნალი სამართლი №2. 2009 წ., გვ. 115
7 - იხ: ავტ. კოლექტივი (მზია ლეკვიშვილი, ნონა თოდუა, ნინო გვენეტაძე, გოჩა მამულაშვილი) სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2006 წ. გვ. 368

„ფულის გათეთრების“ ახალი მეთოდების ჩამოყალიბების შემდგომ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციამ უფრო დახვეწილი და სრული სახე მიიღო, რომელიც თავის გამოხატულებას ჰპოულობს როგორც, საფინანსო ისე არასაფინანსო დაწესებულებების მეშვეობით, ასევე პროფესიების გამოყენების საშუალებით. იურისტები, ნოტარიუსები, და სვა პროფესიის წარმომადგენლები, „ფულის გათეთრების“ შემადგენელ ელემენტებად იქცა.⁸

„უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი საუბრობს მხოლოდ იმ სუბიექტებზე რომლებსაც აქვთ „ ფულის გათეთრებაზე“ მონიტორინგის განხორციელების უფლება. კანონმდებელი არ საუბროს აღნიშნული მონიტორინგის განხორციელებელი პირების მიერ „ფულის გათეთრების“ შესაძლებლობაზე.

სწორედ ეს პირები შეიძლება თავად იქნენ ჩაბმულნი „ფულის გათეთრების“ საქმიანობაში. ამიტომ FATF-ის ორმოცი რეკომენდაცია მკაცრად განსაზღვრავს, რომ საკანონმდებლო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ საკანონმდებლო დონეზე მაქსიმალურად ძლიერი დაცვის მექანიზმი შექმნა, რათა მოხდეს თავიდან აცილება ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ საფინანსო სექტორების ხელში ჩაგდება.⁹ კარგი იქნება თუ მაქსიმალურად მოხდება როგორც საფინანსო ისე არასაფინანსო დაწესებულებათა ლიცენზირების გამკაცრება, ან/და მკაცრი სალიცენზიო პირობების შექმნა და ამ მიმართულებით, კონტროლის მექანიზმის მაქსიმალური გაძლიერება, რისი განხორციელებაც შესაძლებელია მკაცრი სამართლებრივი ბარიერების დაწესებით რომელიც შექმნის დამაბრკოლებელ წინაღობებს დანაშაულებრივი ჯგუფისთვის შეაღწიონ აღნიშნულ დაწესებულებათა მმართველობაში და ან/და გახდნენ ასეთი დაწესებულებების შესაკუთრებელი. სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, აღნიშნული საკანონმდებლო ნოვაციის განხორციელება მონიტორინგის განხორციელებელ ორგანოებს მისცემს მსგავსი დაწესებულებების კონტროლის ეფექტური განხორციელების რეალურ მექანიზმს, რაც ნამდვილად ხელს შეუწყობს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის

აღკვეთას. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ყველა დაწესებულებას უნდა გააჩნდეს მკაცრი კონტროლის მექანიზმი და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ მომხმარებლის კარგად გაცნობას. სწორედ ეს შინაარსი უდევს საფუძვლად საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს – „იცნობდე საკუთარ მომხმარებელს“ („know your customer“), რომელსაც ყველა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულება უნდა იცავდეს, რათა მოახდინოს ყველა საფინანსო ოპერაციის განხორციელების მიზანი და განასხვავოს ის ისეთი საფინანსო ოპერაციებისაგან, რომელიც მომხმარებლისათვის არაა დამახასიათებელი, შესაბამისად მან უნდა იქონიოს ყველა ჩანაწერი თუ დოკუმენტი, რომელიც საეჭვო საფინანსო ოპერაციას ეხება, რომელიც ხელს შეუწყობს გამოძიების წარმოებას და სამართალდამცავი და საგადასახადო ორგანოებისათვის მტკიცებულებების მოპოვებას.¹⁰

„უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად მონიტორინგის განხორციელებელი პირები ვალდებული არიან მოახდინონ მათთან საქმიან ურთიერთობაში დაკავშირებული პირების (მისი წარმომადგენლის, მარწმუნებლის) ინდეტიფიკაცია. კანონის მეორე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი კი განმარტავს – პირის ინდეტიფიკაცია არის ფიზიკური პირის ვინაობის დადგენა მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით ან/და იურიდიული პირის შექმნასას იურიდიული საფუძვლების, ორგანიზებული და უფლებამოსილ პირთა დადგენა მისი შექმნისა და რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა სრულად ვერ ასახავს თუ რა მოცულობით, რა გარემოებებში უნდა დაეკისროს მონიტორინგის განხორციელებელ პირს პირის ინდეტიფიკაციის ვალდებულება. ამ საკითხის უკეთ გარკვევისათვის მოვიშველიოთ FATF-ის 2003 წლის გადამუშავებული რეკომენდაციები, კერძოდ FATF-ის 2003 წლის ორმოცი რეკომენდაცია იცნობს „მომხმარებლის სათანადო გულმოდგინებას“ („Customer due diligence“).¹¹

8 - იხ: FATF-ის საკონსულტაციო დოკუმენტი _ ორმოცი რეკომენდაციის გადასინჯვა. 2003 წ. გვ 9 - იხ: FARF-ის საკონსულტაციო დოკუმენტი - ორმოცი რეკომენდაციის გადასინჯვა. 2003 წ. გვ 9. 10 - იხ. იქვე. 11 - იხ: FARF-ის საკონსულტაციო დოკუმენტი _ ორმოცი რეკომენდაციის გადასინჯვა. 2003 წ. გვ 9.

რომლის თანახმადაც საკრედიტო საფინანსო დაწესებულებამ მკაცრად უნდა უზრუნველყოს მომხმარებლის ვინაობა და ინდეტიფიცირება როდესაც, ახორციელებს ერთჯერად გარიგებას რომლის ღირებულება:

1. დაგენილ ზღვარზე მეტია,¹²
2. ახდენს საკაბელო გადარიცხვას;
3. არსებობს „ფულის გათეთრების“ ან ტერორიზმის დაფინანსების ეჭვი;
4. ფინანსურ დაწესებულებას ეჭვი ეპარება საინდეტიფიკაციო მონაცემების სისწორეში.

თუ დაწესებულება ვერ ახორციელებს მომხმარებლის ინდეტიფიკაციას და ვერ ადგენს განსახორციელებელი ოპერაციის მიზანმიმართულებას და არსებობს დასაბუთებული ეჭვი, საფინანსო — საკრედიტო დაწესებულებამ არ უნდა გახსნას ანგარიში და არ განახორციელოს გარიგება, შეწყვიტოს საქმიანი ურთიერთობა მოხმარებელთან და განიხილოს კონკრეტული გარიგების საეჭვოობა.

FATF-ის რეკომენდაციები ცხადყოფს, რომ სხვადასხვა ქვეყნებში „ ფულის გათეთრების“ საქმეთა გამოძიებამ, კვლევებმა აჩვენა, რომ ყველა ეს საკითხი ფულის გათეთრების მხრივ მაღალი რისკის მატარებელია, ხოლო მათისაწინააღმდეგო ქმედებები კი არაადეკვატური. საფინანსო დაწესებულებებმა მომხმარებლის სათანადო ინდეტიფიკაციის დასადგენად სათანადო გულმოდგინება უნდა გამოიჩინოს და მათ მიმართ უნდა განახორციელოს სათანადო ზომები.

კერძოდ:

- საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებამ უნდა მიიღოს ყველა ზომა მომხმარებლის ქონების წყაროს დასადგენად;
- მოხმარებელთან საქმიანი ურთიერთობების დამყარების საკითხს უნდა წყვეტდეს დაწესებულების უმაღლესი ხელმძღვანელი;
- საფინანსო საკრედიტო — დაწესებულებამ უნდა

განახორციელოს უფრო მდგრადი და ეფექტური მიმდინარე მონიტორინგი. დაწესებულების საქმიანობის შესახებ, საჯაროდ ხელმისაწვდომობის წყაროებიდან მოიძიოს ინფორმაცია დაწესებულების რეპუტაციის შესახებ; თუ ვინ არის აღნიშნული დაწესებულების შემქმნელები; შეისწავლოს კანონის

ფარგლებში დაწესებულების შემქმნელთა და ხელმძღვანელთა საქმიანობის სფერო; შეაფასოს დაწესებულების ფულის გათეთრების საწინააღმდეგო მექანიზმი.¹³ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მეტი გამჭვირვალობისათვის და „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლის ადეკვატური ზომების გასატარებლად უნდა დაწესდეს გარკვეული სახის დაცვითი მექანიზმები. კერძოდ:

- დაწესდეს ინდეტიფიკაციისათვის მათი ფიზიკურად დასწრების მოთხოვნა;
- შემუშავებულ იქნას გარკვეული კითხვარი, რომელიც საფინანსო დაწესებულებას საშუალებას მისცემ მიიღოს მეტი ინფორმაცია.¹⁴

2. მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებები.

FATF-ის ორმოცი რეკომენდაცია საფინანსო დაწესებულებებისადმი პირის ინდეტიფიკაციის ვალდებულების შესახებ ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული ქართულ სინამდვილეში საკანონმდებლო დონეზე სრულყოფილი

ასახვის გზით, რაც საფინანსო-საკრედიტო დაწესებულების მიერ ინდეტიფიკაციის მაღალი ხარისხის განხორციელებას უზრუნველყოფს. საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ უჩვეულო გარიგებებს და საეჭვო ზონაში მომქმედი ბანკის საბანკო ანგარიშის გამოყენებით დადებულ გარიგებებს, რომელთაც არა აქვთ აშკარა ეკონომიკური და კომერციული შინაარსი, შესაძლებლობის ფარგლებში შეისწავლონ ასეთი გარიგებების დადების მიზანი და წერილობით დააფიქსირონ მიღებული შედეგი.¹⁵

12 - იხ: საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“.

13 - იხ: FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის მე-6 რეკომენდაცია. 2003. გვ 10.

14 - იხ: FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის მე-7 რეკომენდაცია. 2003. გვ 11.

15 - FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის განმარტებით, ეს ზღვარი შეადგენს 15 000 დოლარს.

„უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლში მოცემულია მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებათა ნუსხა, ამავე კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, იმისათვის რომ ამათუ იმ გარიგებაზე გარკვეული მონიტორინგი განხორციელდეს საჭიროა რამდენიმე წინაპირობის არსებობა:

1. გარიგების ფასი უნდა აღემატებოდეს კანონით დადგენილ ზღვარს;
2. გარიგება უნდა იყოს საექვო;
3. წარმოდგენდეს კანონით გათვალისწინებულ გარიგებათაგან ერთ-ერთს.¹⁶

აღნიშნული ნორმის ლოგიკური განმარტების მიხედვით, მონიტორინგის ვალდებულება არ გავრცელდება გარიგებაზე, რომელიც საექვოა, მიეკუთვნება კანონით დადგენილ მდგომარეობით. მაგრამ არ გაენეკუთვნება გარიგებათა იმ სახეობას რომელთაც კანონი ითვალისწინებს.¹⁷ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ბრძანების თანახმად მონიტორინგს ექვემდებარება ნებისმიერი სახის გარიგება მიუხედავად თანხის ოდენობისა. აღნიშნული კანონქვემდებარე აქტით გარიგებათა მონიტორინგის უფრო სრულყოფა და კონკრეტიზაცია განხორციელდა, უფრო მეტიც მონიტორინგს ექვემდებარება აგრეთვე საექვო გარიგებების დადების ან ოპერაციის შესრულების მცდელობა, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ან ტერორიზმის დაფინანსებას,¹⁸ რაც თავის მხრივ ნამდვილად ხელს შეუწყობს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთას და მის წინააღმდეგ ბრძოლას. „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანია, კომპეტენტ-ტური ორგანიზაციების მიერ „ფულის გათეთრებასთან“ დაკავშირებით არსებული კომერციული თუ არაკომერციული ინფორმაციის მიწოდება.

3. კომპეტენტური ორგანოების მიმართ კომერციული თუ არაკომერციული ორგანიზაციების მიერ „ფულის

გათეთრებასთან“ დაკავშირებით არსებული ინფორმაციის მიწოდება.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა ინფორმაციის მოგროვების და სათანადო ორგანოებში გადაცემის სისტემა. იმისათვის, რომ მოხდეს „ფულის გათეთრებასთან“ დაკავშირებული გარიგებების მკაფიო განსაზღვრა და ამ გარიგებების შესაბამის ორგანოებს კონტროლს დაქვემდებარება. ამისათვის საჭიროა ორი ძირითადი კრიტერიუმის არსებობა:

1. გარიგების მოცულობა. თითოეული ქვეყანა რაოდენობრივი ზღვრის საკუთარ მაჩვენებელს იყენებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთ ზღვრად მიჩნეულია 10 000 აშშ დოლარი, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის. მექსიკა გადარიცხვებს აკონტროლებს სხვადასხვა ქვეყნებში თუ თანხა 20 000 დოლარს აღემატება. არგენტინის ცენტრალური ბანკი მოითხოვს ინფორმაციას იმ საკრედიტო დაწესებულებისგან, რომელმაც შესულია 50 000 პესო ყოველთვიურად ან 200 000 პესო ყოველწლიურად.¹⁹
2. გარიგების ხასიათი. საექვო გარიგებად მიიჩნევა ახალი ან არასტანდარტული ოპერაციები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია „ფულის გათეთრების“ მიზნით.²⁰

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის საწინააღმდეგოდ ზომები სწრაფად და ეფექტურად უნდა განხორციელდეს, რასაც „ფულის გათეთრების“ შედეგად ორგანიზაციების და ფიზიკური პირების მიერ მიღებული შემოსავლების კონფისკაცია და მათი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა მოჰყვეს. ესეთი საკანონმდებლო ნოვაცია ზრდის დაზარალებულთა შანსებს დაიბრუნონ საკუთარი ქონება და ფული. „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე 2008 წლის 15 დეკემბერს ძალაში შევიდა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის № 10 ბრძანება „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ

16 – იხ: FATF-ის ორმოცი რეკომენდაციის მე-5 რეკომენდაცია. 2003. გვ 10. მომხმარებლის ინდეფიკაციის გარდა საფინანსო დაწესებულებამ დამატებით ინფორმაცია უნდა მოიპოვოს

17 – იხ: FATF-ის საკონსულტაციო დოკუმენტი „ორმოცი რეკომენდაციის გადასინჯვა“ 2002წ. გვ 17-18.

18 – იხ: საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“

19 – იხ: დ. ბაზერაშვილი, ნ. ჩოხელი „ფულის გათეთრების“ საწინააღმდეგო სისტემა საქართველოში“ ქართული სამართლის მომხილვა. 2003 წ. გვ. 370.

20 – იხ: საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის № 10 ბრძანება. 2008 წ. გვ 8.

ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“ (შემდგომში – ბრძანება ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შესახებ), რომლითაც დარეგულირდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ „ფულის გათეთრებასთან“ დაკავშირებით სათანადო ინფორმაციის, მიღების სისტემატიზაციის, დამუშავების შენახვის და შემდგომში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის პირობები და წესი. საბანკო დაწესებულებებთან ერთად მიკროსაფინანსო ორგანიზაციები წარმოადგენენ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ხელშეწყობის მნიშვნელოვან წყაროს. აღნიშნული კანონქვემდებარე აქტით კი მკაფიოდ განისაზღვრა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ვალდებულება შიდაკონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით, კერძოდ ამ ბრძანების თანახმად მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უშუალო ვალდებულებას წარმოადგენს ორგანიზაციასთან დაკავშირებით ყველა პირის, კლიენტის, წარმომადგენლის, მარწმუნებლის ბენეფიციარის თუ მესამე პირის ინდეტიფიკაციის დადგენა; ინდეტიფიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზება; ინფორმაციის დოკუმენტალურად დადგენა, სისტემატიზაცია და შენახვა; უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების კუთხით მიკრო-საფინანსო ორგანიზაციების თანამშრომელთა სწავლების ორგანიზება; გამოვლენილი ინფორმაციის მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემა და ა.შ.²¹ რაც ნამდვილად ხელს უწყობს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას და ამ მიმართულებით დანაშაულის საწინააღმდეგო მდგრადი მექანიზმის დანერგვას.

4. კონფისკაცია.

ერთ—ერთ უმთავრეს ფუნქციას და მიზანს ვერ განახორციელებს, თუ არ არსებობს დანაშაულებრივი ქონების კონფისკაციის მექანიზმი.²² საბჭოთა კავშირის

სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული იყო ე.წ აბსოლუტური კონფისკაცია, კონფისკაცია, როგორც დამატებითი სასჯელი, რომელიც ეხებოდა საკუთრებას მიუხედავად მისი მოპოვების წყაროსა. ამ სასჯელის გამოყენება შეიძლებოდა ისეთ დანაშაულებთან, რომელიც არ იყო კავშირში დანაშაულის შემოსავლთან.²³

კონფისკაციის უმთავრესი მიზანი კანონიერების აღდგენაა, დამნაშავე, რომელსაც არანაირი კანონიერი უფლება არ გააჩნია შესაბამის ქონებაზე უნდა ჩამოერთვას იგი.

სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს უახლოეს წარსულში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული სისხლის სამართლის ახალი საკანონმდებლო ნორმა მუხლი 1941 უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით საეგებლობა, ნივთის შექმნა, ფლობა ან გასაღება, რომლის თანახმადაც ცალკე იქნა ჩამოყალიბებული წინასწარი შეცნობით უკანონო დაუსაბუთებელი ქონების შექმნა, ფლობა სარეგებლობა.²⁴ აღნიშნული ნორმის მიხედვით სისხლის სამართლის დევნა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როცა მითითებული ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული, თუმცა არსებობს ასეთი ქონების (დაუსაბუთებლობის) დამადასტურებელი მტკიცებულებები რასაც შესაბამისი პროცედურების დაცვით უნდა მოჰყვეს ასეთი ქონების კონფისკაცია. თუმცა მიზანშეწონილად მიმაჩნია ყველა საკანონმდებლო ნორმის გადასინჯვა ქონების დაყადაღებისა და კონფისკაციის კონტექსტში საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობის მიზნით. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია შესაძლებელია გამოიხატოს ფულად სახსრებთან ან სხვა ქონებასთან დაკავშირებულ ფინანსურ ოპერაციებში ან სხვა გარიგებებში.

5. „ფულის გათეთრების“ მიმართ არსებული საბანკო და სხვა ფინანსური ოპერაციების მიმოხილვა.

ფინანსური ოპერაციაა ესაა ფულთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება (მათ შორის გარიგება), რომელიც ფულად

21 – იხ: საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის № 10 ბრძანება. 2008წ. გვ8.
22 – იხ: დ. ბაზერაშვილი, ნ. ჩოხელი „ფულის გათეთრების“ საწინააღმდეგო სისტემა საქართველოში“ ქართული სამართლის მომხილვა. 2003 წ. გვ. 372.
23 – იხ: საქართველოს სსრ. სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი. 1976წ. გვ 209.
24 – იხ: ე.გურგენიძე „პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისათვის“ ჟურნალი სამართალი №12, 2001. გვ 58.

ბრუნვის ან ფულადი სახრების მართვის ელემენტებს წარმოადგენს.²⁵

ქართული კანონმდებლობის მიხედვით ფინანსურ ოპერაციებს მიეკუთვნება:

ფინანსური ოპერაციაა ესაა ფულთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება (მათ შორის გარიგება), რომელიც ფულად ბრუნვის ან ფულადი სახრების მართვის ელემენტებს წარმოადგენს. ქართული კანონმდებლობის მიხედვით ფინანსურ ოპერაციებს მიეკუთვნება:

1. საბანკო ოპერაციები.²⁶

- ფიზიკური და იურიდიული პირების საბანკო ანგარიშების გახსნა და წარმოება;
- ფიზიკური და იურიდიული პირების დავალებით ანგარიშსწორების განხორციელება;
- ფიზიკური და იურიდიული პირების საანგარიშსწორებო დოკუმენტების ინკასაცია და ამ პირების საკასო მომსახურება.

2. საკრედიტო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარიგებები.²⁷

- მესამე პირისათვის ვალდებულების ფულად ფორმაში შესრულების მოთხოვნის უფლების შექმნა;
- ფულადი თანხების მართვა მინდობილობით;
- ლიზინგი.

პრაქტიკულად ყველა საბანკო ოპერაციას, გარიგების და ანგარიშსწორების ფორმა აქვს, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსითაა რეგულირებული.

3. გარიგება რომელთა საგანია ფული.²⁸

- ნასყიდობის ხელშეკრულება (სსკ-ის 477 მ.);
- ქირავნობის ხელშეკრულება (სსკ-ის 533 მ.);
- იჯარის ხელშეკრულება (სსკ-ის 581 მ.);
- ნარდობის ხელშეკრულება (სსკ-ის 629 მ.);
- სესხის ხელშეკრულება (სსკ-ის 623 მ.);

- დაზღვევის ხელშეკრულება (სსკ-ის 799 მ.);
- გადაზღვრა-გადაყვანის ხელშეკრულება (სსკ-ის 688 მ.);
- თავდებობის ხელშეკრულება (სსკ-ის 891 მ.).

4. მომავალში პირის მიერ განხორციელებული ქმედების საფუძველზე მეორე მხარის ფულადი ვალდებულის წარმოშობა.

- საჯარო კონკურსი;
- ჯილდოს საჯაროდ დაპირება;
- თამაშობები და სანაძლეო;

მსოფლიოში ასევე ფართოდაა გავრცელებული ფინანსური ოპერაციები, რომლებიც ფიზიკურ და იურიდიულ პირების ქონებრივ ურთიერთობასთანაა დაკავშირებული. ასეთ გარიგებებს განეკუთვნება:

- საბანკო ოპერაციები;
- ძვირფასი ლითონების მოზიდვა და განთავსება;
- საბანკო გარანტიის გადაცემა;
- ფასიანი ქაღალდების ინკასაცია;
- სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებები;
- დაფინანსება ფულადი მოთხოვნის დათმობით;
- საბანკო შენატანი;
- კრედიტი;

დასკვნა

ბოლო 15 წლის განმავლობაში მსოფლიო საერთაშორისო თანამეგობრობა ძალისხმევას არ იშურებს, დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების „გათეთრებისა“ და ტერიორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პასუხისმგებლობის გამკაცრებისათვის. მსოფლიო საფინანსო სისტემის გლობალიზაციამ, დანაშაულებრივი საქმიანობის ტრანსნაციონალიზაციამ, ფინანსური მომსახურების მოდიფიკაციამ და თანამდროვე ტექნოლოგიებით

25 - იხ. იქვე.

26 - იხ: საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ.“ კანონის მე-20 მუხლი.

27 - იხ: საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ.“ კანონის მე-20 მუხლი.

28 - იხ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

აღჭურვამ გაზარდა ბრძოლის მნიშვნელობა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ, შესაბამისად ამყოველივემცხადყობრძოლისმეთოდებისსრულყოფისა და მოქმედების არეალის გაფართოებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობის აუცილებლობა. „ფულის გათეთრების“ საწინააღმდეგოდ განხორციელებული ქმედების პარალელურად სულ უფრო იხვეწება უკანონო გზით მოპოვებული და დანაშაულებრივი მიზნებისათვის განკუთვნილი ფინანსური სახსრების გამოყენების ფორმები და მეთოდები., რაც ამ დანაშაულის გამომწვევ მიეზღვებთან ბრძოლის სრულყოფის აუცილებლობაზე მიგვანიშნებს. უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში საქართველოს აქტიური ჩართულობა, საერთაშორისო აქტებთან ქართული საკანონმდებლო ბაზის შესაბამისობა და ამ მიმართულებით ბრძოლის არეალის მაქსიმალური გაფართოება აუცილებელია სახელმწიფოს ეკონომიკური და დემოკრატიული რეფორმების წარმატებით განხორციელების და ეროვნული უსაფრთხოებისათვის. საქართველოში ფულის გათეთრების რეჟიმი უტოვებს „ფულის გამთეთრებლებს“ კანონით განსაზღვრული მექანიზმებისათვის გვერდის ავლის უამრავ საშუალებას. ვფიქრობ ამის მიზეზი ის მიდგომაა, რომლის მიხედვით საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში არ აქვს იმის საშუალება, რომ მკაცრად მოევიდოს ქვეყანაში ინვესტირებული კაპიტალის კონტროლს. ხელისუფლების ამგვარი მიდგომა კი ვერ უზრუნველყოფს პრობლემის გადაჭრას და ამ პრობლემაზე დაგვიანებული რეაგირება კი

ნამდვილად ხელს შეუწყობს ორგანიზებული დანაშაულის გაძლიერებას. საქართველოში უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის საწინააღმდეგოდ ექვექტური სისტემის დასაწერგად აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და გარკვეული ზომების მიღება. კერძოდ: სამართლებრივის სისტემის სრულყოფა; საგადასახადო რეჟიმის დახვეწა; სახელმწიფოსა და კერძო სექტორის კოორდინირებული აქტიური თანამშრომლობა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ; საფინანსო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორებისადმი კონტროლის მაქსიმალური გაძლიერება; საერთაშორისო თანამეგობრობასთან აქტიური თანამშრომლობა და ამ მიმართულებით სხვადასხვა სახელმწიფოებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადება; ყველა საერთაშორისო აქტის რადიფიცირება, რომელიც უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას ეხება; FATF-ის რეკომენდაციების გაანალიზება და მისი ასახვა საკანონმდებლო ნოვაციის სახით. ყველა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება უზრუნველყოფს საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაზრდას, ქვეყნის საფინანსო ინსტიტუტების გამჭირვოლაბას, დაცულობას და მათ რეპუტაციის ამაღლებას. საბოლოო ჯამში კი ეს ყოველივე მნიშვნელოვნად დააბრკოლებს კრიმინალური სამყროს გაძლიერებას და უზრუნველყოფს საქართველოს საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიულ პრინციპებზე გადასვლის პროცესის დაჩქარებას.

საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების უფლებამოსილება



შენსავალი

სისხლის სამართლის საქმეებზე შეწყალების შესაძლებლობას მსოფლიოში არსებული სამართლებრივი სისტემების აბსოლუტური უმრავლესობა ითვალისწინებს. შეწყალება, თავისი არსით, არის ჰუმანური აქტი და როგორც წესი, გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა ამა თუ იმ პირის მიმართ ხისტი და მოუქნელი კანონმდებლობის გამოყენება იწვევს უსამართლობის განცდას. შეწყალება, როგორც კონცეფცია, არ არის მხოლოდ სამართლებრივი ბუნების და იგი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა რელიგიურ ტრადიციებში. გარდა ამისა, აღნიშნულ მექანიზმს ითვალისწინებს ბევრი არადასავლური სამართლებრივი ტრადიციის მქონე ქვეყანა თუ საზოგადოება. მაგალითად, იგი დღემდე აქტიურად გამოიყენება ისლამურ სამართალში და ასევე ახასიათებდა ბევრ პრე-კოლონიალისტურ საზოგადოებას (Novak 2016).

„თუმცა, შეწყალების თანამედროვე ცნების ქვეშ მოიაზრება აქტი ან/და ქმედება, რომელიც ითვალისწინებს:

თამარ ავალიანი

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსი

(ადვოკატი საერთო სპეციალიზაციით, სამართლის დოქტორი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი ადამიანის უფლებებში)

- სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლებას;
- სასჯელის გადავადებას ან შეჩერებას;
- კონკრეტული სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლას;
- ნასამართლობის და მისი თანმდევი შეზღუდვებისგან სრულად გათავისუფლებას“¹.

ნიშანდობლივია, რომ შეწყალება არის მექანიზმი, რითაც აღჭურვილია აღმასრულებელი ხელისუფლება. ამნისტიისგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია კონტინენტური სამართლის ქვეყნებისთვის და ხორციელდება საკანონმდებლო ორგანოს მეშვეობით, შეწყალება აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა. იგი გამოიყენება ერთპიროვნულად ხელისუფლის (სუვერენის, მონარქის, პრეზიდენტის) ან კოლეგიური ორგანოს მიერ, რომელიც ექვემდებარება აღმასრულებელ ხელისუფლებას. ამასთანავე, შეწყალება ხორციელდება კონკრეტული ინდივიდის მიმართ და ამ მექანიზმის გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია, როგორც თავად სამართალდამრღვევი, ასევე ქმედება (სამართალდარღვევა), რომელიც მან ჩაიდინა. ამნისტია კი, როგორც წესი, შეეხება პირთა ფართო წრეს და არეგულირებს კონკრეტული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხებს (Novak 2016).

¹ - იხ: თ. ავალიანი, გ. ჩიტიძე, შეწყალების უფლებამოსილება, ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, თბ; 2016, 6, <http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hrdc>,

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია შეწყალების მექანიზმის ქართული მოდელი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები; პრეზიდენტის შეწყალების ექსკლუზიური კომპეტენციის არსი; პრეზიდენტის ურთიერთობა შეწყალების კომისიასთან და მის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი; შეწყალების კომისიის დაკომპლექტების წესი და სხვა.

I. შეწყალების ცნება, მისი წარმოშობა და ისტორიული განვითარება

შეწყალების უფლებამოსილების, როგორც სამართლებრივი კონცეფციის, არსისა და დანიშნულების უკეთ გასააზრებლად, აუცილებელია მისი ისტორიული წარმოშობისა და განვითარების მოკლე მიმოხილვა. შეწყალების უფლებამოსილება არსებობდა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომის იმპერიაში. ძველ ათენში შეწყალების ინსტიტუტი არ ფუნქციონირებდა თანამედროვე გაგებით, რაც მეტწილად ათენში მოქმედი მმართველობის მოდელით (პირდაპირი დემოკრატით) იყო განპირობებული. 403 წლამდე (ჩვ. წ. აღ-მდე.) მოქმედი წესის, ე.წ. Aelia-ს მიხედვით, პირი შეიძლება შეწყალებულიყო, თუ მის შეწყალებას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერდა 6000 ათენელი მოქალაქე. აღნიშნული რაოდენობის მხარდამჭერთა მოგროვება დიდ სირთულეს წარმოადგენდა. შესაბამისად, შეწყალების პრივილეგიით, ძირითადად, სარგებლობდნენ ათლეტები, ორატორები და ძალაუფლების თუ გავლენების მქონე სხვა პირები. აქედან გამომდინარე, შეწყალების მექანიზმი არ იყო აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივა და მას ახორციელებდნენ უშუალოდ მოქალაქეები, საერთო სახალხო გადაწყვეტილების მიღებით (NIDA 1999). შეწყალების მექანიზმი, ასევე, არსებობდა რომის იმპერიაშიც. თუმცა, მოცემულ შემთხვევაშიც, შეწყალების მიზანი არ იყო ვინმესთვის მიტევება და ჰუმანური აქტის განხორციელება, არამედ იგი გამოიყენებოდა პოლიტიკური მიზნებისთვის და მასების გასაკონტროლებლად. კერძოდ, რომაელები სამართალდამრღვევ ჯარისკაცებს სჯიდნენ შერჩევითად (და არა მთლიანად ჯარს). მოცემულ შემთხვევაში, შეწყალების დანიშნულება იყო ჯარში დისციპლინის დამყარება და მმართველისადმი შიშის დანერგვა.

თუმცა, ძველრომაული და ბერძნული მოდელების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდა და განვითარდა შეწყალების მექანიზმის ბრიტანული მოდელი, რომელიც თავის მხრივ, თანამედროვე შეწყალების კონცეფციის განვითარების ძირითად საფუძვლად მიიჩნევა (NIDA 1999). უილიამ ბლექსტონის განმარტებით, ბრიტანული შეწყალების მექანიზმის ისტორიული ფესვები სწორედ რომაულ სამართლებრივ ტრადიციებს ეფუძნება. თუმცა, ბრიტანეთის მონარქისთვის შეწყალების აბსოლუტური უფლებამოსილების მინიჭების მიზანი მონარქის მიმართ დაქვემდებარებულთა ერთგულების განმტკიცება, მათი ლოიალობის და მხარდაჭერის მოპოვება იყო. 1536 წელს ბრიტანეთის პარლამენტმა მეფე ჰენრი VIII-ს მიანიჭა შეწყალების აბსოლუტური უფლებამოსილება სახელმწიფო დალატის, მკვლელობის და სხვა სისხლის სამართლის საქმეებზე. აღნიშნულ აქტში სახელდებით არ იყო მითითებული თვითშეწყალების უფლების აკრძალვა, მაგრამ ვინაიდან იგულისხმებოდა, რომ მონარქი ვერ ჩაიდენდა დანაშაულს სახელმწიფოს ანუ საკუთარი თავის წინააღმდეგ, შესაბამისად, პარლამენტს დარჩა მხოლოდ ერთადერთი უფლებამოსილება, რომ მონარქი, სახელმწიფოს მმართველობისგან, იმპიჩმენტის წესით ჩამოეცილებინა. მოგვიანებით, მონარქის მიერ შეწყალების აბსოლუტური უფლებამოსილება შეიზღუდა ერთადერთი გარემოებით - მონარქი არ იყო უფლებამოსილი შეეწყალებინა პირი (მათ შორის, საკუთარი თავი) იმპიჩმენტის პროცედურის შემთხვევაში. აღნიშნული დანაწესი, ასევე აისახა აშშ-ის კონსტიტუციაში, რომელმაც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი (NIDA 1999).

II. შეწყალების უფლებამოსილების მიზნები (აშშ-ს მოდელის მიხედვით)

აშშ-ის კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „პრეზიდენტს, აგრეთვე აქვს განაჩენის გაუქმებისა და შეწყალების უფლება იმ პირების მიმართ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს შეერთებული შტატების წინააღმდეგ, იმპიჩმენტის შემთხვევის გამოკლებით.“²

აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს, რომ პრეზიდენტს აქვს შეწყალების ექსკლუზიური კომპეტენცია

2 - იხ: აშშ-ს კონსტიტუცია, <https://www.law.cornell.edu/constitution>

იმ შემთხვევაში, თუ პირმა დანაშაული ჩაიდინა ფედერალური კანონმდებლობის დარღვევით და სახეზე არ არის იმპიჩმენტის პროცედურა. დამფუძნებელი მამების მიერ, ქვეყნის პრეზიდენტისთვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭების ძირითადი მიზეზები განმარტებულია ჰამილტონის მიერ ფედერალისტურ წერილებში.³ ჰამილტონისვე განმარტებით, აღნიშნული უფლებამოსილება, თუნდაც სახელმწიფო ღალატისა და აჯანყების შემთხვევაში, მიზანშეწონილია, პრეზიდენტმა გამოიყენოს.

აშშ-ის პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლებამოსილების განხორციელება 4 ძირითად მიზანს ემსახურება:

პირველი მიზანი არის შეწყალების გამოყენება სახელმწიფო ინტერესის გათვალისწინებით და პოლიტიკური კრიზისის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულის ნათელი მაგალითია პრეზიდენტ ჯერალდ ფორდის მიერ მისი წინამორბედის, პრეზიდენტ ნიქსონის შეწყალება მანამდე, ვიდრე გამოძიება დაიწყებოდა და მას ბრალს წაუყენებდნენ. ასევე, პრეზიდენტ ლინკოლნის მიერ კონკრეტული პირებისთვის შეწყალების შეთავაზება, რათა შენარჩუნებულიყო ფედერალური ერთობა. იმავე მიზანს ემსახურებოდა პრეზიდენტ ჯონსონის მიერ „სამხრეთელებისთვის“ შეწყალების შეთავაზება ომის შემდეგ (Harrison 2001).

გარდა ამისა, შესაძლებელია, შეწყალების მექანიზმის გამოყენების მიზანი იყოს მართლმსაჯულების შეცდომის გამოსწორება. მართლმსაჯულების იდეალური სისტემის არსებობაც კი, ვერ გამოირიცხავს შეცდომის დაშვებას, რომლის გამოსწორების შესაძლებლობაც თავად მართლმსაჯულების ორგანოებს შეზღუდულად აქვთ. სწორედ ამ შემთხვევაში, ეფექტურია შეწყალების მექანიზმის გამოყენება და დაშვებული შეცდომების გამოსწორება, რათა თავიდან იქნას აცილებული უდანაშაულო ადამიანის გასამართლება (Harrison 2001).

შეწყალების მექანიზმის გამოყენება, ასევე,

შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც პირი დამნაშავეა, არ უარყოფს თავის დანაშაულს, მაგრამ იაზრებს ჩადენილ ქმედებას და იმსახურებს დამატებით შანსს.⁴ გარდა ამისა, პრეზიდენტს შეუძლია, შეწყალების მექანიზმის გამოყენებით გავლენა მოახდინოს ფედერალური სისხლის სამართლის პოლიტიკაზე.

III. საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის ბრძანებულების დადებითი სიახლეები

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულებით, შეწყალების ახალი წესი დამტკიცდა. ცვლილებებმა შეწყალების მექანიზმი უფრო სამართლიანი და განჭვრეტადი გახადა.

2014 წლის 27 მარტამდე არსებული დებულებით, უვადო მსჯავრდებულს 25 წელი უნდა გაეტარებინა პენიტენციურ დაწესებულებაში, რათა მას უფლება ჰქონოდა შეწყალების კომისიისათვის მიემართა. 2014 წლის ცვლილებებით, ეს ვადა 15 წლამდე შემცირდა. ძველი დებულებით, თუ მსჯავრდებული ბრალს არ აღიარებდა, შეწყალების კომისია მის საქმეს არ განიხილავდა. ცვლილებების თანახმად, აღიარება შეწყალების სავალდებულო კრიტერიუმს აღარ წარმოადგენს. 2014 წელს, ცვლილება შეეხო შეწყალების კომისიის დებულებას არასრულწლოვნებთან დაკავშირებით. კერძოდ, იმ მსჯავრდებულის საქმეს, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს არასრულწლოვანი იყო და სასჯელის მოხდის პერიოდში სრულწლოვანების ასაკს მიაღწია, შეწყალების კომისია განიხილავს, როგორც არასრულწლოვნის საქმეს, ყოველგვარი კრიტერიუმების გარეშე. ახალი დებულებით, ცვლილებები შეეხო იმ მსჯავრდებულთა შეწყალების საკითხსაც, რომლებსაც საპატიმრო და პირობითი სასჯელი აქვთ. ახალი რეგულაციით, შეწყალების კომისია სასჯელს არ ითვლის პირობითთან ერთად, და მსჯელობს მხოლოდ საპატიმრო სასჯელით. 2014 წლამდე მოქმედი დებულებით, თუ შეწყალების კომისია მსჯავრდებულს შეწყალებაზე უარს ეტყოდა, მას კომისიისათვის ხელმეორედ მიმართვა 3 თვეში შეეძლო, ახალი რეგულაციით, აღნიშნული ვადა 6 თვეს შეადგენს. 2014 წლამდე არსებული რეგულაციით,

3 - იხ: ა. ჰამილტონი, ფედერალისტი №74, 1788წ, <http://federalistpapers.ge/federali74.php>
 4 - იხ: თ. ავალანისი, გ. ჩიტოძე, შეწყალების უფლებამოსილება, ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, თბ; 2016, 10., <http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hrdc>

იმ ამნისტირებული და შეწყალებული მსჯავრდებულის საქმეს, რომლებიც ნასამართლობის გაქარწყლებამდე ჩაიდენდნენ დანაშაულს და ისევ დააკავებდნენ, შეწყალების კომისია არ იხილავდა. ახალი ნორმებით, შეწყალების კომისია იხილავს ამ კატეგორიის მსჯავრდებულთა საქმეებს, თუ მსჯავრდებულმა სასჯელის 2/3 მოიხადა.

IV. საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების მიზნები - დაურევულირებული საკითხი ქართულ რეალობაში

როგორც უკვე აღინიშნა, აშშ-ის პრეზიდენტის მიერ შეწყალების აქტის გამოცემა ორიენტირებულია ოთხ მიზანზე. ეს მიზნები, კონკრეტულად, შეიძლება იყოს: სახელმწიფო ინტერესის გათვალისწინება და პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცილება; მართლმსაჯულების შეცდომის გამოსწორება; იმ პირის შეწყალება, რომელიც დამნაშავეა, არ უარყოფს თავის დანაშაულს, მაგრამ იაბრებს ჩადენილ ქმედებას და იმსახურებს დამატებით შანს ან მისი შეწყალება ნაკარნახევია ჰუმანიტარული მიზეზით; ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა.

შეწყალების ინსტიტუტის ეფექტიანობას დიდწილად განაპირობებს შეწყალების მიზნის/მიზნების სწორი სამართლებრივი რეგლამენტაცია და პრაქტიკის დანერგვა, რომელიც წარმოდგენას შეუქმნის საზოგადოებას და უპირველესად, მსჯავრდებულს შეწყალების უფლებამოსილების არსისა და მისი გამოყენების თაობაზე.

არც საქართველოს კონსტიტუცია და არც შეწყალების მექანიზმის მომწესრიგებელი სხვა აქტები არ შეიცავენ ინფორმაციას შეწყალების მიზანთან/მიზნებთან დაკავშირებით, რაც გარკვეულ ბუნდოვანებას ბადებს შეწყალების მექანიზმის გამოყენების შესახებ და ცრუ მოლოდინებს იწვევს მსჯავრდებულებში.

მსჯავრდებულთა ნაწილს შეწყალება წარმოდგენილი აქვთ მართლმსაჯულების ხარვეზების გამოსწორების მექანიზმად, რაც განპირობებულია იმით, რომ შეწყალების მიზნების რეგლამენტაცია არ განხორციელებულა და

შესაბამისად, მსჯავრდებულმაც არ იცის, რას ემსახურება შეწყალების მექანიზმი. ვინაიდან დღემდე სახელმწიფოს არ შეუქმნია დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტური მექანიზმი, მსჯავრდებულები შეწყალებას მიიჩნევენ სამართლიანობის აღდგენის ერთ-ერთ საშუალებად, რომელსაც შეუძლია, კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადახედვის გზით, მსჯავრდებულთა სასჯელის შემცირება ან სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება.

შეწყალების კომისიას შეწყალების თხოვნით მიმართავენ მსჯავრდებულები, რომელთაც თავი მიაჩნიათ უკანონო მსჯავრდების მსხვერპლად. საქართველოს პრეზიდენტი და შეწყალების კომისია კი უარს ეუბნებიან ამ კატეგორიის მსჯავრდებულებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ შეწყალება არ შეიძლება, განხილულ იქნას კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადახედვის მექანიზმად თუნდაც მსჯავრდებულს თავი უკანონო მსჯავრდების მსხვერპლად მიაჩნდეს.

მსჯავრდებულებში შეწყალებასთან დაკავშირებით ცრუ მოლოდინების თავიდან ასაცილებლად, სასურველია, შეწყალების მიზნების ნორმატიული რეგლამენტაცია, შესაბამისი პრაქტიკის დანერგვა და მსჯავრდებულთათვის მისი სათანადოდ მიწოდება.

V. შეწყალების უფლებამოსილების სამართლებრივი რეგლამენტაცია და მისი გავლენა სისხლის სამართლის პოლიტიკაზე (ქართული მოდელის მიხედვით)

შეწყალება წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან გამოხატულ ჰუმანურობისა და გულმოწყალების აქტს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მსჯავრდებულს, გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, შეუმცირდეს სასჯელი ან მოეხსნას ნასამართლობა. შეწყალების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, მსჯავრდებულს კიდევ ერთხელ მიეცეს შესაძლებლობა, სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან გამოჩენილი ჰუმანური დამოკიდებულებით დაიბრუნოს თავისუფლება და იქცეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად. შეწყალება, ძირითადად, სახელმწიფო მეთაურის⁵ კონსტიტუციური პრეროგატივაა, რომელიც ქვეყნების კონსტიტუციებითა

5 - მმართველობის ფორმის მიხედვით შესაძლებელია იყოს პრეზიდენტი, მეფე, დედოფალი და სხვა.

და სხვა კანონქვემდებარე თუ საკანონმდებლო აქტებით არის რეგლამენტირებული. შეწყალების კომპეტენციის თანახმად, ქვეყნის მეთაური უფლებამოსილია, გამოსცეს შეწყალების აქტი მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად. საქართველოშიც, შეწყალების ინსტიტუტი პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფო მეთაურის, ექსკლუზიური კონსტიტუციური პრეროგატივაა. საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ „საქართველოს პრეზიდენტი შეიწყალებს მსჯავრდებულთ“.⁶

საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული უფლებამოსილება პრეზიდენტის ინსტიტუტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარეობს. საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლი ადგენს, რომ „საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობის და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი. საქართველოს პრეზიდენტისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებას“. შეწყალების ინსტიტუტი ქვეყნის სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის ეფექტურად გატარებასაც ემსახურება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად „შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრულ პირთა მიმართ. შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. სასჯელმოხდისს შეწყალებით შეიძლება მოეხსნა ნასამართლობა“. პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ შეწყალების აქტს საფუძვლად ჰუმანიზმის პრინციპები უდევს, რომელთა ერთობლიობაც სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის⁷ მე-11 მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებას გამოსცემს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და

მის საფუძველზე. საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, შეწყალების ექსკლუზიური კომპეტენციის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ბრძანებულებით, თავად განისაზღვრავს მსჯავრდებულთა შეწყალების წესსა და პირობებს, შეწყალების კომისიის შემადგენლობას, რაც სრულად შეესაბამება ქვეყნის უზენაესი კანონის მოთხოვნებს.

შეწყალების გამოყენების წესი და მასთან დაკავშირებული პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულებით.⁸ აღნიშნული დებულება შეიცავს რეგულირებებს მსჯავრდებულისა და იმ სასჯელმოხდელი პირის შეწყალების შესახებ, რომელმაც მოიხადა სასჯელი და არ აქვს გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა. ბრძანებულება აყალიბებს იმ ძირითად პირობებსა და წესებს, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების კონსტიტუციური კომპეტენციის პრაქტიკაში მოქმედება. ამავე ბრძანებულებით გათვალისწინებულია ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს შეწყალების მოთხოვნილი პირი და რა წესითაც უნდა განხორციელდეს შეწყალების საკითხის გადაწყვეტა.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 ნოემბრის N928 ბრძანებულებით⁹, საქართველოს პრეზიდენტისათვის მსჯავრდებულთა შეწყალების კონსტიტუციურ უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, შექმნილია შეწყალების საკითხთა კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია ცხრა წევრით. 2016 წლის თებერვალში, შეწყალების საკითხთა კომისიის შექმნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 ნოემბრის N928 ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილებით, შეწყალების კომისიას კიდევ ორი წევრი დაემატა. პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის N120 ბრძანებულებით, შეწყალების კომისია უფლებამოსილია, განიხილოს იმ მსჯავრდებულის საქმე, რომელიც სასჯელს იხდის უვადო თავისუფლების აღკვეთისა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით; სასჯელს იხდის ვადიანი თავისუფლების აღკვეთის

6 - იხ: საქართველოს კონსტიტუცია: <http://parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>
 7 - იხ: ნორმატიული აქტების შესახებ კანონი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052>
 8 - იხ: საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2299717>
 9 - იხ: საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 ნოემბრის №928 ბრძანებულება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2997072>

სახით და სასჯელის ნაწილი ჩათვლილი აქვთ პირობით მსჯავრად. შეწყალების კომისია ასევე, უფლებამოსილია, განიხილოს სასჯელმოხდელი პირის შეწყალების საკითხი მისთვის ნასამართლობის მოხსნის მიზნით.

VI. საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტის სამართლებრივი ბუნება

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულების მე-5 მუხლით, შეწყალების აქტი საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გამოიცემა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულთა შეწყალების თაობაზე განკარგულების გამოცემა საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებას წარმოადგენს. მსჯავრდებულთა შეწყალებისას პრეზიდენტი არ ეწევა ადმინისტრაციულ საქმიანობას, რის გამოც მისი განკარგულება არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, არ ექცევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის რეგულირების სფეროში და შესაბამისად, არ საჩივრდება სასამართლოში. შეწყალების განხორციელებისას პრეზიდენტი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. მსჯავრდებულთა შეწყალება საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივ კომპეტენციაა და ამ ტიპის აქტის მიღება არის პრეზიდენტის ექსკლუზიური პრეროგატივა, ფართო დისკრეციით.

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულების თანახმად, პრეზიდენტი გამოსცემს მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ განკარგულებას. ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, შეწყალებაზე უარის შესახებ პრეზიდენტი არანაირ სამართლებრივ აქტს არ გამოსცემს. შეწყალების კომისიის სხდომის ჩატარებიდან 30 დღეში საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების თაობაზე განკარგულების გამოუცემლობა ჩაითვლება შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმად. შეწყალების აქტის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, პრეზიდენტი იწყალებს მსჯავრდებულებს, შეწყალების კონსტიტუციური უფლებამოსილება აქცენტს აკეთებს მსჯავრდებულთა შეწყალებაზე და არა მათთვის უარის თქმაზე. თუმცა, იმ მსჯავრდებულთათვის, რომელთაც

მიმართული აქვთ პრეზიდენტისათვის და ვერ ხვდებიან შეწყალებულთა სიებში, მათთვის აღნიშნული ქმედება პრაქტიკულად უარს ნიშნავს

VII. შეწყალების საკითხთა კომისიის სამართლებრივი ბუნება და მისი ფორმირების წესი

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულებით „ შეწყალების თხოვნის განხილვისა და მსჯავრდებულთა შეწყალების, ასევე, სასჯელმოხდელი პირისთვის ნასამართლობის მოხსნის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტისთვის რეკომენდაციის წარდგენის მიზნით იქმნება შეწყალების საკითხთა კომისია“. შეწყალების კომისია პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა. იგი პრეზიდენტს შეწყალების კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაში, შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება. შეწყალების კომისია პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულებაში გაწერილი კრიტერიუმების საფუძველზე, კონკრეტული საქმეების შესწავლის შედეგად, იღებს გადაწყვეტილებას შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე რეკომენდაციის გაწევის ან შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე რეკომენდაციის გაწევაზე უარის თქმის შესახებ. შეწყალების კომისია, როგორც სათათბირო ორგანო, იღებს სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებას. კომისიის რეკომენდაციას შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე განიხილავს საქართველოს პრეზიდენტი და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. საქართველოს პრეზიდენტის №120 ბრძანებულების თანახმად, პრეზიდენტს შეუძლია მსჯავრდებულთა შეწყალება შეწყალების კომისიის გვერდის ავლით, შეწყალების კრიტერიუმების დაუცველად. შეწყალების ექსკლუზიური კონსტიტუციური კომპეტენციიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია მსჯავრდებულთა შეწყალება შეწყალების კომისიის მექანიზმის არარსებობის შემთხვევაშიც.

არც საკანონმდებლო და არც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დონეზე რეგლამენტირებული არ არის შეწყალების საკითხთა კომისიის შემადგენლობის ფორმირების წესი და პროცედურა, წევრთა შერჩევის კრიტერიუმები, წევრთა რაოდენობა, რაც მოქმედი რეგულირების გარკვეულ ხარვეზს წარმოადგენს. სასურველია, ნორმატიულად დარეგულირდეს,

შეწყალების კომისიის წევრთა რაოდენობის და წევრთა განათლების ცენზის საკითხი.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 26 ნოემბრის №928 ბრძანებულებით განსაზღვრულია მხოლოდ შეწყალების კომისიის წევრთა სახელობითი ჩამონათვალი

(ჩამოთვლილია შეწყალების კომისიის 9 წევრის სახელი და გვარი) და მათი პროფესია/თანამდებობა. ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოს სახალხო დამცველი და სხვა წევრები. შეწყალების კომისიის მნიშვნელოვანი სტატუსიდან და წევრთა მანდატიდან გამომდინარე, სასურველია, ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს შეწყალების კომისიის ფორმირების წესი, პროცედურა და წევრთა შერჩევის კრიტერიუმები, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას საქართველოში შეწყალების მექანიზმთან დაკავშირებით.

VIII. შეწყალება სტანდარტული და განსაკუთრებული გარემოებების საფუძველზე

შეწყალების სტანდარტული კრიტერიუმები გაწერილია პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის №120 ბრძანებულების მე-2 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში. სტანდარტული კრიტერიუმების თანახმად, შეწყალება არ გამოიყენება იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებსაც სასჯელის გარკვეული ვადა არა აქვთ მოხდილი; ვინც სასჯელის მოხდის ადგილიდან ხასიათდება უარყოფითად; მსჯავრდებულის საქმის განხილვა არ არის დასრულებული სამივე ინსტანციის სასამართლოში, ანდა არ არის გასული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა; მსჯავრდებული არ ითხოვს შეწყალებას.

საქართველოს პრეზიდენტის №120 ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სტანდარტული კრიტერიუმების დაუცველად შეწყალების კომისია განიხილავს მსჯავრდებულის საქმეს, თუ არსებობს განსაკუთრებული გარემოება. თუმცა, ბრძანებულება არ განმარტავს „განსაკუთრებული გარემოებას“, რაც

გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევს მსჯავრდებულებსა და ადვოკატებში. საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებული ნებისმიერი რეგულაცია უნდა იყოს განჭვრეტადი. მსჯავრდებულთათვის უცნობია, რა განეკუთვნება განსაკუთრებულ გარემოებებს, რითაც შეწყალების კომისია ხელმძღვანელობს. მსჯავრდებულებისთვის განსაკუთრებული გარემოების ბუნდოვანებისა და არაგანჭვრეტადობის თაობაზე, საუბრობენ არასამთავრობო სექტორში მომუშავე იურისტები და კერძო ადვოკატები, რომელთაც მსჯავრდებულებთან ხშირი სამსახურეობრივი შეხება აქვთ. მსჯავრდებულები ადვოკატებს ეკითხებიან, თუ რას გულისხმობს განსაკუთრებული გარემოება და რას თვლის შეწყალების კომისია განსაკუთრებულ გარემოებად, რის საფუძველზეც მათ შეეძლება კომისიისათვის მიმართვა. სწორედ აღნიშნული ბუნდოვანება იწვევს მსჯავრდებულთა უკმაყოფილებას. მსჯავრდებულები გამოხატავენ უკმაყოფილებას და ვერ იგებენ, თუ რის საფუძველზე განიხილა კომისიამ ერთი მსჯავრდებულის საქმე „განსაკუთრებული გარემოების“ საფუძველზე, ხოლო მეორესი – არა.

მსჯავრდებულებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია შეწყალების არსთან, წესთან და კრიტერიუმებთან დაკავშირებით, რათა მათ არ გაუჩნდეთ ცრუ მოლოდინები, არაობიექტურობისა და ბუნდოვანების განცდა შეწყალების მექანიზმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. შეწყალების კომისიამ უნდა შეიმუშაოს შეწყალების წესით განსაზღვრულ განსაკუთრებულ გარემოებათა არაამომწურავი ჩამონათვალი, რათა მსჯავრდებულებმა იცოდნენ, ძირითადად, რას მიიჩნევს კომისია განსაკუთრებულ გარემოებად და რა შემთხვევებში შეეძლება მათ კომისიისთვის მიმართვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს მსჯავრდებულთა ინფორმირებულობის დონის ამაღლებას შეწყალების კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით. ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტმა სისტემატიურად უნდა განახორციელოს შეწყალების განსაკუთრებული გარემოებების პრაქტიკის ანალიზი, რაც გასათვალისწინებელი ინფორმაცია იქნება შეწყალების კომისიის წევრებისათვის.

IX. პრეზიდენტის მიერ პირდაპირი წესით შეწყალება

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის N120 ბრძანებულებით, „საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეწყალების თხოვნის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და/ან №120 ბრძანებულებით მოთხოვნების დაუცველად მიიღოს გადაწყვეტილება პირის შეწყალების თაობაზე“. აღნიშნული დებულება ითვალისწინებს მსჯავრდებულის შეწყალებას პრეზიდენტის მიერ პირდაპირი წესით, შეწყალების კომისიის გვერდის ავლით. აღსანიშნავია, რომ ასეთი პრაქტიკა დამკვიდრდა 2005 წლის 30 მაისს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, როდესაც შეწყალების შესახებ დებულებას დაემატა შემდეგი ნორმა: „საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეწყალების შუამდგომლობის (თხოვნის) განხილვის ნებისმიერ სტადიაზე და/ან ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად მიიღოს გადაწყვეტილება პირის შეწყალების თაობაზე“. ასეთი ფართო დისკრეციით შეწყალების პრაქტიკა აისახა 2014 წლის 27 მარტის N120 ბრძანებულებაშიც, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს, შეწყალების წესებისა და მოთხოვნების დაუცველად, კვლავ შეუძლია, შეიწყალოს ნებისმიერ დანაშაულში მსჯავრდებული პირი, ნებისმიერ დროსა და ნებისმიერი რაოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ შეწყალება პრეზიდენტის ექსკლუზიური კომპეტენციაა, აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესაბამის საკანონმდებლო რეგლამენტაციას, რაც განჭვრეტადი იქნება შესაწყალებელი პირისა და დანაშაულებული საზოგადოებისათვის. სამწუხაროდ, უახლოეს წარსულში იყო შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტებმა ისარგებლეს აღნიშნული კომპეტენციით მათი პოლიტიკური პარტიის ან/და ოჯახის წევრების სასარგებლოდ ბუნდოვანი საფუძვლებით¹⁰, რამაც საზოგადოებაში გარკვეული ეჭვები წარმოშვა პრეზიდენტის მიერ ამ უფლებამოსილების მიკერძოებულად გამოყენების შესახებ.

მხედველობაშია მისაღები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განხილული საქმე „ენუქიძე

და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „სასამართლო გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ 2008 წლის 25 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია ესოდენ შემზარავ დანაშაულში მსჯავრდებული სახელმწიფო მოხელეების შეწყალება და მათთვის სასჯელის დარჩენილი ვადის განახევრება“¹¹.

სახალხო დამცველი თვლის, რომ „აუცილებელია, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, რომელიც სამართლებრივ რაციონალიზმზე დაფუძნებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ფარგლებში მოაქცევს საქართველოს პრეზიდენტის ამ პრივილეგიას.¹²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება, თუკი საქართველოს პრეზიდენტი შეწყალების კომისიის გვერდის ავლით, კრიტერიუმების დაუცველად მიღებულ შეწყალების ყოველ კონკრეტულ აქტში წერილობით მოკლედ დაასაბუთებს მსჯავრდებულის პირდაპირი წესით შეწყალების გამომწვევ მიზეზსა და განსაკუთრებულ გარემოებას.

დასკვნა

ვინაიდან საქართველოს კონსტიტუცია შეწყალების უფლებამოსილებას ექსკლუზიურად ანიჭებს სახელმწიფოს მეთაურს – პრეზიდენტს, დადებითად უნდა ჩაითვალოს შეწყალების ინსტიტუტის ისეთი მოდელის არსებობა, როდესაც პრეზიდენტი ქმნის სათათბირო ორგანოს – შეწყალების საკითხთა კომისიას, რომელიც მას აწვდის რეკომენდაციას მსჯავრდებულთათვის შეწყალების თხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე. აღნიშნული მოდელი საკმაოდ დემოკრატიულია, მაგრამ რიგი საკითხები საჭიროებს გაუმჯობესებას, რათა მსჯავრდებულებს და საზოგადოებას არ დარჩეს ბუნდოვანებისა და არაობიექტურობის განცდა პრეზიდენტის მიერ შეწყალების აქტის გამოცემისას.

10 – იხ: ინფორმაცია პრეზიდენტების მიერ შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების თაობაზე: <http://civil.ge/geo/article.php?id=27530%20;%20http://www.netgazeti.ge/GE/105/News/16767/> ასევე: <http://factcheck.ge/article/giorgi-margvelashvili-sakuthari-tsolis-dzmis-shetsqhaleba-ze-saubrisas-aghnishnavs-rom-igive-braldebazeshetsqhaleba-shermdegats-qhophila/>

11 – იხ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება: „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ (განაცხადი № 25091/07), <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2Ffiles%2Fmimdinare%20agsrulebebi%2Fenuqidze%20girgvliani.pdf>

12 – იხ: საქართველოს სახალხო დამცველის შეფასება საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების კომპეტენციასთან დაკავშირებით: <http://www.ombudsman.ge/ge/news/1933-gancxadeba-prezidentis-mier-2013-wlis-30-oqtombers-ganxorcielebul-shewyalebis-aqtan-dakavshirebit.page>

ადამიანის უფლებათა დაცვის კონტინენტალური კალიტრა – უნივერსალურია და შედარებითი ადამიანის უფლებები?



შესავალი

ფაქტია, რომ ადამიანის უფლებათა სისტემების განვითარებამ ყველაზე დიდ წარმატებას მე-20 და 21-ე საუკუნეში მიაღწია.¹

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების შემდეგ საფუძველი ჩაეყარა ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონალურ სისტემებს. დღეისათვის აღიარებენ 4 რეგიონალურ სისტემას: ორს ევროპაში, თითოს – ამერიკასა და აფრიკაში. რაც შეეხება აზიასა და ახლო აღმოსავლეთს, აქ არ არსებობს იურიდიული დაცვის მექანიზმი როგორც ასეთი, თუმცა შეიძლება აღვნიშნოთ 2004 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა არაბული ქარტია, რომელიც არაბული ქვეყნების ლიგამ შეიმუშავა. მიუხედავად ამისა, მხოლოდ სამი რეგიონალური სისტემით (ევროპა, აფრიკა და ამერიკა) შეიქმნა აღნიშნული უფლებების ეფექტური განხორციელების მექანიზმი საყოველთაო სასამართლო წესით, რომელიც სავარაუდოდ დაბარალეულს

გვანცა ჩაღუნელი

სამართლის მაგისტრი

უნივერსიტეტი პანთეონ-ასასი პარიზი 2 (სორბონას საუნივერსიტეტო ასოციაცია)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საშუალებას აძლევს მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად.

ადამიანის უფლებათა სისტემებს, შესაძლოა, გარკვეული კუთხით თანაფარდობა ახასიათებდეთ – ბევრი უფლება ერთნაირად ღირებულია აფრიკელებისათვისაც და ევროპელებისთვისაც, ამერიკელებისთვისაც და არაბი ხალხისთვისაც, ამავდროულად, შესაძლოა, სურათი იმგვარად წარმოჩინდეს, რომ გარკვეული ტიპის უფლებები უფრო ძლიერი ბერკეტებით არის დაცული ერთ სისტემაში, ვიდრე სხვაგან, ეს გამოწვეულია ყოველი ხალხის პოლიტიკურ-სოციალური წარსულით თუ კულტურულ-მორალური ღირებულებების დივერსიფიკაციით. ადამიანის უფლებათა დაცვის აღნიშნული სისტემების ანალიზის შედეგად საინტერესოა პასუხი კითხვაზე – შეფარდებითია თუ უნივერსალური ადამიანის უფლებები? ამ მიზნით, პირველ რიგში, მოვახდინოთ სისტემების კონცეფციური მიმოხილვა, ხოლო შემდგომ – მათი შედარებითი ანალიზი.

1. ადამიანის უფლებათა დაცვის კონტინენტალური და არაბული სტანდარტები

1. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემა

მეორე მსოფლიო ომის დროს ადამიანის უფლებები

1 – D. Garcia Sayan, “Constitutional review: the Inter-American Court and constitutionalism in Latin America”, Texas Law Review, vol. 89, juin 2011, გვ. 1835

აბსოლუტურად მივიწყებული იყო. ომის შემდეგ, ევროპის მასშტაბით ორი მნიშვნელოვანი ტექსტი იქნა მიღებული: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (შემდგომში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია).

1.1 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიღებულ იქნა 1948 წლის 10 დეკემბერს პარიზში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ. აღნიშნული დეკლარაციის მახასიათებელი არის ის, რომ მას არ აქვს შემზღვეველი ხასიათი – არ წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო ტექსტს.

დეკლარაციის პრეამბულა ინსპირირებულია ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა ფრანგული დეკლარაციიდან, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ტექსტს ადამიანის უფლებათა სფეროში ევროპის კონტინენტზე, მაგრამ ამავდროულად, იგი შეიცავს სხვა მრავალ თანამედროვე უფლებას, რომელიც იმ დროს აქტუალურად განიხილებოდა.

მაგალითად, მე-12 მუხლით დაცულია ადამიანის პირადი ცხოვრების უფლება. ეს პირველი ტექსტია, რომელიც შეეხო პირადი ცხოვრების უფლებასა და პირადი ცხოვრების პატივისცემას.

მე-14 მუხლით გარანტირებულია თავშესაფრის ძიების უფლება, რომელიც აქამდე არ იყო ნახსენები არც ერთ საერთაშორისო თუ ნაციონალურ აქტში.

მე-15 მუხლი ითვალისწინებს უფლებას ეროვნებაზე, რომელიც საერთაშორისო ასპექტის უფლებაა.

კიდევ ერთი სიახლე გათვალისწინებული 22-ე მუხლით – უფლება ჯანმრთელობის დაზღვევაზე.

23-ე მუხლი იცავს შრომის უფლებას, ხოლო 26-ე მუხლი – განათლების უფლებას.

როგორც ვხედავთ, დეკლარაციით განისაზღვრა ადამიანის უფლებათა ახალი თაობა, რაც გამოწვეული იყო იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობით.

კიდევ ერთი სპეციფიკა, რაც შეინიშნება საყოველთაო

დეკლარაციაში, არის უფლებათა რიგითობა, რომელიც განსაზღვრულია მათი პრიორიტეტულობის მიხედვით. მაგალითად, მე-2 მუხლი მთლიანად ეძღვნება დისკრიმინაციის აკრძალვას ზუსტად იმ მიზნით, რომ დეკლარაციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა იმ დროისათვის არსებული დისკრიმინაციის აღმოფხვრა სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მე-3 მუხლი იცავს სიცოცხლის უფლებას, თავისუფლებას და ადამიანის უსაფრთხოებას.

მე-4 მუხლი კრძალავს მონობას.

მე-5 მუხლი კრძალავს წამებას. (აღნიშნული გამოძახილია მეორე მსოფლიო ომის დროს განხორციელებული მრავალი ადამიანის მიმართ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტისა).

საკუთრების უფლება გარანტირებულია მე-17 მუხლით, რომელიც პრიორიტეტულად საკმაოდ უკანა რიგებშია მოქცეული, თუმცა ეს გასაგებია, რადგან იმ დროს არსებობდა პოლიტიკური პრობლემები, მსოფლიო გაერთიანებული იყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ირგვლივ, ამიტომაც საჭირო იყო ისეთი ტექსტის შედგენა, რაც მისაღები იქნებოდა ამ ორი გიგანტისათვის.

1.2 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, იგი მიღებულ იქნა 1949 წელს ევროპის საბჭოს მიერ და ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. ამოსავალი წერტილი აქაც არის მეორე მსოფლიო ომი. პირველი ორი მუხლი ეძღვნება სიცოცხლის უფლებას, მე-3 მუხლი კრძალავს წამებას.

დიდი განსხვავება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და საყოველთაო დეკლარაციას შორის არის ის, რომ ხელშეკრულება, რომლითაც შეიქმნა ევროპული კონვენცია, ითვალისწინებს სასამართლოს, რომლის ფუნქციაშიც შედის, აკონტროლოს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების სწორი განხორციელება ხელმომწერ სახელმწიფოებში. ნებისმიერ ინდივიდს ხელმომწერი სახელმწიფოდან აქვს უფლება, საჩივრით მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. აღნიშნული ფაქტორით ევროპულ

კონვენციას გააჩნია უფრო დიდი უპირატესობა, ვიდრე საყოველთაო დეკლარაციას, რომელიც წარმოდგენს მხოლოდ დეკლარაცია-პრინციპს და ნაკლებ პრაქტიკულია აღსრულების მექანიზმის არარსებობის გამო.

1.3 ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტი

2000 წელს მიღებულ იქნა ადამიანის ძირითად უფლებათა ევროპული ქარტია. ქარტიას სავალდებულო ძალა აქვს 2009 წლიდან ევროკავშირის ქვეყნებში, აღნიშულ ქარტიას ჰქვია „ძირითად უფლებათა ქარტია“, ტერმინოლოგიური მოდიფიკაცია გვაჩვენებს, რომ პარადიგმა გარკვეულწილად შეიცვალა, დასაწყისში ადამიანის უფლებები გამოირჩეოდა ფილოსოფიური ხასიათით, მე-20 საუკუნიდან კი საუბრობენ „ძირითად უფლებებზე,“ რათა ხაზი გაუსვან მის იმპერატიულ ხასიათს.

2. ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკული სისტემა

საინტერესოა, რომ ევროპა არ არის ერთადერთი კონტინენტი, რომელსაც გააჩნია ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა.

სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე 1969 წელს მიიღეს ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1978 წელს და რატიფიცირებულ იქნა ამერიკული კონტინენტის 25 სახელმწიფოს მიერ.

ამერიკულ სისტემაში ერთ მხარეს არის კომისია, რომელსაც ჰქვია ადამიანის უფლებათა ამერიკული კომისია და მეორე მხარეს არის ადამიანის უფლებათა ამერიკის სასამართლო. სასამართლოსადმი მიმართვა მხოლოდ კომისიასა და ცალკეულ სახელმწიფოებს შეუძლიათ (რაც ძალიან იშვიათია), ანუ არსებობს სასამართლოსადმი მიმართვის შეზღუდვა. იმისათვის, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არსებობდეს, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გასცეს თანხმობა, ანუ ცნოს სასამართლოს კომპეტენცია, მისი იურისდიქცია.

ამჟამად 21 ხელმომწერი სახელმწიფო აღიარებს სასამართლოს კომპეტენციას. კერძო პირებს არ შეუძლიათ პირდაპირ მიმართონ სასამართლოს, რაც მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა კონვენციის

ეფექტურობისათვის. ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოებს შორის აშშ-მ უარი განაცხადა აღნიშნული კონვენციის რატიფიკაციაზე, ანუ აშშ არ არის ამერიკის ადამიანის უფლებათა კონვენციის წევრი.

3. ადამიანის უფლებათა დაცვის აფრიკული სისტემა

გარდა ამისა, აფრიკის კონტინენტზე 1963 წლიდან არსებობს ქარტია, რომელიც იმ დროისათვის მიღებულ იქნა აფრიკელ ხალხთა კონსოლიდაციის მიზნით. საყურადღებოა, ის ფაქტია, რომ იმდროისათვის აფრიკული ქვეყნები წარმოდგენდნენ დეკოლონიზირებულ ქვეყნებს, ყველა აფრიკული ქვეყნა, რომელიც მანამდე იყო საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის კოლონია, ეძებდა ნამდვილ დამოუკიდებლობას. აფრიკული ქარტია განიცდის ისტორიის ზეგავლენას, მაგალითად, აქ შევხვდებით ისეთ უფლებათა ჩამონათვალს, როგორცაა მოძრავი ნივთის შეძენის უფლება, ან თუნდაც საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ დათქმა.

ცოტა მოგვიანებით, 1981 წელს, მიღებულ იქნა „ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია“. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ტერმინს – „ხალხის უფლებები“, რადგანაც ქარტია ითვალისწინებს არა მხოლოდ ინდივიდების უფლებებს, არამედ კოლექტივების უფლებებს სხვა ხალხების და ნაციების მიმართ. აღნიშნული ქარტია ხელმოწერილია თითქმის ყველა აფრიკული ქვეყნის მიერ. ქარტიაში გამეორებულია ტექსტი, რომელიც გვხვდება 1963 წლის ქარტიაშიც, თუმცა ემატება სიახლეები, რომლებიც უფრო ნათლად გამოხატავს აფრიკულ ტრადიციებსა და კულტურულ ღირებულებებს.

ამ პერიოდისათვის ქარტიას არ გააჩნდა ეფექტური შემზღუდველი ხასიათი, ამიტომაც 1998 წელს მიღებულ იქნა დამატებითი პროტოკოლი (რომელიც ძალაში შევიდა 2004 წელს). ამ პროტოკოლით შეიქმნა ადამიანის უფლებათა აფრიკული სასამართლო.² პროტოკოლი რატიფიცირებულ იქნა 26 აფრიკულ სახელმწიფოში. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება გააჩნია ადამიანის უფლებათა კომისიას ან წევრ სახელმწიფოს, მაგრამ არსებობს სპეციფიკური ნიუანსი – პროტოკოლი ითვალისწინებს, რომ აფრიკული ქვეყნებს შეუძლიათ ნება დართონ თავიანთ მოქალაქეებს პირდაპირ მიმართონ სასამართლოს. მიუხედავად იმისა,

2 – როგორც ვხედავთ, ევროპული მოდელი გავრცელდა ჯერ ამერიკის კონტინენტზე, შედეგ კი უკვე აფრიკაში

რომ ეს დამოკიდებულია თითოეული სახელმწიფოს ნებაზე, სასამართლოსადმი პირდაპირ მიმართვის შესაძლებლობის გათვალისწინება მაინც წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება იქნას მიჩნეული აფრიკულ სამართლებრივ ცნობიერებაში.

დღეის მდგომარეობით, მხოლოდ 5 აფრიკული სახელმწიფო რთავს ნებას თავის მოქალაქეებს, პირდაპირ მიმართონ ადამიანის უფლებათა აფრიკულ სასამართლოს. ამ უკანასკნელს პრაქტიკაში არ აქვს ბევრი სამუშაო, მისი პირველი გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა 2013 წელს, თუმცა იგი მკაცრად იქნა გაკრიტიკებული რედაქტირების ხარვეზიანობის გამო. ეს ფაქტი ადასტურებს აფრიკული სახელმწიფოების პრიორიტეტს დავების მოგვარების კონსესუალურ რეჟიმთან მიმართებით სასამართლო პროცედურებთან შედარებით.³

4. ადამიანის უფლებათა დაცვის არაბული სისტემა

კიდევ ერთი დეკლარაცია, რომელიც ცოტათი ჰგავს აფრიკულს, არის ადამიანის უფლებათა არაბული ქარტია, მიღებული 1994 წელს არაბული ლიგის ხელმძღვანელობით, შემდგომში იგი მოდიფიცირებულ იქნა 2004 წელს (ძალაში შევიდა 2008 წელს), საკმაოდ მოგვიანებით, რადგანაც საჭირო იყო გარკვეული ცვლილებების გატარება საკანონმდებლო დონეზე. აღნიშნული სისტემა არ ითვალისწინებს სასამართლოს, არსებობს მხოლოდ კომიტეტი, რომელიც გასცემს რეკომენდაციებს.

აღნიშნული ქარტიის სუბიექტები არიან მხოლოდ მოქალაქეები და აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული კუთხით დისკრიმინაციულია.

არაბული ქარტიის ფუნდამენტური სპეციფიკა არის ის, რომ იგი დაფუძნებულია მუსულმანურ რელიგიაზე!

არაბული ქარტია მკაცრად არის გაკრიტიკებული იმ ფაქტის გამო, რომ ზოგიერთი უფლება, რომელიც გარანტირებულია აღნიშნული ქარტიით, ეწინააღმდეგება საერთაშორისო ინსტრუმენტებით დაცულ უფლებებს, როგორცაა, მაგალითად, არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯის არსებობა,⁴ რომელიც ფორმალურად აკრძალულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტით.⁵

II. ადამიანის უფლებათა სისტემების შედარება-დიფერენცირება

1. ამერიკისა და ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციების შედარება

პირველ რიგში, რა განსხვავებაა მათ შორის? შეიძლება ითქვას, რომ ამერიკულ სისტემაში, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები⁶ იკავებს განსაკუთრებულ ადგილს, მაშინ როცა უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებში სხვა სურათია.⁷

ამერიკული კონვენცია განსაკუთრებით უსვამს ხაზს ქალისა და კაცის თანასწორობას, ასევე, მრავლადაა მოცემული მეორე თაობის უფლებები⁸ (უფლება საკვებზე, უფლება ჯანმრთელობაზე), ასევე ისეთი უფლებებიც, რომლებიც, მეტად უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგალითად, მე-14 მუხლი – უფლება პერსონალური მონაცემების შესწორებისა და პასუხის უფლება. რატომ არსებობს ეს უფლებები კონვენციაში? ვერ ვიტყვით, რომ შეიძლება ისინი მივაკუთვნოთ ადამიანის ძირითად უფლებებს, მაგრამ რა არის მათი დეკლარაციაში შემოტანის მიზანი? ნუთუ არ არსებობს ლიმიტი?

ამერიკის კონვენციის მე-18 და მე-19 მუხლები არის უფლება სახელზე და გვარზე. აქ სხვა ბევრ ნორმებსაც ვხვდებით, რომელთა ანალოგიც არ მოიძებნება ევროპულ კონვენციაში.

3 – F. Ouguergouz, La charte africaine des droits de l’homme et des peuples, 1993, p.67
4 – მუხლი 6 და 7
5 – L’efficacité des mécanismes régionaux de protection des droits de l’homme (partie I), 2013, Vers le monde, Le blog du Master Carrières Internationales, ხელმისაწვდომია: <https://mastercarrieresinternationales.wordpress.com/2013/05/26/lefficacite-des-mecanismes-regionaux-de-protection-des-droits-de-lhomme-part-i/>
6 – მუხლი 26
7 – B. Santoscoy, La Commission interaméricaine des droits de l’homme et le développement de sa compétence par le système des pétitions individuelles, 1995, გვ.20
8 – ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ, R. Norris, “The Individual Petition Procedure of the Inter-American System for the Protection of Human Rights”, in : HANNUM, Hurst (éd.), Guide to International Human Rights Practice, International Human Rights Law Group, London : Mac Millan Press, 1984. p. 109.

მაგრამ აქვე საინტერესოა, რამდენად შეიძლება გავაიგივოთ აღნიშნული სამოქალაქო უფლებები ადამიანის ძირითად უფლებებთან? ნუთუ სახელისა და გვარის ჩამორთმევა არის პერმანენტული ხასიათის და საჭიროებს ისეთი დონის დაცვას, რომ იგი შევიყვანოთ ძირითად უფლებათა ნუსხაში? – არა!

ამერიკულ კონვენციაში არის მე-11 მუხლი ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ. ნუთუ აღნიშნულ უფლებას და სიცოცხლის უფლებას შორის არსებობს იმგვარი ბალანსი, რომ აღნიშნული უფლებები ერთმანეთის გვერდით მოვიაზროთ ძირითად უფლებათა ნუსხაში? – არა!

თუმცაღა მთავარი განსხვავება ამ ორ ტექსტს შორის მაინც არის ის, რომ ამერიკული კონვენციის 32-ე მუხლი ითვალისწინებს ვალდებულებებსაც: „ყველა ადამიანს აქვს ვალდებულებები საკუთარი ოჯახის, საზოგადოებისა და კაცობრიობის წინაშე“ – უნდა ითქვას, რომ ეს ძალიან უცხო და განსხვავებულია ელემენტია ადამიანის უფლებათა სისტემაში.

ამერიკულ კონვენციაში ბევრად მეტი უფლებაა გათვალისწინებული, რომელთა მნიშვნელობა არათანაბარია, ვიდრე ევროპულში, თუნდაც ვნახოთ 26-ე მუხლი – უფლება პროგრესულ განვითარებაზე (ეკონომიკური ხასიათის ნორმა, ამასთან ძალზედ ფართო), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ, უფლება ჯანსაღი გარემოს შესახებ და ა.შ. ამ კუთხით ევროპული კონვენცია გაცილებით მოკლეა, თუმცა უფრო რეალისტური.

დიდი განსხვავება ამერიკულ კონვენციასთან არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არსებობა, რომელსაც ყოველდღე გამოაქვს გადაწყვეტილებები და უზრუნველყოფს ხელმომწერ სახელმწიფოებში კონვენციით გათვალისწინებული 14 უფლებისა და თავისუფლების აღსრულებას. ევროპულ კონვენციაში გაცილებით ცოტა უფლებაა, მაგრამ ეს უფლებები უფრო ეფექტურად არის დაცული, ვიდრე ის 40 უფლება, რომელიც ამერიკულ კონვენციაში გვხვდება (მიუხედავად ამერიკის ადამიანის უფლებათა

სასამართლოს არსებობისა), რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ პრინციპებად, ვიდრე ეფექტურ უფლებებად.

ამერიკული სისტემის გაუმჯობესება შესაძლებელია დაზარალებულისათვის აქტიური როლის მინიჭებით სასამართლოს წინაშე, თუ მას ექნება სასამართლოსადმი პირდაპირი მიმართვის უფლება, როგორც ევროპული მოდელის შემთხვევაში.⁹

2. ევროპული და აფრიკული სისტემების შედარება

რაც შეეხება აფრიკულ ქარტიას, იგი მოიცავს ახალის თაობის უფლებებს, რომელიც ცნობილია როგორც „სოლიდარული უფლებები“. ამ უფლებების ძირითადი ბენეფიციარი ხალხია.

ამასთან, აფრიკული ქარტიის ინოვაცია უფრო ნაკლებად მდგომარეობს ხალხის, როგორც ზოგიერთი უფლების ბენეფიციარად განმტკიცებაში, ვიდრე ამავე უფლებების დეტალებში და მათ რაოდენობაში.

ეს მოსაზრება ასევე მართებულია აფრიკულ ქარტიაში ინდივიდის ვალდებულებების ინკორპორაციასთან მიმართებით. ქარტიის ერთი თავი მთლიანად ეძღვნება ინდივიდის ვალდებულებებს და გაჟღერებულია პრემამულამიც: „უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა მოიცავს თითოეული ინდივიდის მიერ გარკვეული ვალდებულებების შესრულებას.“¹⁰

აფრიკული კონვენცია არ ითვალისწინებს არც პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას, არც მეუღლის არჩევის უფლებას და არც რელიგიის შეცვლის უფლებას, ის აგრეთვე, არ ითვალისწინებს არავითარ ლიმიტს სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით.¹¹

ასევე შესამჩნევია ფორმულირების განზოგადებული ხასიათი. კონკრეტიზაციის არარსებობა სახელმწიფოს უტოვებს ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას. ზოგიერთი ავტორის აზრით, აღნიშნული გამოწვეულია ქარტიის ავტორთა მიზანმიმართული ქმედებით, ან იმ სწრაფი ტემპის გამო, რომლითაც ქარტია იქნა შემუშავებული და მიღებული.¹²

რა განსხვავებაა ევროპულ კონვენციასა და აფრიკულ

9 – S. Garcia-Ramirez, El amplio horizonte de las reparaciones en la jurisprudencia interamericana de derechos humanos, 2011, გვ. 102

10 – თავი II, რომელიც მოიცავს მხოლოდ 27-დან 29-ე მუხლებს; ეს სამი მუხლი შედგება თერთმეტი პუნქტისგან

11 – მუხლი 18, მუხლი 12 (I და II პუნქტი), მუხლი 9

12 – F. Ougergouz, La charte africaine des droits de l’homme et des peuples, 1993, გვ.70

ქარტიას შორის? როგორ შეიძლება ავხსნათ, რომ აფრიკული ქარტია არ ითვალისწინებს უფლებას პირადი ცხოვრების პატივისცემის შესახებ?

ეს უფლება არ არის მოცემულ აფრიკულ ქარტიაში იმიტომ, რომ აფრიკელი ხალხს არ სურდა მისი შეტანა ქარტიაში, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ იმ პერიოდში პირადი ცხოვრება არ იყო აფრიკელი ხალხის მენტალიტეტში, რადგანაც აფრიკულ მენტალიტეტში სოციალური კომუნა განსაკუთრებით დიდ ადგილს იკავებდა. პირადი ცხოვრების უფლება დასავლური უფლებაა, აფრიკელებისთვის კი ინტერესის სფეროს მიღმა რჩება.

მაშასადამე, კარგად ვხედავთ, რომ ადამიანის უფლებები შედარებითი ცნებაა - ის, რაც ევროპელებისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, აფრიკელებისთვის, პირიქით, ეს კარგად ჩანს პირადი ცხოვრების უფლების მაგალითზე, პირადი სფეროს არსებობა ეწინააღმდეგება მათ კულტურულ ფასეულობებს.

სხვა განსხვავება ეს არის ქორწინების უფლების არარსებობა, რადგანაც ეს უფლება უცნობია აფრიკელი ხალხისათვის. ტრადიციულ აფრიკულ საზოგადოებაში ქორწინების საკითხი წყდებოდა ოჯახებს შორის - ისინი აძლევდნენ თანხმობას, დასაქორწინებელ პირებს არ ჰქონდა არჩევანის საშუალება, ვისზე დაქორწინებულიყვნენ, არამედ ოჯახში მამა წყვეტდა ვის მიათხოვებს თავის შვილს. ქორწინება გამოიყენებოდა, როგორც პოლიტიკური იარაღი ოჯახისათვის. ვინაიდან ქორწინება ოჯახის საქმეა და არა სამართლის. ყოველ ინდივიდს კი გარკვეული ვალდებულებები აქვს ოჯახის მიმართ.

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში ქორწინების უფლება არის ნებაზე დამყარებული. ადრინდელ ვერსიაში დაზუსტებული იყო, რომ ქორწინება ემყარებოდა ინდივიდების ნებასა და სურვილს.

აქაც ვხედავთ, რომ ადამიანის უფლების ცნება დამყარებულია კულტურულ მსოფლმხედველობაზე.

კიდევ ერთი დიდი განსხვავება - აფრიკულ ქარტიაში არ არსებობს სიკვდილით დასჯის აკრძალვა.

აფრიკული ქარტიის ძირეულ ფაქტორად მიანც უნდა მივიჩნიოთ „ხალხის უფლებების“ ცენტრალური როლი - ხალხის თანასწორობა, ხალხის არსებობის უფლება, უფლება ბუნებრივი რესურსების ფლობისა...

მაგრამ რატომ ხალხის უფლება? ეს შეიძლება აიხსნას აფრიკელთა ისტორიით, რადგანაც აფრიკული ქვეყნები კოლონიებს წარმოადგენდნენ მრავალი წლის მანძილზე ფრანგების, ინგლისელების, გერმანელების სასარგებლოდ. აფრიკული ქარტიისთვის დამახასიათებელი ადამიანის უფლებათა მესამე თაობა (კოლექტიური უფლებები) გამოძახილია მათი ისტორიული წარსულისა. ევროპელებისათვის უცნობია ის პრობლემები, რაც აფრიკელებს კოლონიზაციამ მოუტანა.

ოჯახი და ტრადიციული მორალური ღირებულებები განსაკუთრებულ კვალს ტოვებს აფრიკული ქარტიის ლაიტმოტივების ჩამოყალიბებაში.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი განსაკუთრებული ასპექტი: ვალდებულებების საკითხი, ვინ არიან აღნიშნული ვალდებულებების კრედიტორები? მშობლები, ოჯახი, სახელმწიფო... ოჯახის მხარდაჭერა, ოჯახის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოადგენს აფრიკული მენტალიტეტის მნიშვნელოვან ფაქტორს.

რა არის აღნიშნულ ვალდებულებების საგანი? ქარტიაში მოცემულია ზოგადი ტიპის ვალდებულებები, როგორცაა „თანამემამულის პატივისცემა და დაფასება დისკრიმინაციის გარეშე“.¹³ გვაქვს 2 სპეციალური ტიპის ვალდებულება: ერთი მხრივ, ოჯახის პარმონიულ განვითარებაზე ზრუნვა¹⁴ და მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიმართ, კერძოდ:

- 1) საფრთხე არ შეუქმნას იმ სახელმწიფოს უსაფრთხოებას, რომლის ეროვნებისაც არის პირი, ან რომელი სახელმწიფოს ბინადარიცაა.
- 2) დაიცვას და გააძლიეროს ეროვნული დამოუკიდებლობა და სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობა და, ზოგადად, ხელი შეუწყოს ქვეყნის თავდაცვას კანონით დადგენილ ფარგლებში.

13 - მუხლი 28
 14 - მუხლი 29: ინდივიდს გააჩნია ვალდებულებები: იზრუნოს ოჯახის პარმონიული განვითარებაზე, ოჯახის ერთობასა და მის პატივისცემაზე; პატივისცემის მის მშობლებს, გამოკვებოს ისინი და დაეხმაროს საჭიროების შემთხვევაში“.

ეს ვალდებულებები სპეციფიური აფრიკული ხასიათისაა: ინდივიდს დახმარების ვალდებულება ოჯახის მიმართ – ტრადიციული ღირებულებების დაცვა აღიარებულია კომუნის მიერ, მაგრამ ვინ არის კომუნა? არის ეს სოფლის კომუნა, რაიონის კომუნა თუ სახელმწიფო კომუნა? გადაჭრით თქმა რთულია. დაპირისპირება შეიძლება წარმოიშვას, ასევე, სხვადასხვა კომუნების ღირებულებებს შორის. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ კომუნის ღირებულებები კონფლიქტში მოვა ქარტიის ღირებულებებთან? ხშირად მათ შორის არ არის შესაბამისობა.

ქარტიაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, დაეხმაროს ოჯახს თავისი მისიის შესრულებაში, რაც მორალური და ტრადიციული ღირებულებების დაცვას გულისხმობს“. ადრე ოჯახის მამას შეეძლო დაეპატიმრებინა თავისი შვილები, აქაც ყველაფერი დამოკიდებულია აღნიშნული ნორმის ინტერპრეტაციაზე. ვალდებულებათა სუბიექტები შეიძლება წარმოვიდგინოთ პირამიდის სახით: თავდაპირველად ინდივიდი, შემდეგ – კომუნა, რომელსაც იგი მიეკუთვნება და ბოლოს სახელმწიფო.

შესამჩნევია წინააღმდეგობა აფრიკულ ქარტიაში: აფრიკაში, ისტორიულად, ხალხს ჰქონდა პრობლემები საკუთარი თავის ფლობის უფლებასთან დაკავშირებით, როცა ვამბობთ, „ხალხის უფლებაა, ფლობდნენ საკუთარ თავს“, რეალურად, ბუნდოვანია. ეროვნულ ერთობაში ბევრი „ხალხი“ მოიაზრება და გაურკვეველია რომელი „ხალხის“ უფლებებზე საუბრობს ამ შემთხვევაში ქარტიის ნორმა. აფრიკულ ხალხს სურს დამოუკიდებლობა სახელმწიფოსთან მიმართებით, თუმცა, ყველა შემთხვევაში, ხალხის უფლება, ფლობდეს საკუთარ თავს, არ არის აბსოლუტური.

აფრიკული სახელმწიფოები ევროპული კოლონიზაციის შედეგია. როდესაც კოლონიზატორები შემოვიდნენ აფრიკაში, არ არსებობდა სახელმწიფოები, მათ დაინაწილეს ტერიტორიები, გაავლეს საზღვრები, რეალურად ეს არ არის საზღვრები, რომლებიც ემთხვევა აფრიკულ კომუნებს, ეს არის ადმინისტრაციულ ბაზაზე შექმნილი დივიზიები, რეალურად კომუნები განსხვავებულად არიან განლაგებულნი, ამიტომაც დღეს კონფლიქტია, რადგან ცალკეულ კომუნას სურს დაიბრუნოს საკუთარი დამოუკიდებლობა, რადგანაც

ხელოვნურ საზღვრებში მოქცეულ „ხალხებს“ განსხვავებული წეს-ჩვეულებები და განსხვავებული ენა აქვთ.

ადამიანის უფლება, აფრიკული მნიშვნელობით, არ არის ადამიანის უფლება საყოველთაო გაგებით, რადგანაც ახასიათებს სპეციფიკა: არ არსებობს ქორწინების უფლება, არ არსებობს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება, გაურკვეველი დატვირთვისაა ხალხის უფლება, ფლობდეს საკუთარ თავს და ითვალისწინებს ვალდებულებებს.

3. არაბული სისტემის მიმართება დანარჩენ უფლებადაცვით სისტემებთან

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა არაბულ ქარტიას, არსებობს 1994 წლისა და 2004 წლის არაბული ქარტიები. მათ შორის არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება.

2004 წლის ქარტიაში დაცულია სქესთა შორის თანასწორობა, რაც არ იყო აღნიშნული 1994 წლის ქარტიაში.

2004 წლის ქარტიის სიახლეს წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლების განმტკიცება (რელიგიის საწინააღმდეგოდაც კი), ქორწინების განსაზღვრა – არაბებმა ჩაწერეს, რომ ქორწინება ქალისა და ვაცის კავშირია, მათ ამით შეცვალეს 1994 წლის ქარტია, რადგანაც ძველი ქარტია ახლოს იყო შარიათის კანონებთან.

სინამდვილეში, ახალ ქარტიაში უფლებები სხვაგვარად არის გადმოცემული, თუმცა შინაარსი რეალურად არ შეცვლილა.

რა არის საერთო წერტილები აფრიკულ და არაბულ ქარტიებს შორის?

მუსულმანური ტრადიციის უმრავლეს ქვეყნებში ზოგიერთი საკითხი საერო სამართალს დაექვემდებარა, თუმცა ზოგიერთი საკითხი – შარიათს. ქორწინება, შვილად აყვანისა და მემკვიდრეობის საკითხი ექვემდებარება რელიგიას, შარიათს კი ისეთი საკითხები, როგორცაა : გადასახადები, დაზღვევის სამართალი და ა.შ.

არაბულ სამართალში, ფულის გასესხება პროცენტთან

სარგებლით ამორალურად ითვლება.

საერთო წერტილი არაბულ და აფრიკულ ქარტიას შორის სიონიზმისა¹⁵ და უცხოელების წინააღმდეგ მიმართული განწყობაა. ეს უცნაურიც კია, რადგან სიონიზმის უფლება გარანტირებულია არაბული ქარტიით. ოჯახის მნიშვნელობა აქაც იგრძნობა, უფლება ჰარმონიულ განვითარებაზე – ეს საერთო ელემენტები ახასიათებს აფრიკულ და არაბულ ქარტიებს .

არაბულ და აფრიკულ ქარტიებს განასხვავებს არაბულ ქარტიაში პირადი ცხოვრების დაცვის უფლების არსებობა. არაბებისათვის პირადი ცხოვრება აბსოლუტურია და ამიტომაც გარეშე პირებს არ შეუძლიათ ხედავდნენ ,თუ რა ხდება სხვის ოჯახში, (თუმცა აღნიშნულს მაინც არ აქვს იგივე დატვირთვა, რაც ევროპაში), აქვე გვხვდება ქორწინების უფლება,¹⁶ გაფიცვის უფლება, უფლება ჯანმრთელობის დაზღვევაზე. შეიძლება დავსვათ კითხვა, რატომ დააწესა ლიმიტი აფრიკულმა ქარტიამ უფლებებისათვის არაბული ქარტიისაგან განსხვავებით?

სინამდვილეში არაბული ქარტია თავისი ფილოსოფიით უფრო ახლოსაა დასავლურთან, თუმცაღა გარკვეული კუთხით არაბული ქარტია განიცდის რელიგიურ გავლენას, მას გარკვეული კავშირი აქვს ევროპულ ღირებულებებთან (პირადი ცხოვრება და ჯანმრთელობის დაზღვევის უფლება) და რაღაცემხრივ ემსგავსება აფრიკულ ქარტიასაც – ოჯახის კულტის გავლენის გათვალისწინებით, აქ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ადამიანის უფლებები შედარებითი ცნებაა.

არაბული და აფრიკული ქარტიები შეიცავს ბევრად მეტ უფლებათა ჩამონათვალს, ვიდრე ევროპული კონვენცია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აფრიკაში და არაბეთში ადამიანის უფლებები უფრო კარგად არის დაცული. არაბული და აფრიკული ქარტიები არის პრინციპ-დებულებები მაშინ, როცა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მოიცავს ბევრად ნაკლებ უფლებას,

მაგრამ ეს არის უფლებები, რომლებიც აქტიურად და ეფექტურად გამოიყენება ყოველდღე, ეს არის მათ შორის დიდი განსხვავება.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცალსახაა, ყველა რეგიონალურ სისტემას გააჩნია საერთო გადაკვეთის წერტილი.¹⁷ ადამიანის უფლებათა უნივერსალურობა დამყარებულია გარკვეულ უფლებათა სერიაზე, რომელიც თანაბრად აღიარებულია ყველა იურიდიულ სისტემაში. თუმცა უნივერსალურობა მოიცავს იდეას, არ იქნას მხედველობაში მიღებული თითოეული ქვეყნის ეროვნული თავისებურება.¹⁸

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ცნება უნივერსალურია, თუმცა ამავდროს, პირიქით. ყველა დეკლარაციაში არის ბაზისი: სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა, უფლება სამართლიან სასამართლოზე... მაგრამ მათი მნიშვნელობა განსხვავებულია, უფლებების ბაზისი უნივერსალურია, თუმცა ამ უფლებების განმარტება-დაზუსტება-გაგება იცვლება თითოეული კონტიგენტისათვის დამახასიათებელი კულტურულ-სოციალურ ღირებულებების, ისტორიული წარსულისა და საზოგადოების განვითარების დონის მიხედვით, რაც ნათლად დავინახეთ ევროპის, ამერიკის, აფრიკისა და არაბეთის უფლებათა დაცვის სისტემების შედარების საფუძველზე.

უნივერსალურობის თუ შეფარდებითობის მიუხედავად, უფლებათა დაცვის კონტინენტალურმა სასამართლოებმა არ უნდა თქვან უარი სასამართლო დიალოგზე ყველა დონეზე, ჰორიზონტალურ თუ ვერტიკალურ დონეზე. გლობალიზაცია გულისხმობს, რომ რეგიონალური სასამართლოების მიერ განხილული საქმის უმრავლესობა ცნობილია, როგორც სასამართლო დიალოგის საფუძველი.

15 – იდეოლოგია, რომლის საფუძველზე განვითარდა ნაციონალისტური მოძრაობა — ებრაელი ერის განთავისუფლებისა და ებრაული სახელმწიფოს დაარსებისთვის ისრაელში. (წყარო – ვიკიპედია)

16 – მუხლი 33

17 – L’efficacité des mécanismes régionaux de protection des droits de l’homme (partie I), 2013, Vers le monde, Le blog du Master Carrières Internationales, ხელმისაწვდომია: <https://mastercarrieresinternationales.wordpress.com/2013/05/26/lefficacite-des-mecanismes-regionaux-de-protection-des-droits-de-lhomme-part-i/>

18 – C.Blouin, Le dialogue judiciaire entre la CEDH et la CIDH à la lumière de l’affaire Mazni c. Roumanie, ხელმისაწვდომია : <http://blogs.u-paris10.fr/content/le-dialogue-judiciaire-entre-la-cedh-et-la-cidh-%C3%A0-la-lumi%C3%A8re-de-l%E2%80%99affaire-mazni-c-roumanie-p>

გამოძიების პროცესში მოწმის დაკითხვა და ბრალდებულის კონფრონტაციის უფლება ბრალდების მხარის მოწმეებთან



შესავალი

გამოძიების პროცესში მოწმის დაკითხვა და ბრალდებულის კონფრონტაციის უფლება ბრალდების მხარის მოწმეებთან – კვლევის საგანს წარმოადგენს; ბრალდებულის, როგორც პროცესის აქტიური მონაწილისათვის მინიჭებული კონფრონტაციის უფლების რეალიზაციის გზები და მისი სამართლებრივი შეზღუდვის ფარგლები სისხლის სამართლის პროცესში მეტად მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს.

სამართლებრივი თვალსაზრისით, თემის აქტუალობა საკმაოდ დიდია არამართო თეორიული, არამედ პრაქტიკული კუთხითაც, ვინაიდან განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მწირია, როგორც იურიდიული ლიტერატურა ასევე ქართული სასამართლო პრაქტიკა.

სტატიის მიზანია იურიდიულ ლიტერატურასა და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დეტალურად ახსნას ბრალდებულის მოწმეებთან კონფრონტაციის უფლების ბუნება, მისი

ლელა შავიძე

ადვოკატი

განხორციელებისა და შეზღუდვის თავისებურებანი და ხაზი გაუსვას თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კონფრონტაციის უფლების გამოყენებას ბრალდებულის მიერ დაცვის უფლების სრულყოფილად განხორციელებისა და სამართლიანი სასამართლო პროცესის უზრუნველსაყოფად. საადვოკატო საქმის განხორციელების დროს დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ბრალდებულის უფლების დაცვის გარანტიების წინა პლანზე წამოწევის აუცილებლობას.

ასევე წინამდებარე სტატიაში საუბარი იქნება გამოძიების ეტაპზე პირისაგან ინფორმაციის მიღების სამართლებრივ გზებზე, კერძოდ კი განვიხილავ გამოკითხვა–დაკითხვის ინსტიტუტს და მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის წესს. აღნიშნულსაკითხებთან დაკავშირებით გამოვიყენებ თ. ლალიაშვილის სტატიას „გამოძიების პროცესში პირის მოწმის სახით დაკითხვის პრობლემატური მხარეები და მისი სამართლებრივი შედეგები“ (2016), ასევე მის სტატიას „მოწმის სანდოობა და მისი შეფასების კრიტერიუმები“ და სხვა.

ბრალდებულის უფლება, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევაში, დაკითხოს მისი ბრალდების საქმეზე წარმოდგენილი მოწმეები და დააყენოს მათი სანდოობის საკითხი სასამართლოს წინაშე, წარმოადგენს ბრალდებულის არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ უფლებას, არამედ კონსტიტუციითა და ევროპული კონვენციით დაცულ გარანტიას, რომელიც სამართლიანი სასამართლო პრინციპის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

მოწმის ჩვენების შემოწმება, როგორც წესი, საქმის

არსებითი განხილვის დროს ხდება, აღნიშნული საკითხი მეტად რელევანტურია, ვინაიდან იგი უშუალოდ პრინციპის მნიშვნელოვან გამოხატულებას წარმოადგენს. მოწმის ჩვენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი შეიძლება გახდეს გადამწყვეტი მტკიცებულება ბრალდებულისთვის განაჩენის გამოტანის დროს, შესაბამისად მოწმის მიერ რეალობისა და ფაქტების არასწორად აღქმამ შესაძლოა სასამართლო გამოუსწორებელ შედეგამდე მიიყვანოს და ბრალდებული მისთვის არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.¹ გარდა უშუალოდ პრინციპისა მოცემული საკითხი გარკვეულ წილად საჯაროობის პრინციპსაც ეხება, რადგან მოწმის ჩვენების გასაიდუმლოებულ გარემოებებში განხილვა (გამონაკლისების გარდა) პროცესის მსვლელობას არასანდო და ნაკლებად დამაჯერებელ ხასიათს სძენს.²

დღეის მდგომარეობით, არსებობს მზარდი ტენდენცია, „რომ სასამართლოებს უფრო მეტი საშუალება ჰქონდეთ, დაეყრდნონ საქმის მასალებს, ვიდრე ცოცხლად წარმოდგენილ მტკიცებულებებს. ეს არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების სულისკვეთებას და უფრო ზუსტად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. რასაკვირველია, ზოგჯერ კომპრომისი უნდა იქნეს მიღწეული, როდესაც არსებობს წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენების საფუძვლიანი მიზეზი, თუმცა ეს უნდა იყოს გამონაკლისი. ბრალდებულის ბრალეულობის განსაზღვრის უფლებამოსილების მქონე ორგანოებს უნდა გააჩნდეთ მოწმეებისთვის პირადად მოსმენისა და მათი სანდოობის შეფასების შესაძლებლობა“;³

საქმეში ლუკა (Lucà) იტალიის წინააღმდეგ, ევროპულმა სასამართლომ მკაფიოდ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლოა არსებობდეს საგამონაკლისო შემთხვევები, როდესაც მოწმის მიერ გამოძიების დროს მიცემული ჩვენებების გამოყენება დასაშვებია, თუ შეუძლებელია მისი მოსმენა სასამართლო განხილვის

ეტაპზე. ამის მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად, მოწმის გარდაცვალება ან მისი უფლება, არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ და ასე შემდეგ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბრალდებულს ბრალდების მხარის მოწმის ჩვენების შემოწმების უფლება შესაძლოა ასევე მიეცეს გამოძიების ან წინასასამართლო ეტაპებზეც, რომლის შესახებაც ვრცლად ქვემოთ იქნება საუბარი.

ბრალდებულის უფლებებზე საუბრის დაწყებამდე, მნიშვნელოვანია განიმარტოს თავად ბრალდებულის ცნება. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-19 ნაწილის თანახმად, ბრალდებული არის პირი, ვის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.

ბრალდებული, სისხლის სამართლის შევიბრებითი პროცესის ფართო პროცესუალური უფლებებით აღჭურვილ სუბიექტს წარმოადგენს, რომლის უფლებებიც გარანტირებულია არა მხოლოდ ნაციონალური კანონმდებლობით, არამედ მთელი რიგი საერთაშორისო კონვენციებით.⁴

ამჟამად მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით ბრალდებულს საშუალება აქვს აქტიურად იყოს ჩართული პროცესის მსვლელობაში და ზეგავლენა მოახდინოს მის შედეგებზე, „იგი სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალური ფიგურაა, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნა მის მიმართ წარმოებს და ყველაზე დიდი ზიანი მის უფლებებსა და ინტერესებს ადგება“;⁵

ბრალდებულის ძირითად უფლებების შესახებ დებულებები მოცემულია სსსკ-ის 38-39-ე მუხლებში; უფლებები, რომელიც ბრალდებულს პროცესის სუბიექტად აქცევს, შეიძლება იყოს მისთვის აქტიური ან პასიური მონაწილის სტატუსის განმსაზღვრელი.

ბრალდებულის აქტიურ უფლებათაგან, მნიშვნელოვანია

1 - Widder, E. (2016). The right to challenge witnesses.
2 - მაკბრაიდი ჯ. ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი;
3 - ტრექსელი შ., გვ. 324
4 - ლალიაშვილი, თ. 2015, გვ. 142
5 - თუმანიშვილი გ. 2014, გვ. 126

სამართლიანი მოსმენის უფლება, უფლება დამოუკიდებლად აწარმოოს გამოძიება, მონაწილეობა მიიღოს ბრალდების საქმის გამოძიებაში, გააჩნია სასამართლო პროცესზე დასწრების უფლება, პროცესის მონაწილეთა აცილების უფლება და ა.შ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს დაცვის უფლების შესახებ, რომელიც სამართლიანი სასამართლო პროცესის წარმართვის ფუნდამენტს წარმოადგენს. ბრალდებულს ასევე უფლება აქვს დააყენოს შუამდგომლობები საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე, იქნება ეს გამოძიების თუ სასამართლო ეტაპი და ა.შ.

კონსტიტუციურ გარანტიებს შორის, რომელიც ბრალდებულისთვის უმნიშვნელოვანესია, რელევანტურია გამოვეყნოთ თვითინკრინინაციისგან დაცვის უფლება, ე.ი. უფლება არ გამოვიდეს საკუთარი თავის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს. აღნიშნული დებულება იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია „ nemo tentur se ipsum accusare ”-ს პრინციპის სახელით და ნიშნავს „არავინ არ არის ვალდებული, დაიბრალოს დანაშაული“ აღნიშნული პრინციპი ასახულია სსსკ-ის მე-15 მუხლში.⁶

განსახილველი პრობლემატიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ბრალდებულის მოწმეთა კონფონტაციის უფლება, კერძოდ, ბრალდებულს უფლება აქვს დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები, გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში. (სსსკ-ის 242-246-ე მუხლები).

ვინაიდან, ბრალდებულის სისხლის სამართლის პროცესის აქტიური სუბიექტია და დაკითხვის უფლება ემსახურება მხარეთა თანასწორობას და წარმოადგენს კონტრადიქტორული პროცესის გამომხატულებას⁷, მას უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ ჯვარედინი დაკითხვის წესით გამოიკვლიოს ბრალდების მიერ წარმოდგენილი მოწმეთა ჩვენებები.

შესაბამისად, მოწმე სისხლის სამართლის პროცესში სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად

უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს⁸ და ბრალდების მხარე, როგორც წესი, მოწმისგან მიღებული ჩვენებების საფუძველზე მოპოვებულ მტკიცებულებებს ეყრდნობა, ამიტომ ბრალდებულის უფლება, დაკითხოს მოწმე, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების რეალიზების საკითხსაც.

ბრალდებულის კონფონტაციის უფლება უზრუნველყოფს მოწმის პიროვნების სანდოობისა და მისი ჩვენების სარწმუნოების შემოწმებას, შესაბამისად, მოწმის ჩვენების სიმართლის შესაბამისობის დადგენასა და ბრალდებულის დაცვის უფლების განხორციელებას. ბრალდებულს ბრალდების მოწმისათვის კითხვის დასმის აბსოლუტური უფლება აქვს, მისი სანდოობის შესამოწმებლად და უკვე მიცემული ინფორმაციის განსავრცობად რათა შექმნას ფაქტების სრული სურათი და ამ გზით მისთვის სასარგებლო გარემოებები წინა პლანზე წამოსწიოს.⁹

ბრალდებულის მოწმის კონფონტაციის უფლებასთან დაკავშირებით საუბარია არამხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში, რომელიც ძირითადი საერთაშორისო ხასიათის ნორმაა, არამედ სამართლიან სასამართლოსთან დაკავშირებით ზოგადი დებულებები მოცემულია ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის მე-11 მუხლში, ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციასა და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილში, სადაც აღნიშნულია, რომ „ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს“.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი სამართლიანი სასამართლოს უფლების (fair trial) მარეგულირებელი ცენტრალური ნორმაა, რომელშიც მოცემულია მნიშვნელოვანი სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი საპროცესო გარანტიები. ანალოგიურად, იუსტიციური უფლებები გარანტირებულია ადამიანის უფლებათა

6 - თუმანიშვილი გ. 2014, გვ. 127;
 7 - ტურავა მ. 2013, გვ. 546;
 8 - თუმანიშვილი გ. 2014, გვ. 212;
 9 - Mahoney P, Right To A Fair trial in criminal matters under article 6 E.C.H.R. 2004)

ევროპული კონვენციის მე-5, მე-6, მე-7 მუხლებითა და მე-7 დამატებით ოქმით, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის პირველი-მე-3 აბზაცებით, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლით.

საქმეში “სოლაკოვი მაკედონიის ყოფილი იუგოსლავიური რესპუბლიკის წინააღმდეგ”, (Solakov v. the Former Yugoslav Republic of Macedonia, 2001) განმცხადებელი, რომელიც ნარკოტრეფიკანტში იყო ეჭვმიტანილი, ჩიოდა, რომ არ მიეცა ორი მოწმის გამოძახების უფლება. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს ჰქონდა მოწმეთა გამოძახების შესაძლებლობა როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე სასამართლო პროცესის დროს. თუმცა განმცხადებელმა არ მოითხოვა მათი გამოძახება ამ ეტაპებზე და ეს მხოლოდ მოგვიანებით გააკეთა. სასამართლომ აგრეთვე დასძინა, რომ იმ მოწმეთა მისამართები უცნობი იყო, რამაც გაართულა მათი სასამართლოში მოწვევა. დადგინდა, რომ მე-6 (3) (დ) მუხლის მიხედვით არსებული დაცვის უფლებები იმგვარად არ იქნა შეზღუდული, რომ ამას განმცხადებლისთვის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ხელყოფა მოეხდინა.

პირმა, რომელიც ჩივის ევროპული კონვენციის მე-6 (3) (დ) მუხლის დარღვევას გამომდინარე იქედან, რომ მას არ მიეცა კონკრეტული მოწმის გამოძახების შესაძლებლობა, უნდა დაამტკიცოს არა მარტო ეს, არამედ ისიც, რომ მოწმის მოსმენა აუცილებელი იყო სიმართლის დასადგენად და მოწმის არ მოსმენის გამო დაირღვა როგორც დაცვის, ისე სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებები.¹⁰ (Beddard R, human rights and Europe, third edition)

სამართლიანი სასამართლოს უფლება ჩვეულებრივ მოითხოვს, რომ ყველა მტკიცებულება წარმოდგენილი უნდა იყოს ბრალდებულის თანდასწრებით, შეჯიბრებითი პროცესის პირობებში. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენების ავტორი უნდა ესწრებოდეს სასამართლო პროცესს. ასეთი ჩვენებები შეიძლება გამოყენებული იქნეს სასამართლოზე იმ შემთხვევაში, თუ დაცვის უფლებები სრულად იქნა დაცული წინასწარი გამოძიების

ეტაპზე. ეს გულისხმობს იმას, რომ ბრალდებულს უნდა მიეცეს მოწმისთვის კითხვების დასმისა და მისი ჩვენების სარწმუნოებაზე დავის შესაძლებლობა. ასეთი შესაძლებლობა უნდა მიეცეს მას ჩვენების მიცემის დროს ან მოგვიანებით. მაგრამ შესაძლოა განსხვავებული მდგომარეობაც არსებობდეს, საქმეზე - (Bonisch v. Austria) სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულ სასამართლოს უფლება აქვს უარი უთხრას განსასჯელის მხარეს მოწმის გამოძახებაზე თუ ნათელია, რომ მოწმის ჩვენებას საქმის არსებითი განხილვისთვის მნიშვნელობა არ აქვს. ასევე აღსანიშნავია, რომ კონვენციის უმეტესი ხელშემკვერელი სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ ნორმებს, რომელთა საფუძველზე მოწმეთა გარკვეული კატეგორიები (მაგ. ოჯახის წევრები) თავისუფლდებიან ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან. საქმეზე-უნტერპერტინგერი ავსტრიის წინააღმდეგ (Unterpertinger v. Austria)- სასამართლომ აღნიშნა, რომ ამგვარი ნორმები არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნტის დებულებებს.

ბრალდებულის მიერ ბრალდების მხარის მოწმის ჩვენების შემოწმება, როგორც წესი საქმის არსებითი განხილვის დროს ხდება, აღნიშნული უფლების განხორციელების ყველაზე ბუნებრივი გზა არის ჯვარედინი დაკითხვა.

თუ მოწმე მიემგზავრება საზღვარგარეთ, მისი დაკითხვა შესაძლებელია უცხო ქვეყნისადმი სასამართლო შუამდგომლობით მიმართვის საფუძველზე. სასამართლომ მკაცრად უარყოფითი პოზიცია დაიკავა კითხვების წერილობითი ფორმით წარდგენის მიმართ ერთ-ერთ საქმეზე და აღნიშნა, რომ „განმცხადებელს შეეძლო წერილობით კითხვების დასმა მოწმეთათვის, თუ ამას მოითხოვდა სასამართლო განხილვაზე. თუმცა ასეთი შესაძლებლობის არსებობა ვერ ჩაანაცვლებს სასამართლო განხილვის დროს ბრალდების მოწმეების პირდაპირი დაკითხვის უფლებას“. ამ საქმეში კიდევ ერთი დაბრკოლება იყო ის, რომ მოწმეები ანონიმურები იყვნენ.¹¹ (ბოხაშვილი ბ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004)

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებების ეფექტიანი

10 – Beddard R, human rights and Europe, third edition
11 – ბოხაშვილი ბ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004

განხორციელება თავისთავად გულისხმობს საქმის მასალების ხელმისაწვდომობას. უნდა განვიხილოთ ის ვითარებები, როდესაც დაბრკოლება ექმნება მოწმეთა დაკითხვის უფლების ეფექტიან განხორციელებას. ასეთ დროს შეიძლება საჭირო გახდეს სპეციალური წესების გამოყენება. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მოწმის ჩვენებებში სუსტი წერტილების მოძებნა, მნიშვნელოვანია ყველა იმ განცხადების შესწავლა, რაც მას ადრე გაუკეთებია თუნდაც სხვა სამართალწარმოების დროს. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა სწორად დაადგინა დარღვევა იმ საქმეში, რომელშიც დაცვას უარი ეთქვა მოწმის ჩვენებების ჩანაწერების გადაცემაზე, რამაც თავისმხრივ ხელი შეუშალა დაცვის მხარეს დაცვის ეფექტურად განხორციელებასა და მოწმის ჩვენების შემოწმებაში.¹² (Rehman J, International human rights law.)

მოწმის ჩვენება მტკიცებულების მნიშვნელოვანი ელემენტია. თუ მოწმის ჩვენების გარდა არსებობს სხვა მრავალი მტკიცებულება ასეთ შემთხვევაში მას შეიძლება უმნიშვნელო ხასიათი ჰქონდეს, მაგრამ პირიქით, თუ ძალიან ცოტა მტკიცებულება არის წარმოდგენილი, მოწმის საეჭვო ჩვენებამ შესაძლოა გადაწონოს მტკიცებულებები მსჯავრდების სასარგებლოდ. შეუძლებელია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესრულება ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების გარეშე, რომელიც გულისხმობს, როგორც მინიმუმ, იმის გარკვევას, განმცხადებლის გამართლება უნდა მომხდარიყო თუ არა. ეს არის პრობლემის არსი, რაც ართულებს გარანტიის წარმატებით გამოყენებას.¹³

დაცვას უნდა მიეცეს მოწმის ღია სასამართლო პროცესზე დაკითხვის შესაძლებლობა. ერთი შეხედვით ყველაფერი ნათელია. თუმცა სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ „ამ გზით ჩვენებების წაკითხვა, თავისთავად, არ შეიძლება ჩაითვალოს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და პირველი პუნქტის დარღვევად“. ამ ორი განაცხადების „შერიგების“ მიზნით მეორე უნდა ჩაითვალოს გამონაკლისად, რაც დამაჯერებელ დასაბუთებას საჭიროებს. რთულია ისეთი გარემოებების წარმოდგენა, რაც ლეგიტიმურს გახდიდა

დაცვის უფლებების იგნორირებას.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მასთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის ანალიზი მიანიშნებს უამრავ სირთულეზე. უპირველესად, მნიშვნელოვანია ამ დებულებით გამყარებული ორი უფლების გამოიყვანა: ბრალდების მოწმეთა დაკითხვის უფლება და მოწმეთა გამოძახების ან დაცვის მოწმეთა გამოძახების უფლება. პრეცედენტულ სამართალში პირველი ასპექტი დომინირებს, თუმცა მეორის დარღვევაც იქნა აღმოჩენილი რამდენიმე საქმეში. მნიშვნელოვანი საკითხია იმ მომენტის განსაზღვრა, როდესაც წარმოიქმნება ამ ორი უფლებიდან პირველი. იდეალურ შემთხვევაში, მოწმე დაკითხულ უნდა იქნეს სასამართლო პროცესზე, მაგრამ გარკვეულ გარემოებებში ეს უფლება შეიძლება სრულფასოვნად განხორციელდეს გამოძიების ეტაპზე. კითხვები არსებობს ასევე დაკითხვის ხასიათთან დაკავშირებით. ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დამცველსა და ბრალდებულს შორის არსებული ურთიერთობა. ყველაზე რთული ასპექტი უკავშირდება ვითარებას, როდესაც არსებობს გარანტიის იმპლემენტაციის ბარიერი. ხშირად ეს განპირობებულია მოწმეთა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებით.

„თუმცა მხოლოდ საქმისათვის საჭირო მონაცემის ცოდნა არ არის საკმარისი პირის მოწმის სტატუსით საქმეში მონაწილეობისთვის. საპროცესო კოდექსი ადგენს კიდევ ერთ წინაპირობას, რომლის თანახმადაც პირი მოწმის სტატუსს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ (სსკ-ის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილი)“¹⁴ (ლალიაშვილი თ, გვ 293)

თუ მოწმე არ აკმაყოფილებს მისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გარკვეულ შემლუღვებს. პირს უნდა გააჩნდეს უნარი: 1) აღიქვას, 2) დაიმახსოვროს, 3) გაიხსენოს და 4) მოგვიანებით გადმოცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია.

კანონი ადგენს 2 კონკრეტულ გარემოებას, რაც

12 – Rehman J, International human rights law

13 – კობახიძე მ, მკერვალიშვილი ვ, ევროპის საბჭო, ევროპული კონვენცია და მისი დანერგვა საქართველოში, 2010 წ;

14 – ლალიაშვილი თ, გვ 293

განსაზღვრავს პირის უნარიანობას იყოს მოწმე. ეს გარემოებებია: 1) ფიზიკური ნაკლი და 2) ფსიქიკური ავადმყოფობა, მაგრამ ეს უკანასკნელნი ყოველთვის არ გამოირიცხავს ამ ნაკლის მქონე პირთა მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში;¹⁵ (ლალიაშვილი თ, გვ. 294)

მოწმეზე საუბრისას, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ვალდებულებები, რომელსაც მას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა აკისრებს, ესენია: 1) სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება, 2) ჩვენების მიცემის ვალდებულება და 3) ფიცის დადების ვალდებულება. გარდა ამისა მას კიდევ გააჩნია სხვა დამატებითი ვალდებულებები, როგორცაა ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა, წესრიგის დაცვა პროცესის მსვლელობის დროს და ასე შემდეგ;¹⁶

საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლი ადგენს პირის მოწმის ვალდებულებისგან გათავისუფლების პირობებს და განსაზღვრავს, რომ გარკვეული პროფესიის მქონე პირები და ბრალდებულის ახლო ნათესავები თავისუფლდებიან ჩვენების მიცემის ვალდებულებისგან; (იხ. სსკ-ის 50-ე, მუხლი).

მოწმეს, ვალდებულების გარდა საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული გარკვეული უფლებებიც გააჩნია, როგორცაა: იცოდეს რა საქმის გამოა გამოძახებული, არ მისცეს მისი ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება, მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში, გაცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს და მოითხოვოს მასში შენიშვნებისა და დამატებების შეტანა, მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება და ასე შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ უფლებათა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და საპროცესო კანონმდებლობა აღიარებს და იცავს მოწმის სხვა უფლებებსა და ინტერესებს, რომლებიც სისხლის სამართლის კანონმდებლობის სხვადასხვა მუხლებშია მოცემული;¹⁷

მოწმეთა გამოძახების უფლებაზე შესაძლოა დაწესდეს

ადეკვატური შეზღუდვა, რომელიც ორივე მხარის მიმართ თანაბრად იქნება გამოყენებული. არც მოწმეთა დაკითხვის უფლებაა აბსოლუტური, მიუხედავად იმისა, რომ როგორც წესი, დაკითხვა სასამართლოში საქმის განხილვისას უნდა მოხდეს, ევროპულმა სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია, რომ შესაძლებელია საჭირო გახდეს გარკვეული გამონაკლისების დაშვება, მაგ. წინასწარი გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენებათა პროცესზე წაკითხვის საშუალებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება მსჯავრდების მთლიანად, ან უმეტესწილად იმ მოწმეთა ჩვენებებზე დამყარება, რომელთა დაკითხვის საშუალება არ მისცემია განსასჯელს (ან მის ადვოკატს) აღნიშნული ჩვენების მიცემის დროს ან შემდგომ დაკითხვის უფლება გულისხმობს მოწმეთათვის შეკითხვების დასმის შესაძლებლობას, მაგრამ არა აუცილებლად შესაბამისი პასუხების მიღებას. ამდენად, თუ მოწმე უარს იტყვის სასამართლოში ჩვენების მიცემაზე, დაკითხვის მოთხოვნა შესრულებულად ჩაითვლება თუ დაცვის მხარეს აქვს მოწმისათვის შეკითხვის დასმის საშუალება აღნიშნული ჩვენების მიცემის დროს ან შემდგომ ეტაპზე¹⁸;

ევროპული კონვენციის მე-6 (3) (დ) მუხლი არ იძლევა დაცვის მხარის მიერ დასახელებული ყველა მოწმის გამოძახებისა და დაკითხვის საშუალებას. როგორც თავად მუხლის შინაარსი გადმოსცემს: “დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში”. მე-6 (3) (დ) მუხლის ძირითადი მიზანი არის მხარეთა სრული თანასწორობა მოწმეთა დაკითხვასთან დაკავშირებით. შიდა კანონმდებლობამ შეიძლება ჩამოაყალიბოს მოწმეთა დაშვების განმსაზღვრელი პირობები, კერძოდ კომპეტენტურმა სასამართლო ორგანოებმა შეიძლება დასაბუთებულად არ დაუშვას მოწმის გამოძახება, თუ ცხადია, რომ მისი ჩვენება იქნება საქმესთან დაკავშირებული.

საქმეში “სოლაკოვი მაკედონიის ყოფილი იუგოსლავიური რესპუბლიკის წინააღმდეგ”, (Solakov v. the Former

15 - ლალიაშვილი თ, გვ. 294;
16 - თუმანიშვილი გ, გვ. 155;
17 - თუმანიშვილი გ, გვ. 164;
18 - გროუსტადი ა, 2009, გვ. 31;

Yugoslav Republic of Macedonia, 2001) განმცხადებელი, რომელიც ნარკოტრეფიკინგში იყო ეჭვმიტანილი, ჩიოდა, რომ არ მიეცა ორი მოწმის გამოძახების უფლება. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს ჰქონდა მოწმეთა გამოძახების შესაძლებლობა როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე სასამართლო პროცესის დროს. თუმცა განმცხადებელმა არ მოითხოვა მათი გამოძახება ამ ეტაპებზე და ეს მხოლოდ მოგვიანებით გააკეთა. სასამართლომ აგრეთვე დასძინა, რომ იმ მოწმეთა მისამართები უცნობი იყო, რამაც გაართულა მათი სასამართლოში მოწვევა. დადგინდა, რომ მე-6 (3) (დ) მუხლის მიხედვით არსებული დაცვის უფლებები იმგვარად არ იქნა შეზღუდული, რომ ამას განმცხადებლისთვის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ხელყოფა მოეხდინა.

ბრალდებულის მიერ ბრალდების მხარის მოწმის ჩვენების შემოწმება, როგორც წესი საქმის არსებითი განხილვის დროს ხდება, აღნიშნული უფლების განხორციელების ყველაზე ბუნებრივი გზა არის ჯვარედინი დაკითხვა.

თუ მოწმე მიემგზავრება საზღვარგარეთ, მისი დაკითხვა შესაძლებელია უცხო ქვეყნისადმი სასამართლო შუამდგომლობით მიმართვის საფუძველზე. სასამართლომ მკაცრად უარყოფითი პოზიცია დაიკავა კითხვების წერილობითი ფორმით წარდგენის მიმართ ერთ-ერთ საქმეზე და აღნიშნა, რომ „განმცხადებელს შეეძლო წერილობით კითხვების დასმა მოწმეთათვის, თუ ამას მოითხოვდა სასამართლო განხილვაზე. თუმცა ასეთი შესაძლებლობის არსებობა ვერ ჩაანაცვლებს სასამართლო განხილვის დროს ბრალდების მოწმეების პირდაპირი დაკითხვის უფლებას“. ამ საქმეში კიდევ ერთი დაბრკოლება იყო ის, რომ მოწმეები ანონიმურები იყვნენ.¹⁹

საქმეში კოსტოვსკი ნიდერლანდების წინააღმდეგ, ასევე ვინდიში ავსტრიის წინააღმდეგ ევროპულმა სასამართლომ მოწმის ცნებას ავტონომიური განმარტება მისცა და მას შემდეგ მოწმის ცნება ფართოდ განიმარტება. კერძოდ, ევროპული სასამართლო

მოწმის ცნებაში მოიაზრებს არა მხოლოდ იმ პირს ვინც სასამართლოს წინაშე უშუალოდ იქნა დაკითხული და ჩვენება მისცა, არამედ ასევე იმას ვინც სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევისას არ დაკითხულა და შესაბამისად, არც ჩვენება მიუცია, ან რომელიც ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით არ განიხილება მოწმედ²⁰, იმისათვის, რომ პირი მოწმედ ჩაითვალოს საკმარისია მის მიერ მიცემული ჩვენება, რომელიც მიღებულია პროცესის მსვლელობის დროს ან პროცესის ფარგლებს გარეთ წარედგინოს სასამართლოს დაკითხვის მწარმოებელი უფლებამოსილი პირის მიერ, იქნება ეს წერილობითი ფორმით, დაკითხვის მეშვეობით თუ წაკითხვის ფორმით²¹;

მოწმედ ითვლება ასევე პირველადი წყაროდან მოსმენილი ინფორმაციის გადმომცემი პირი (ირიბი მოწმე, Hearsay).

მოწმე რა ეტაპზე მისცემს ჩვენებას, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია ეს უკანასკნელი გახდეს სასამართლოს განხილვის საგანი და მოწმის მიერ ჩვენების მიცემისას არ იქნეს დარღვეული ბრალდებულის ბრალდების მხარის მოწმეებთან კონფრონტაციის უფლება, რაც სამართლიანი სასამართლოს, შევიბრებითი პროცესისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის გამოხატულებაა²²;

ევროპული სასამართლო მამხილებელ მოწმეს 3 ძირითად მოთხოვნას უყენებს: 1) ბრალდების მხარის მოწმე სასამართლო პროცესზე უნდა გამოცხადდეს და დაკითხულ იქნეს მხარეთა მიერ, 2) თუ მოწმე არ ცხადდება პროცესზე დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს ან უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა დაეკითხა მოწმე თუნდაც პროცესის ფარგლებს გარეთ, რაც მოწმის გამოუცხადებლობის კომპენსირებას მოახდენდა და 3) დაუშვებელია მხოლოდ ასეთი მტკიცებულება საფუძველად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს²³;

ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ გამოძიების პროცესში

19 – ბოხაშვილი ბ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, 2004

20 – ლალიაშვილი თ. გვ323

21 – Vitkauskas D, Dikov G, Protecting the right to a fair trial under the European Convention on Human Rights, Strasbourg, 2012

22 – Jeferson L.Ingram, Criminal evidence, tenth edition.

23 – Vitkauskas D, Dikov G, Protecting the right to a fair trial under the European Convention on Human Rights, Strasbourg, 2012

საგამოძიებო ორგანოების მიერ ან პროცესს გარეთ მოპოვებული ჩვენება არ არღვევს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის “დ” ქვეპუნქტის მოთხოვნებს და შესაძლებელია ეს ჩვენება საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს მიერ იქნეს შეფასებული და საფუძვლად დაედოს განაჩენს.

ამდენად, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში ასახული მოწმეთა დაკითხვის უფლება თავის მხრივ უკავშირდება მტკიცებულებათა მოპოვების პროცესსაც. მტკიცებულებები, რომელთა გამოკვლევაც არ მომხდარა საქმის არსებითი განხილვისას, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს პირის გამამტყუნებელ/გამამართლებელ განაჩენს.

თუ ბრალდებულს არ მიეცა მოწინააღმდეგე მხარის მოწმის კონფრონტაციის უფლება და დადგინდა ამ უკანასკნელის ხელყოფა, შეიძლება ითქვას, რომ პირის მსჯავრდება არამართლმომიერად მოხდა.²⁴

ქართული კანონმდებლობის მიხედვით პირისთვის მოწმის პროცესუალური სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია ფორმალურ წინაპირობაზე, რაც მდგომარეობს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებასა და მისთვის ფიცის ჩამორთმევაში. პირი მოწმის უფლება-მოვალეობებს იძენს მას შემდეგ, როდესაც მას მოსამართლე სათანადო წესით გააფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ასევე ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე და იგი დადებს რელიგიური ან არარელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცს. რაც შეეხება მოწმის ცნების განმარტებას ევროპული სისხლის სამართლის მიხედვით, აქ ვაწყდებით განსხვავებულ მიდგომას. ევრო სასამართლო მოწმის ცნებასთან დაკავშირებით საკუთარ გადაწყვეტილებებში აღნიშნავს, იმისათვის, რომ პირი მოწმედ ჩაითვალოს საკმარისია მის მიერ მიცემული ჩვენება, რომელიც მიღებულია პროცესის მსვლელობის დროს ან პროცესის ფარგლებს გარეთ წარედგინოს სასამართლოს დაკითხვის მწარმოებელი უფლებამოსილი პირის მიერ, იქნება ეს წერილობითი ფორმით, დაკითხვის მეშვეობით თუ წაკითხვის ფორმით.

შესაბამისად, ნათელია ძირითადი განსხვავებები ქართულ და ევროპულ ცნებებს შორის მოწმის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით: ქართული კანონმდებლობა აუცილებლად მიიჩნევს პირის მიერ ფიცის დადებასა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებას, რათა პირმა მოწმის სტატუსი შეიძინოს, ხოლო ევრო სასამართლო მეტად ფართო განმარტებას აძლევს მოწმის ცნებას და მასში მოიაზრებს პირს, რომელმაც საქმის მსვლელობის ნებისმიერ ეტაპზე, იქნება ეს გამოძიების თუ მის გარეთ უფლებამოსილ პირს მისცა ინფორმაცია, რომელიც შემდეგ სასამართლო განხილვის საგნად იქცევა.

შესაბამისად, მოწმე სისხლის სამართლის პროცესში სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს²⁵ და ბრალდების მხარე, როგორც წესი, მოწმისგან მიღებული ჩვენებების საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებებს ეყრდნობა, ამიტომ, ბრალდებულის უფლება დაკითხოს მოწმე, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების რეალიზების საკითხსაც.

24 - Harris o Boyle & Warbrick, law of the European convention on human on human rights, Second edition

25 - თუმანიშვილი, 2014, გვ. 212



ადვოკატთა საყურადღებოდ!

ყველა ადვოკატს და სამართლით დაინტერესებულ პირს შეუძლია განათავსოს სამეცნიერო ნაშრომი ან მოსაზრება. თქვენს მიერ pr@gba.ge გამოგზავნილი სამეცნიერო სტატია და მოსაზრება განიხილება სარედაქციო კოლეგიის მიერ. არ რეცენზირდება და ავტორს უკან არ უბრუნდება. კოლეგიის წევრთა უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში გამოქვეყნდება ჟურნალში „ადვოკატი“.

გისურვებთ წარმატებებს!

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“
თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. 36
ტელ: 2 22 46 54